Iv. Djavakhishvili State University

Ilia State University

K. Kekelizde National Centre of Manuscripts

Ketevan Bezarashvili

Old Georgian Version according of John Climax ("Ladder")

(Anton I, Bagrationi I., Ioseliani P., Accordigly by Gregory Nazianzen's Poetry)

Editors: Elgudja Khintibidze, Irakli Orzhonia

Reviewers: Irakli Orzhonia

PH "Akhali Sakartvelo"

Tbilisi 2017

ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქეთევან ბეზარაშვილი

იოანე სინელის კლემაქსის უცნობი ქართული ვერსია

(ანტონ I, თ. ბაგრატიონის, პ. იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის შესახებ)

გამომცემლობა «ახალი საქართველო»

თბილისი 2017

ქეთევან ბეზარაშვილის ნაშრომი გრიგოლ ნაზიანზელთან (ღმრთისმეტყველთან) და «კლემაქსის» ანონიმურ უცნობ მცირე ლექსებთან ერთად ემსახურება ქართული ვერსიის შესწავლას შესაბამისი ქართულ-ბერძნული ტექსტებისა და საძიებელების მიხედვით.

რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე, ირაკლი ორჟონია

რეცენზენტი: ირაკლი ორჟონია

C ქეთევან ბეზარაშვილი 2017

ISBN 978-9941-27-363-6

შინაარსი

წინასიტყვაობა 8-9

შესავალი 10-12

რეცენზია ელგუჯა ხინთიბიძე 13-17

თავი I – იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი და ახლადგამოვლენილი ქართული ვერსია 18-20

"კლემაქსის" უცნობი ვერსიის შედგენილობა 21-33

ახლადგამოვლენილი ვერსიის ნუსხები 34-52

ახალი ვერსიის თავისებურებანი 52-62

ანონიმური ვერსიის ადგილისათვის 63-74

საბოლოო მნიშვნელობა ვერსიისათვის. 74-80

თავი II – ლექსები და პროზები ქართული და ბერძნული "კლემაქსის" მიხ. 81-126

თავი III – იოანე სინელის "კლემაქსის" ლექსიკური კალკები 127-136

დასკვნა (ქართული ენის მიხედვით) 137-148

იუანე სინელის "კლემაქსის" უცნობი იამბიკოებისათვის (ადრეული) 149-162

მნიშვნელობა კლემაქსის ცნობილი ან უცნობი იამბიკოებისათვის 162-163

ლექსითი დამატებები უცნობი იამბიკოების მიხ. (ქ. ბეზარაშვილი) 163-166

ვრცელი ლექსითი დამატებები (ნ. სულავა) 167-183

იოანე სინელის «კლემაქსი» ეფთვიმე ათონელისა და იოანე პეტრიწის მიხედვით 184-186

რეზიუმე 187

Summary . 188

თავი IV – ანტონ I, თ. პაგრატიონის, პლ. იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის შესახებ 189-215

რეზიუმე 216

Summary 217

თავი V – დამატებითი მცირე მნიშვნელობანი გელათური სკოლის, ფილოსოფოსისა და სხვ. მიხ. 218-222

ხარისხის სხვადასხვა ფორმები (ქართული, ბერძნული) 223-227

პირობითი ნიშნები: იოანე სინელის უცნობი «კლემაქსი» და ანტონის მნიშვნელობა 228-230

საკუთარი სახელები და გვარები (გრ. ღმრთისმ. პ. გელათელი, ს. საბა და სხვ.) 230-232

ტექსტისათვის (ი. სინელის უცნობი «კლემაქსი» და ანტონის სხვადასხვა მნიშვნელობა 233-235

წინასიტყვაობა

წმინდა იოანე სინელის შრომა „კიბე“ (ბერძ. „კლემაქსი“) თეოლოგიურ-ასკეტიკური საკითხების შემცველი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული წერილობითი ძეგლია, რომელსაც დიდი გულმოდგინებით სწავლობდნენ შემდგომი თაობის ბერ-მონაზონნი თუ საერო მოღვაწენი. ხსენებული ძეგლის განსაკუთრებულობას ცხადყოფს ღირსი იოანეს მიერ მისი შედგენისას ასკეტური ცხოვრების წესთან დაკავშირებით გამოვლენილი მასშტაბური მიდგომა. კერძოდ, სინელმა მოღვაწემ ოცდაათ საფეხურად აღწერა და უწყვრილმანეს დეტალებში მიმოიხილა სულიერი ზესრბოლის გზა, თუ როგორ უნდა განერიდოს წარმავალ ამასოფელს, დემუნურ მძლავრებებსა და კაცობრივ უძლურებებს მარადისობაზე ფიქრით განმსჭვალული გონიერი ადამიანი. იმავე ძეგლის შეუფასებელ ღისრებას წარმოაჩენს „კლემაქსის“ ქართული თარგმანების სიმრავლე და ხსენებული თარგმანების შესრულებისას შესაბამის მოღვაწეთაგან გამოვლენილი თავისებურებანი. ვფიქრობთ, წინამდებარე პუბლიკაცია

დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას მისცემს, კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაეცნოს, ერთი მხრივ, სინელი მამის ნამოღვაწარს, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი მთარგმნელების მიერ განხორციელებულ ღვაწლს. ამავდროულად, წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის, ჰიმნოგრაფიის საკითხებითა და «კლემაქსის» აქამდე უცნობი მცირე პოეტური შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს.

შესავალი

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლა ცხადყოფს, რომ წმინდა იოანე სინელის ასკეტური შრომა „კიბე“ (ბერძ. „კლემაქსი“) უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში, რადგან სინელი მამის ნამოღვაწარი რამდენიმეგზის თარგმნილა ქართულად პროზაული თუ იამბიკური სახით. ხსენებული ნაშრომის ბერძნული ტექსტი დაცულია „პატროლოგია გრეკას“ 88-ე ტომში. ყოველ თავს თან ერთვის შესაბამისი სქოლიოები, რომლებშიც კომენტატორი ღირსი იოანეს სწავლებებს განმარტავს. დღემდე ცნობილი იყო „კლემაქსის“ შემდეგი ძველი ქართული ვერსიები: 1. X საუკუნემდელი შემოკლებული (გამოკრებილი) პროზაული ვერსია. ცნობა მის შესახებ მოიპოვება ამ თხზულების *ეფთვიმე ათონელისეული ვერსიის ანდერძში*, სადაც ამ პირველი ვერსიის ნაკლულობა და მრუდედ თარგმნაცაა დასახელებული მეორედ თარგმნის მიზეზად (შდრ. „ვინაჲთგან უკუე პირველსა მას ტარგმანსა მრავალი მრუდად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთჳს მე, გლახაკმან ეფთჳმე... ვთარგმნე ესე“) 2. *ეფთვიმე ათონელის* ხსენებული პროზაული ვერსია (X-XI სს.). 3. იოანე პეტრიწის პროზაული ვერსია (XI ს.), რომელიც *პეტრე გელათელისეულად* იყო მიჩნეული. იგი უფრო მეტი ზედმიწევნულობით მიჰყვება ბერძნულ დედანს, ვიდრე *ეფთვიმეს* თარგმანი და ამავდროულად, ახლავს *ფოტი პატრიარქის* კომენტარები. 4. *იოანე პეტრიწის* მიერ იამბიკოდ გალექსილი ცალკეული გამოკრებილი ადგილები

ეფთვიმესეული პროზაული ვერსიიდან, რომელსაც ივ. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით "სათნოებათა კიბე" ეწოდება. 5. ანტონ კათალიკოსის (XVIII ს.) მიერ ასევე იამბიკოდ გალექსილი ცალკეული გამოკრებილი ადგილები პეტრიწული პროზაული ვერსიიდან. ცალკე კრებულში გეხვდება აგრეთვე გამოკრებილი ადგილები "კლემაქსიდან", უმეტესად ეფთვიმეს ვერსიიდან ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულებებიდან გამოკრებილ "სწავლანებთან" ერთად. ასეთია, მაგალითად A-67 XVI ს. მისი ფრაგმენტი მოთავსებულია H-2053-ში (XIX ს.); A-57 (XVII ს.), S-63 (XVIII ს.), არქ. 297 (XVIII-XIX სს.) და სხვ.

აღმოჩნდა, რომ XVIII-XIX სს. ხელნაწერ კრებულებში (S-2568, C-9, H-1737, S-348, S-379, S-3642, S-3731) მოთავსებულია "კლემაქსის" კიდევ ერთი ქართული მასალის საფუძველზე წარმოშობილი დღემდე უცნობი იამბიკური არასრული ვერსია, რომელიც ანონიმურია. იგი არასრულია თავთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ თავში წყაროს (პეტრიწული პროზაული ვერსიის) მთლიანი თავები კი არაა სრულად გალექსილი, არამედ მისგან გამოკრებილია ცალკეული ადგილები, *როგორც იოანე პეტრიწისა და ანტონის* ვერსიებში. ეს ახალი ვერსია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლ ღმრთისმეტყველის პოეზიად მიიჩნეოდა (ხოლო ცალკეული თავების სათაურები ამ ე. წ. გრიგოლის ლექსების სათაურებად), რამდენადაც დასახელებულ ხელნაწერებში უშუალოდ მოსდევს გრიგოლ ნაზიანზელის ლექსთა ანონიმურ

ქართულ თარგმანს და არ ახლავს ავტორზე მითითება. იგი პირდაპირ იწყება "კლემაქსის" მე-7 თავის ფრაგმენტით ("გპოო მას შინა...") უსათაუროდ, რომელიც გამოუყოფის გარეშე ებმის წინ მოთავსებულ ტექსტს ("თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა" და "ათორმეტნი პატრიარქნი") და რომელსაც მოსდევს "კლემაქსის" მე-11 თავის სათაური – "მრავალმეტყუელებისა და დუმილისათჳს" (მას ახლავს თავის ნომრის აღნიშვნა). აი, ამ თავიდან იწყებს კ. კეკელიძე "კლემაქსის" ამ ვერსიის თავების აღრიცხვას გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიასთან ერთად, რადგან მე-7 თავის ფრაგმენტი მის ხელთ არსებულ ხელნაწერებში შეუმჩნეველადაა მოთავსებული მის წინ არსებულ ტექსტთან (S-2568), ან გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტებშია შეტანილი (A-711), ან საერთოდ არ არის (S-348, S-379).

რეცენზია

ქეთევან ბეზარაშვილის ნაშრომი *«იოანე სინელის «კლემაქსის» უცნობი ქართული ვერსია»* ეძღვნება აღნიშნული ძეგლის კიდევ ერთი ახლადგამოვლენილი ვერსიის ფილოსოფიურ შესწავლას. იგი ფართო ლიტერატურული დიაპაზონით შესრულებული გამოკვლევაა. ავტორი იყენებს და აანალიზებს ქართული ბიზანტიური ლიტერატურის ფართო მასალას.

გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ქართულ ვერსიაზე მუშაობისას ავტორი წააწყდა საინტერესო ფაქტს – გრიგოლის ლექსებდთან ერთად XVIII-XIX სს.-ის ქართულ ხელნაწერებში მოთავსებულია სტროფები, რომლებიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გრიგოლის ლექსებად მიიჩნეოდა და რომელთა ბერძნული დედნები ავტორთა გრიგოლის ლექსების გამოცემებს შორის ვერ მოიძია. აღნიშნული სტროფები აღმოჩნდა *იოანე სინელის «კლემაქსის» ანონიმური არასრული იამბიკოთი გალექსილი ქართული ვერსია».* ამგვარად, «კლემაქსის» დღემდე ცნობილ პროზაულ თუ გალექსილ ქართულ ვერსიებს კიდევ ერთი ახალი ვერსიაც მიემატა.

ავტორმა მოიძია ორივე ამ ძეგლის (გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანისა და «კლემაქსის» ანონიმური ქართული ვერსიის) შემცველი როგორც ცნობილი, ისე დღემდე უცნობი ხელნაწერები, დაადგინა ტექსტი

დღესდღეობით არსებითი ყველა ხელნაწერის მიხედვით, შეისწავლა «კლემაქსის» ამ ახალი ვერსიის ტექსტის აგებულება, შეუდარა იგი ამ ძეგლის სხვა გალექსილ ვერსიებს (*იოანე პეტრიწის, ანტონის*), ბერძნულ ორიგინალის, გამოავლინა მისი წყარო – პეტრიწული პროზაული ქართული ვერსია, დაადგინა, რომ ანონიმი ავტორი შერჩევით ლექსავს ცალკეულ ადგილებს ქართული წყაროდან (და არა ბერძნულიდან) და იგი უსათაუროდ და უავტოროდ ფრაგმენტული დასაწყისით და არასრულადაა მოღწეული ადრეული ნაკლული დედნიდან (როთა სხვა ლექსითი ვერსიები «კლემაქსისა» სრულია. იოანე პეტრიწის «სათნოებათა კიბე» გამოქვეყნებულიცაა ი. ლოლაშვილის მიერ პარალელური პროზაული წყაროთი). ნაშრომში საუბარია აგრეთვე «კლემაქსის» ვერსიებზე საზოგადოდ და გამოვლენილია მათთან დაკავშირებული ზოგიერთი ახალი დამატებითი ცნობა.

ძეგლის აგებულების შესწავლისათვის საჭირო იყო მისი შემცველი ხელნაწერების ტექსტობრივი მხარეების საგანგებო შესწავლა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ გრიგოლის პოეზია და «კლემაქსი» ერთმანეთთან ტექსტობრივადაა დაკავშირებული, შესაძლოა, ერთი ავტორის მიერაა შესრულებული და ყველაზე ადრინდელი ხელნაწერიდან (A : S 2568) დანარჩენ ხელნაწერებში ერთი და იმავე შედგენილობით (კლებითა და გადაადგილებებით) გადადის. შესაძლებელი გახდა შესწორებულიყო ხელნაწერთა აღწერილობების ზოგი მცდარი ცნობა. დასახელებული

ხელნაწერის შედგენილობა და პროსოდიის ნიშნები; სტატიის ავტორს ავარაუდებინებს, რომ ორივე თხზულება (გრიგოლის ლექსებიც და «კლემაქსიც») მომდინარეობს პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან. დანარჩენი ხელნაწერების შესწავლამ კი გამოავლინა, რომ ისინი გადაწერილნი არიან **A**-დან ანტონის სალიტერატურო სკოლის მიმდევართა მიერ. ეს ნაწილი გამოკვლევაში ვრცლადაა წარმოდგენილი, რადგან ძირითადად ამით დგინდება «კლემაქსის» ახალი ვერსიის წარმომაელობის საკითხი. გარდა ამისა, ავტორს ცალკე ჰქონდა გამოქვეყნებული შრომა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართულ ვერსიაზე, სადაც მან მოკლედ მიუთითა «კლემაქსის» ამ ვერსიის არსებობაზეც და სტატიის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ვრცლად ვერ მიმოიხილა აღნიშნული ხელნაწერები, რომელთა შედგენილობა და ტექსტუალური თავისებურებანი ასევე მნიშვნელოვანი იყო გრიგოლის პოეზიის ქართული ანონიმური ვერსიის წარმომაელობის საკითხისათვის. ამიტომ აღნიშნული ნაწილის ვრცლად გამოქვეყნება მიზანშეწონილი უნდა იყოს, ხოლო სარეცენზიო ნაშრომი კი ერთგვარი გაგრძელება და შევსება იქნება შრომისა «გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში», რომელიც ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა (**ქ. ბეზარაშვილი**, იოანე სინელის «კლემაქსის» უცნობი ქართული ვერსია; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, 4, გვ. 129-154) და (**ქ. ბეზარაშვილი**, იოანე სინელის

«კლემაქსის» უცნობი და ახალგამოელენილი ქართული ვერსია; მაცნე, ელს, 1989, 3, გვ. 142-153).

ხელნაწერთა ტექსტობრივი თავისებურებების შესწავლით მიღებულ დასკვნას ამაგრებს ძეგლის ენობრივ-სტილისტური ანალიზიც, რის შედეგადაც «კლემაქსის» ანონიმური ვერსია, ისევე როგორც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანი პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შესრულებულადაა მიჩნეული იოანე პეტრიწის უცნობი მიმდევრის მიერ დაახლოებით XII-XIV საუკუნეებში. ამას მხარს უჭერს ფილოსოფიურ-ისტორიული არგუმენტებიც, რომლებიც გამორიცხავენ ძეგლის შექმნას XVIII საუკუნეში ანტონის სალიტერატურო სკოლაში. ქეთევან ბეზარაშვილმა
დამაჯერებლად ცხადყო, რომ ძეგლი არაა შექმნილი ამ სკოლაში, არამედ მხოლოდ გადაწერილია ამ სკოლის მიმდევართა მიერ, რომლებიც ამრავლებდნენ იოანე პეტრიწისა და მის მიმდევართა თხზულებებს (ბევრი ასეთი თხზულება ხომ მხოლოდ ამ პერიოდითაა ცნობილი და მათი ადრინდელი დედნები დაკარგულია). მგვარი დასკვნებისათვის ავტორს საგანგებო კვლევა-ძიება აქვს ჩატარებული.

ქ. ბეზარაშვილმა შეისწავლა აგრეთვე ნაწარმოების შინაარსობრივ-მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ მხარეს, მის მიმართებას ეპოქისა და პეტრიწული სალიტერატურო სკოლის ინტერებთან და აელენს, რომ «კლემაქსის» ანონიმური

ქართული ვერსიაც და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანიც არის ე.წ. ქართული ფილოსოფიური პოეზიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა არსებობაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდებოდა და მომავალში და მომავალში გამოსავლინებლად და შესასწავლად იყო დასახული. ქ. ბეზარაშვილის ორივე შრომაც («გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში» და «იოანე სინელის «კლემაქსის» უცნობი ქართული ვერსია») სწორედ ამ მიზანს – პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შესრულებული პოეზიის ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების პოვნას და პოვნილის და არსებულის კვლევას ემსახურება.

ქ. ბეზარაშვილის ნაშრომი დამყარებულია პირველწყაროებზე, ითვალისწინებს საკითხის ირგვლივ არსებულ მთელ ლიტერატურას როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ ენებზე. ნაშრომის გამოქვეყნება აუცილებლად მიგვაჩნია. ეს სიახლე ქართულ ფილოსოფიურ მეცნიერებაში (ახალი ტექსტის გამოვლენა და მისი ყოველმხრივი ანალიზი) უაღრესად სასარგებლოა როგორც ძველი ქართული ლიტერატურის და ენის სპეციალისტებისათვის, ასევე ფილოლოგთა ფართო წრისათვის.

პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე

თ. 1. ქეთევან ბეზარაშვილი
იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი და ახლადგამოვლენილი ქართული ვერსია
(«ღირსი მამისა ჩუენისა იოანესი სინა-მთის მამა-სახლისისა კლემაქსი, რომელ არს «კიბე»)

იოანე სინელის (VI-VII სს.) ასკეტიკურ-მისტიკური თხზულება "კლემაქსი" ანუ "სამოთხის კიბე" (Κλῖμαξ τοῦ παραδείσου)[1] მეტად გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. 30 თავისაგან შემდგარი "კლემაქსი" (ἡ κλῖμαξ-კიბე. თითოეული თავი თითოეულ აღსავალ ხარისხს შეესაბამება) სიმბოლურად გამოხატავდა ბიბლიური იაკობის სიზმარს – ცად აღმავალ გზას კიბის სახით და ქრისტეს ცხოვრების 30 წელს ნათლისღებამდე, რაც შეესაბამებოდა ზნეობრივი სრულქმნის გზას, რომლის საბოლოო მიზანი ღმერთთან მარადიული კაეშირია. "კლემაქსის" თითოეულ თავში განხილულ ვნებათაგან განწმენდილი მოღვაწე სულიერი სრულყოფისაკენ აღმართმავალი კიბის საფეხურების გაელით საბოლოოდ აღწევს ღვთაებრივი სიმშვიდის მდგომარეობას (ἡ ησυχία)

[1] S. P. N. **Joannis Climaci Scala Paradisi**, Patrologia Cursus completus serie Graeca, ed. G. P. Migne, t. **PG 88, Paris, 1860, col. 631-1164** - Κλῖμαξ του παραδείνου (col. 1165-1210: Πρὸς τὸν ποιμένα λόγος). ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში. "მაცნე", ელს, 1986, № 3, გვ. 96; "იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია" ("მაცნე", ელს, 1987, № 4. გვ. 129, შენშ. 2).

მიწაზე. ეს სულიერი ღრმა გამოცდილება თხზულებაში გადმოცემულია ზოგჯერ არა რთული მსჯელობით და შინაგანი თვითსრულყოფის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით, არამედ სადა, ცოცხალი ენითა და სხარტი, ლაკონიური, აფორისტული ფორმით, სენტენციებით, მორალური შეგონებებით სათნოებათა შესახებ. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი ამ თხზულების ასეთი პოპულარობისა[1]. იგი თარგმნილია ქრისტიანული მწერლობის მქონე თითქმის ყველა ენაზე: ახალბერძნულ, ლათინურ, სირიულ, არაბულ, ეთიოპურ, ქართულ, სომხურ, და სლავურ ენებზე (ბულგარეთი – X-XI სს.). სომხურად და სლავურად მისი რამდენიმე ვერსია არსებობს[2] (რუსეთში, მაგალითად, იგი გაერცელებული ყოფილა ორი რედაქციით – XI-XI და XIV სს.)[3]. ქართულად მისი რამდენიმე ვერსიაა

---

[2] **M. Geerard**, Corpus Christianorum Clavis Patrum Graecorum III, Brepols-Turnhout, 1979, გვ. 477 (Johannes Climacus). აქვე ქართული წარმოდგენილია მხოლოდ ერთი უძველესი ვერსიით. **Πρὸς τὸν ποιμένα, PG 88, col. 1165-1210**. არ იყო გათვალისწინებული, რომ აქვე მითითებულია გ. ფერაძის შრომა (**G. Peradze**, Die alt-christiche Literatur in der georgischen uberlieferung. Oriens Christianus, III, 6, 1931, გვ. 243), რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა არსებული ქართული ვერსია (გარდა, რა თქმა უნდა, ამ ახალი ქართული ვერსიისა). ამდენად "კლემაქსის" ქართული ვერსიები Clavis-ში ასე თუ ისე იგულისხმება.

[3] **Ф. А. Брогкаузъ, И. А. Ефронъ**, Богословская Энциклопедия, т. 6, 1903, с. 1005-1007 (Иоанн Лествичник, Синаит). ზოგჯერ იოანეს კლემაქსსაც უწოდებდნენ. ვინაიდან ამ სტატიებში, სადაც გარკვეული იყო გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებისა და "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის შედგენილობა და მათი მოცულობის განსაზღვრულობის გამო არ იყო ჩამოთვლილი დაწვრილებით "კლემაქსის" ამ ახალი ვერსიის თავების სახელწოდებანი (მითითებული იყო მხოლოდ თავთა ნომრები და რაოდენობა და უბრალოდ ნათქვამი იყო, რომ დანარჩენი თავების, ანუ ის, რაც არ

ცნობილი. როგორც ჩანს, ქართველი მოღვაწენი სხვადასხვა დროს სხვადასხვა თვალსაზრისით უდგებოდნენ ამ თხზულებას, რის საფუძველსაც, რა თქმა უნდა, მისი შინაარსიც იძლეოდა.

ახლადგამოჩენილი კლემაქსის შესახებ **ქ. ბეზარაშვილის პუბლიკაციაში:** „იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია“ (იხ. "მაცნე", 1986; 1987, № 4) განხილულია ძეგლის შედგენილობა, წარმომავლობა, მისი შემცველი ხელნაწერების ტექსტობრივი თავისებურებანი, ძეგლის ენობრივ-სტილისტური მხარე, მასთან დაკავშირებული ფილოლოგიურ-ისტორიული არგუმენტები, რომელთა მიხედვით, "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანი *პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში* შესრულებლადაა მიჩნეული, დაახლოებით XII-XIV საუკუნეებში, ხოლო მოგვიანებით მრავალგზის მომხდარა მისი გადაწერა სხვადასხვა საუკუნეში ასპარეზზე გამოჩენილი მოღვაწეების მიერ.

არის მითითებული გრიგოლის ლექსების ცხრილში, "კლემაქსის" თავებს წარმოადგენსო), ამიტომ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც ისინი (თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988) მექანიკურად ისევ ძველებურად იქნა წარმოდგენილი – "კლემაქსის" თავები და ისევ გრიგოლის ლექსებში შეეიდა. ვფიქრობთ, წიანმდებარე პუბლიკაციის შემდეგ მაინც გაირკვევა, თუ რომელი თავებია "კლემაქსისა" და რომელი – გრიგოლის პოეზიისა ("კლემაქსის" თავების სახელწოდებანი იხ. აქვე ტექსტში, გრიგოლის ლექსების შედგენილობისათვს კი იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია "მაცნე", 1986, № 3, 109-110. იხ. ცხრილის შემდეგ დასახ. სტატიაში და წიგნები (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიაზნელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, 2015; წ. II, 2016).

"კლემაქსის" ცნობილი ქართული ვერსიები და უცნობი ვერსიის შედგენილობა

დღემდე ცნობილი იყო "კლემაქსის" შემდეგი ქართული ვერსიები[4]: 1. X საუკუნემდელი შემოკლებული (გამოკრებილი) პროზაული ვერსია[5]. ცნობა მის შესახებ მოიპოვება ამ თხზულების *ეფთვიმე ათონელისეული ვერსიის ანდერძში*, სადაც ამ პირველი ვერსიის ნაკლულობა და მრუდედ თარგმნაცაა დასახელებული მეორედ თარგმნის მიზეზად[6]. 2.

---

[4] მათ შესახებ იხ: კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 65 (თსუ მოამბე, 8, 1927, 99-202, გვ. 155); კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 204, 287, 333, 381, 546; ს. გორგაძე, იოვანე სინელის "კლემაქსი" ჩვენს მწერლობაში, თფ., 1916 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნ. Q-788: ს. გორგაძის პირადი საარქივო ფონდი № 13); M. K. Цинцадзе, Язык "Лествицы" Иоанна Синаита в грузинском переводе Евфимия Афонского, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1966, გვ. 4, 5. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 88-89.

[5] იხ. მაგ., Sin 14. **Garitte**, Catalogue des manuscrits Georgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1956). როგორც გამოირკვა, იგი არაბულიდანაა თარგმნილი (**B. Outtier**. Les Enseignements des peres, un Recueil Georgien traduit de l'arabe, **Bedi Kartlisa**, revue de Kartvelologie, vol. 31, Paris, 1973, p. 45, n. 24).

[6] იხ. მაგ., H-1669, 1r-9v (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, 1950, გვ. 96). ამის შესახებ *ეფთვიმე ათონელი* იძლევა განმარტებას თავის ანდერძმინაწერში, რომ იგი არ აურიონ თხზულების სათაურში – «...*ნეტარსა ამას მამას, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქვამს, არათუ კლემაქსი ეწოდების, ნუ იყოფინ, არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაქსი წიგნსა ეწოდების ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედი პირველ ეთარგმნა, კლემაქსი ეთქვა მის*

ეფთვიმე ათონელის პროზაული ვერსია (X-XI სს.).[7] 3. იოანე პეტრიწის პროზაული ვერსია (XI ს.), რომელიც *პეტრე გელათელისეულად* იყო მიჩნეული[8]. იგი უფრო მეტი ზედმიწევნულობით მიჰყვება ბერძნულ დედანს, ვიდრე *ეფთვიმეს* თარგმანი და ამავდროულად, ახლავს *ფოტი პატრიარქის* კომენტარები. 4. *იოანე პეტრიწის* მიერ იამბიკოდ გალექსილი ცალკეული გამოკრებილი ადგილები ეფთვიმესეული პროზაული ვერსიიდან, რომელსაც ივ.

წმიდისადა (H-1669, 1r. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, თბ., 1950, გვ. 96).

[7] გამოცემულია: ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემაქსი, რომელ არს კიბე, ფოთი, 1902. გამოიცა ხელმეორედაც: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1986, გვ. 200-482.

[8] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 333. М. К. Цинцадзе, Язык "Лествицы" Иоанна Синаита в грузинском переводе Евфимия Афонского, Тб., 1966, გვ. 5. ი. ლოლაშვილი მას იოანე პეტრიწისეულად მიიჩნევს. მისი აზრით, პეტრე გელათელისაა მხოლოდ ტექსტზე დართული იამბიკოები (ი. პეტრიწი, "სათნოებათა კიბე"..., თბ., 1968, გვ. 65-68, 89). იხ. აგრეთვე A-39. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), I,ı თბ., 1973 [1974], გვ. 119-120. ი. ლოლაშვილის ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მ. ცინცაძის მიერ გამოელენილი ფაქტიც. H-1669, რომელსაც XII-XIII საუკუნეებით ათარიღებდნენ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (N) IV, 1150, გვ. 96). მ. ცინცაძემ XI-XII საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო თავად ხელნაწერში, რომელიც ტრადიციული ცნობებით ეფთვიმეს რედაქციის "კლემაქსს" შეიცავდა, 16r-215v-ზე ე. წ. პეტრე გელათელისეული რედაქცია აღმოაჩინა ჩართული და, აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ პეტრე გელათელი XIII ს-ის მოღვაწე ვერ იქნებოდა (იხ. მ. ცინცაძის დასახ. აეტორეფერატი, 1966, გვ. 5). ვფიქრობთ, შესაძლოა, რომ სწორედ ეს გარემოება უფრო გამოდგება იოანე პეტრიწის ამ რედაქციის აეტორად მისაჩნევად, ვიდრე პეტრე გელათელის მოღვაწეობის გადასათარიღებლად.

ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით "სათნოებათა კიბე" ეწოდება[9]. 5. ანტონ კათალიკოსის (XVIII ს.) მიერ ასევე იამბიკოდ გალექსილი ცალკეული გამოკრებილი ადგილები პეტრიწული პროზაული ვერსიიდან[10]. ცალკე კრებულში გვხვდება აგრეთვე გამოკრებილი ადგილები "კლემაქსიდან", უმეტესად ეფთვიმეს ვერსიიდან ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულებებიდან გამოკრებილ "სწავლანებთან" ერთად. ასეთია, მაგალითად A-67

---

[9] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შემიშენები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, 1968, გვ. 94-99. "კლემაქსს" "კიბე სათნოებათას" და "სულიერ კიბეს" უწოდებს **დანიილ რაითელი მონაზონი, იოანე სინელ მამასახლისის** ცხოვრების ავტორი (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 200-201). ასევე იხსენიებს მას **ეფთვიმე ათონელიც**: "*ხოლო ამისთჳს ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ ვითარცა კიბე სათნოებათა შექმნა წიგნი ესე და მდაბალთა საქმეთაგან იწყებს და თანა და თანა მაღალთა მიმართ აღვალს*"... გვ. 200. იხ. აგრეთვე H-1669, 1r. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, 1950, გვ. 96. **ედიშერ ჭელიძეს** მიაჩნდა, რომ ადრეული რედაქცია პეტრე გელათელის მიერ არის შესრულებული. იხ. ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა (I), რელიგია, წ. I, 3-4-5, 1994, გვ. 113-126; წ. 2, 1-2-3, 1995, გვ. 76-80.

[10] იხ. "სათნოებათა კიბის" გამოც., 1986, გვ. 93. იხ. აგრეთვე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) V, თბ., 1967, გვ. 275 და სხვ. კ. კეკელიძის "უცხო ავტორებში" შემთხვევით პეტრე გელათელისეულ რედაქციადაა მიჩნეული A-226 და A-799, რომლებიც **ანტონის** რედაქციას შეიცავენ (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), I3, თბ., 1980, გვ. 34-35. Ѳ. Э. Жордания, Описание рукописей Тифлисского музея, Тифлис, II, 1902, გვ. 227-228.

XVI ს. მისი ფრაგმენტი მოთავსებულია H-2053-ში (XIX ს.)[11]; A-57 (XVII ს.), S-63 (XVIII ს.), არქ. 297 (XVIII-XIX სს.) და სხვ.

აღმოჩნდა, რომ XVIII-XIX სს. ხელნაწერ კრებულებში (S-2568, C-9, H-1737, S-348, S-379, S-3642, S-3731) მოთავსებულია "კლემაქსის" კიდევ ერთი ქართული მასალის საფუძველზე წარმოშობილი დღემდე უცნობი იამბიკური არასრული ვერსია, რომელიც ანონიმურია. იგი არასრულია თავთა რაოდენობის მიხედვით. თითოეულ თავში წყაროს (პეტრიწული პროზაული ვერსიის) მთლიანი თავები კი არაა სრულად გალექსილი, არამედ მისგან გამოკრებილია ცალკეული ადგილები, *როგორც იოანე პეტრიწისა და ანტონის* ვერსიებში. ეს ახალი ვერსია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლ ღმრთისმეტყველის პოეზიად მიიჩნეოდა (ხოლო ცალკეული თავების სათაურები ამ ე. წ. გრიგოლის ლექსების სათაურებად), რამდენადაც დასახელებულ ხელნაწერებში უშუალოდ მოსდევს გრიგოლ ნაზიანზელის ლექსთა ანონიმურ ქართულ თარგმანს და არ ახლავს ავტორზე მითითება[12]. იგი

---

[11] ხელნაწერთა აღწერილობაში არ იყო განსაზღვრული მისი რაობა (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, თბ., 1949, გვ. 31.

[12] იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძვ. ქართ. წერილ., ეტიუდები, V, თბ., 1957, მოამბე, 8, 1927, გვ. 38-39; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 612-615. იხ. აგრეთვე დასახელებულ ხელნაწერთა აღწერილობანი: საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, თბ., 1950, გვ. 165-166; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, თბ., 1959 [1960], გვ. 402-403, 441-443, 445. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) IV, თბ., 1965, გვ. 55-56. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 123-124, 277-278; Р. Орбели, Собрание Грузинских рукописей

პირდაპირ იწყება “კლემაქსის” მე-7 თავის ფრაგმენტით (“გპოო მას შინა...”) უსათაუროდ, რომელიც გამოუყოფის გარეშე ებმის წინ მოთავსებულ ტექსტს (“თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა” და “ათორმეტნი პატრიარქნი”[13]) და რომელსაც მოსდევს “კლემაქსის” მე-11 თავის სათაური – “მრავალმეტყუელებისა და დუმილისათჳს” (მას ახლავს თავის ნომრის აღნიშვნა). აი, ამ თავიდან იწყებს კ. კეკელიძე “კლემაქსის” ამ ვერსიის თავების აღრიცხვას გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიასთან ერთად, რადგან მე-7 თავის ფრაგმენტი მის ხელთ არსებულ ხელნაწერებში შეუმჩნეველადაა მოთავსებული მის წინ არსებულ ტექსტთან (S-2568), ან გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტებშია შეტანილი (A-711), ან

Института Востоковедения АН СССР, Ученые записки ИВ, IX, 1954, 30-66, გვ. 51.

[13] “ათორმეტნი პატრიარქნი” წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის ლექსს – Πατριάρχαι υἱοι τοῦ Ἰακώβ carm. I, 1, n. 13; PG. 37, col. 475 (დასაწყისით: “ხოლო ათორმეტნი პატრიარქნი დიდისა მამისა იაკობისაგან”... – Δώδεκα δ’ ἐξ Ἰακῶβ πατρός μεγάλοιο πάτραρχοι... ბერძნული 5 ჰეგზამეტრული კარედი ქართულად პროზადაა თარგმნილი). “კლემაქსის” უცნობი ვერსიის შემცველ ხელნაწერებთაგან იგი მოთავსებულია ამ ვერსიის წინ S-2568-ში, C-9-ში, S-3642-ში (ხელნაწერებზე იხ. ქვემოთ), სადაც იგი მის წინ მოთავსებული იოანიკ მონაზონის იამბიკოების გამო დაცილებულია გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებისაგან ქართული თარგმანების ცხრილში. იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, №3, გვ. 88-96, ხოლო S-3731-ში მის წინ მოთავსებულ ამ არანაზიანზელისეული იამბიკოებითურთ გადატანილია გრიგოლის ლექსებში (ამიტომ ვერ მივუთითეთ ეს ლექსი გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ქაართული თარგმანის ცხრილში).

საერთოდ არ არის (S-348, S-379)[14]. აქედან გადადის ეს ინფორმაცია ხელნაწერთა აღწერილობებშიც.

"კლემაქსს" თემატიკით (ზნეთსწავლულებით) ბევრი რამ აქვს საერთო გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) გნომურ ლექსებთან[15], ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე", ზოგჯერ ანტონის მიერ გალექსილი "კლემაქსი" და გრიგოლ ღმრთისმეტყველის ლექსები ხელნაწერებში ერთად არის მოთავსებული (მაგ. S-2568, S-3731 და სხვ.). ამას ემატება "კლემაქსის" ახალი ქართული ვერსისაც.

აღმოჩნდა, რომ "კლემაქსის" ახალ ქართულ ვერსიას საფუძვლად უდევს *პეტრიწული პროზაული* თარგმანი, რომელიც მოთავსებულია H-1669 (XI-XIII სს.), A-39 (XIII-XIV სს.)[16], S-344 (XVIII ს.) ხელნაწერებში. თუ იოანე პეტრიწი ქმნის "კლემაქსის" დამოუკიდებელ, თითქმის ორიგინალურ

---

[14] დანარჩენი ხელნაწერები (C-9, H-1737, S-3642, S-3731), როგორც კ. კეკელიძის ზემოთ დასახელებული შრომებიდან ჩანს, მას ხელთ არ ჰქონია. კ. კეკელიძის ამ შრომებში "კლემაქსის" უცნობი ვერსიების თავები (იხ. ტექსტი) მითითებულია როგორც *გრიგოლ ნაზიანზელის* ლექსების სათაურები და წარმოდგენილია ოდნავ გადაადგილებული რიგით, რაც ხელნაწერთა ფურცლების აღრევითაა გამოწვეული (ხელნაწერებზე იხ. ქვემოთ).

[15] "კლემაქსს" სწავლანიც ეწოდება: "სწავლანი მონაზონთა მიმართ" (იხ. H-1669, 9v; საქართვ. სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, 1950, გვ. 96).

[16] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), II, გვ. 119-120. თ. ჟორდანია XIV საუკუნით ათარიღებს Θ. Жордания, Описание рукописей,,, Тф. 2, 1902, გვ. 227-228).

რედაქციას[17], ხოლო *ანტონი* თავისებური ცვლილებებით ძირითადად მაინც იმეორებს თავის წყაროს[18], ანონიმი უფრო მეტი ფრაზეოლოგიური სიზუსტით, ვიდრე ანტონი, მისდევს თავის წყაროს – პეტრიწულ პროზაულ თარგმანს, როგორც თავების სათაურების, ისე წყაროს ლექსიკის თითქმის ზედმიწევნითი დაცვით. განსხვავებით *იოანე პეტრიწისა და ანტონის* ლექსითი რედაქციების შედგენილობისაგან, სადაც თავების სათაურები იკითხება პირველ აკროსტიქულ სტროფში და თითოეულ თავში 10-11 იამბიკური (5-ტაეპიანი) სტროფია, ახალ ვერსიაში ნებისმიერია როგორც იამბურ სტროფთა

---

[17] ამ მხრივ იგი შეიძლება შევადაროთ ეფრემ მცირის "ასეულ იამბიკო", სადაც გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების საფუძველზე დგება სრულიად დამოუკიდებელი თავისუფალი თარგმანი. ი. ლოლაშვილის აზრით, "ასეული იამბიკო" "სათნოებათა კიბის" ერთ-ერთი წყაროცაა (**ი. ლოლაშვილი**, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, თბ., 1982, გვ. 167). "სათნოებათა კიბის" თავისთავადობა ჩანს იმ სტროფებში, რომლებიც იოანე პეტრიწს წყაროსაგან დამოუკიდებლობა ჩანს სტროფებში შეთხზული, რაც ამ თხზულების ი. ლოლაშვილისეულ გამოცემაში ეარსკვლავებითაა აღნიშნული (იხ. **ი. ლოლაშვილი**, "სათნოებათა კიბის" დასახ. გამოც., 1968, გვ. 168). ეს დამოუკიდებლობა ზოგჯერ მსოფლმხედველობრივ განსხვავებაშიც გადადის. ამას ნათელყოფს, მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული ფაქტი, რომ *არისტოტელეს* მოძღვრება "საშუალზე" გაელენას ახდენს გვიანდელი შუა საუკუნეების აზროვნებაზე და იოანე პეტრიწზედაც, რომელიც ეთიკურ სათნოებებზე მსჯელობისას ყოველი სათნოების უმაღლეს კატეგორიად სწორედ "საშუალს" მიიჩნევს, როცა *იოანე სინელის "კლემაქსის"* შესაბამის ადგილებში "საშუალზე" საუბარი არაა (**ე. ხინთიბიძე**, მსოფლმხედველობრივი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1979, გვ. 222). წყაროსაგან მსგავსი გადახვევები არ ჩანს "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიაში. იმ სტროფებში კი, რომლებიც იოანე პეტრიწს წყაროსაგან დამოუკიდებლად აქვს შეთხზული.

[18] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე 1968, გვ. 93-96 (**ი. ლოლაშვილის** გამოკვლევა).

რაოდენობა, ისე სტროფში ტაეპთა რაოდენობა (4-5-7-9 და მეტი). იოანე პეტრიწისა და ანტონის მიერ გალექსილია უმეტესად სულ სხვა ადგილები "კლემაქსისა", ხოლო ანონიმის მიერ – სხვა. თანხვედრა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია, რაც ცხადყოფს მათ განსხვავებულობას. მაგ., შდრ. ანონიმი. თ. 12 – "მხიარულქმნილი ღუნითა უნებლიეთ იჭეშმარიტებს" სტრ. 4, შდრ. წყარო *პეტრიწული პროზაული ვერსია*: "ღუნითა მხიარულქმნილმან უნებლიეთ იჭეშმარიტოს"); იონე პეტრიწი: "და ამის რაჲ ღუნომან გული კაცისა, თუნიერ მისსა თქჳს რაჲმე სამართალ" (სტრ. 121. შდრ. წყარო – ეფთვიმე ათონელის ვერსია: "დააჰამის რაჲ ღუნომან გული კაცისა, თუნიერ ნებისა მისისა თქჳს სამართალი"); ანტონი: "ოდეს ღუნომან დაათრვის იგი ვინმე, // მაშინ ჭეშმარიტთ ათქმევდეს მას სიმთურალე" (S-3731, 125v). ანონიმური ვერსიის თავთა რაოდენობა არასრულყოფილია – აქ წარმოდგენილია 12 თავი ოცდაათიდან (თ. 7, 11, 12, 14, 15, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30). განსხვავებით *იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბისაგან"*, მას, ისევე როგორც ანტონისა და სხვა ქართულ ვერსიებს, ერთვის "კლემაქსისადმი" დართული იოანე სინელისაეე თხზულება "მწყემსისა მიმართ" (Πρὸς τὸν ποιμένα)[19]

---

[19] Liber ad pastorem, **PG, 88,** col. 1165-1210. იოანე პეტრიწი, შრომები II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა თბ., 1973, გვ. CXII აკად. *კ. კეკელიძეს* სპეციალურად არ უკვლევია ეს თხზულებანი, მაგრამ *დიდი მეცნიერის ალღოთი* გრიგოლის პოეზიის თარგმნას დიდ მოვლენად მიიჩნევდა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის (იგივე შეიძლება ითქვას ამ პოეზიასთან მოთავსებულ ანონიმურ "კლემაქსზედაც") და მისი

"კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია ერთგვარად უკავშირდება გრიგოლის ლექსების ერცელ ანონიმურ თარგმანს[20]. ხელნაწერებში გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანები მთავრდება *"სწავლანით"* (იამბურ სტროფთა ნაერთით), რომელსაც იოანიკ მონაზონის ჩართული იამბიკოების შემდეგ[21] მოსდევს "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია (S-2568, C-9, H-1737, S-348, S-3731). ზოგ ხელნაწერში "სწავლანს" უშუალოს მისდევს "კლემაქსის" ახალი ვერსია (S-379, S-3642). *"სწავლანის"* ერთი ნაწილი წარმოადგენს გრიგოლის გნომური ორტაეპედის (Γνῶμαι δίστιχοι- PG, 37, carm. I, 2, n. 31) ცალკეულ სტროფთა არეულ ნაერთს, სადაც

თარგმნის საევარაუდო დროდ *იოანიკ მონაზონის და იოანე ოქროპირის* იამბიკოებთან ერთად XII ს. I ნახევარს ვარაუდობდა (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 612).

[20] არსებობს გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანიც (2 ჰიმნი), რომელიც ცალკეა მოთავსებული ხელნაწერებში (S-269, S-379). "კლემაქსის" ახალი ვერსია მხოლოდ იმ ხელნაწერებშია, სადაც გრიგოლის ლექსების ერცელი ანონიმური თარგმანია მოთავსებული და ერთგვარად უკავშირდება და მოსდევს მას (იხ. ქვემოთ ხელნაწერთა მიმოხილვა. იხ. აგრეთვე ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, ელს, 1986, № 3, გვ. 87-112; 96).

[21] პირველი მათგანი წარმოადგენს XI ს.-ის მოღვაწის Joannes Mauropos Euchaita-ს, იამბურ ლექსს Εἰς τοὺς ἀποστόλους (PG 120, col. 1196: carm. 99: *Σταυροῖ Πέτρον κύμβαχον ἐν Ῥωμῃ Νέρων* – *"ჯუარს აცუამს პეტრეს თავდამოლმართ ჰრომს ნერონ"*. S-2568, 66r). იხ. მთლიანად ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, თბ., 2016, გვ. 294 (იოანიკ მონაზონის, PG 120, col. 1196: carm. 99 *ქართულ-ბერძნული* ლექსის, იამბიკონის მიხ. *გრიგოლ ნაზიანზელის* (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, გვ. 294).

ბერძნული ორი ტაეპიდან იქმნება ქართული ოთხი ტაეპი[22]. დანარჩენი შვიდი 5-5 ტაეპიანი სტროფი შინაარსის მიხედვით ეხება იმგვარ ზნეობრივ საკითხებს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებაში, არამედ სხვა ავტორებთანაც, მაგ., იოანე სინელის "კლემაქსშიც", საიდანაც იგი მოკლე სენტენციების სახით, შესაძლოა, უნდა იყოს გამოკრებილი.

"*სწავლანი*" და "*კლემაქსი*" ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მარტო ტექსტობრივად (ხელნაწერებში მათი ერთად მოთავსების ტრადიციის მიხედვით), არამედ შინაარსობრივადაც. "სწავლანის" ბოლო შვიდი სტროფი (შვიდი ცოდვისა და მადლის შესახებ მსჯელობის შემცველი) სწავლანის მომდევნო შვიდი სტროფი "სწავლანის" წინა ნაწილს და გრიგოლის გნომურ სტროფებს უკავშირდება სენტენციურობით, დიდაქტიკური შინაარსით და ბუნებრივად გადადის მსგავსი შინაარსი ახალ თხზულებაზე "კლემაქსზე". ამგვარად, "*სწავლანი*" ერთგვარი შემაერთებელი ხიდი ხდება გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართულ თარგმანსა და იოანე სინელის "კლემაქსის" ამ ახალ ქართულ ვერსიას შორის. ვფიქრობთ, ამ ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ "სწავლანის" ზემოთ აღნიშნულ სტროფებს ხელნაწერებში ოდნავი დაცილებით მოსდევს იამბური ლექსი ("რაბამ ტკბილ საგემ"...ALB...), რომელის მთარგმნელის ლოცვა-ვედრება უნდა

[22] ქ. ბეზარაშვილი, გრ. ნაზ.-ის პოეზია ქართ. მწერლ.-ში, მაცნე, 1986, № 3, გვ. 96.

იყოს წმინდანებისადმი[23]. ენობრივ-სტილისტური თავისებურებებითაც იგი ორგანულად უკავშირდება როგორც წინამავალ სტროფებს შვიდი ცოდვა-მადლის შესახებ, ისე მომდევნო ტექსტს –"კლემაქსის" ახალ ქართულ ვერსიას (იხ. ქვემოთ).

ამგვარად "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსიის ტექსტთან ერთგვარად დაკავშირებულია ტექსტი – "შვიდთათვის ვნებათა". ამ სახელწოდებას აღვადგენთ იოანე პეტრიწისა და ანტონის ლექსით ვერსიებზე დართული ანალოგიური იამბიკურად გალექსილი ტექსტების სახელწოდების მიხედვით. ჩანს, რომ "სათნოებათა კიბისადმი", "შვიდთა ვნებათათვის" დართვა ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციით არის განპირობებული[24].

ქართულ მწერლობაში არსებობს "კლემაქსისა" და "*შვიდთათვის ვნებათას*" ერთი და იმავე პირის მიერ გალექსვის ტრადიცია (*იოანე პეტრიწი, ანტონი*)[25]. იგივე უნდა ვთქვათ

---

[23] **ქ. ბეზარაშვილი,** გრ. ნაზ.-ის პოეზია ქართ. მწერლ., მაცნე, 1986, № 3, გვ. 96.

[24] შდრ. და იხ. Mosq. Synod. 460, 311v - Лествица добродетелей; 312г – О семи страстях (**Архимандрит Владимир,** Систематическое описание рукописей Московской синодалъной (патриаршей) библиотеки, ч. I (рукописи греческие), М., 1894, ч.1, 671, 698. იხ. "*შვიდთათვის ვნებათას*" გვერდი: **ქ. ბეზარაშვილი,** გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, თბ. 2015, გვ. 609-615.

[25] მკვლევართა აზრით, "კლემაქსის" იოანე პეტრიწისეულ გალექსილ ვერსიას დართული "შუდთა ვნებათათუს" ავტორი იოანე პეტრიწივეა, ხოლო ანტონისეულ ვერსიას დართული "შუდთა ვნებათათუს" ტექსტის ატორი ანტონია (**ს. გორგაძე,** იოანე სინელის "კლემაქსი",

ანონიმურ ვერსიაზეც, ხოლო ანონიმური "შვიდთათვის ვნებათას" სტროფების ერთგვარი შუალედურობა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიასა და "კლემაქსის" ანონიმურ ვერსიას შორის იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გრიგოლის პოეზიის ვრცელი ანონიმური ქართული თარგმანი, "შვიდთათვის ვნებათა" და "კლემაქსის" ანონიმური ვერსიაც ასევე ერთსა და იმავე პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ისიც, რომ თვით იოანე სინელის "კლემაქსში" შვიდი ცოდვის ერთ-ერთ უპირველეს სახელმძღვანელად რვაცოდვიანი სისტემის შემდეგ სწორედ გრიგოლ ღმრთისმეტყველია დასახელებული[26]. განსხვავებით, იოანე

თბ., 1916; იხ. აგრ. S-3642 და S-3731) ხელნაწერთა აღწერილობანი – აღმწერელი **თ. ენუქიძე** (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 122, 274, 276), H-1023 ხელნაწერის აღწერილობა – აღმწერელი **ქრ. შარაშიძე** (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, III, თბ., 1948, გვ. 22); **იოანე პეტრიწი**, *სათნოებათა კიბე*, **ი. ლოლაშვილის** გამოკვლევა, 1968, გვ. 255; **თ. კუკავა**, იოანე პეტრიწის წიგნი "ათორ თვისა" ("პროლოღია"), თბ., 1978, გვ. 30-34). შვიდი ვნების საკითხს XVIII საუკუნეში ცალკე თხზულებებს (ორიგინალურს თუ ნათარგმნს) უძღვნიან *ნიკოლოზ თბილელი და კვიპრიანე სამთავნელი* (**კ. კეკელიძე**, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 348-349, 339). შვიდი ვნების შესახებ არსებული ყველა ეს ტექსტი შედგენილობითა და თანმიმდევრობით სხვადასხვა და ერთი წყაროდან არ მომდინარეობს. საერთოდ, შვიდ და რვა ცოდვა-მადლზე მსჯელობა ბერძნულ-ქართულ მწერლობაში ცალკე კვლევის საკითხია. წინამდებარე სტატიის მოცულობის განსაზღვრულობის გამო "შვიდთათვის ვნებათას" ანონიმურ ტექსტს (რომელიც ამ თხზულების იოანე პეტრიწისეული და ანტონისეული ვერსიების დარად ასევე ორიგინალურად უნდა ჩაითვალოს) და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკე შრომაში შევეხებით.

[26] **PG, 88, col. 948-949**. იხ. ეფთვიმეს თარგმანი, იოანე სინამთის კლემაქსი კიბე, ფოთის გამოც., 1902, გვ. 248. საქართველოს

პეტრიწისა და ანტონის ვერსიებისგან "შვიდთათვის ვნებათას" ანონიმური ქართული ვერსია კი არ ერთვის, არამედ წინ უძღვის "კლემაქსის" ტექსტს, თანაც მასში ორ-ორ სტროფად კი არაა გალექსილი ცოდვა და მისი შესაბამისი მადლი, არამედ ერთ სტროფშია ორივე მოთავსებული. მას არც იამბიკური სტროფი უძღვის იოანე პეტრიწისა და ანტონის ვერსიების დარად, რომლის კიდურწერილობაშიც იკითხება სათაური – "შუდთათჳს ვნებათა". იგი პირდაპირ უერთდება გრიგოლ ნაზიანზელის სტროფებს "სწავლანში". საყურადღებოა, რომ წინდართული აკროსტიქული სტროფი, რომლის კიდურწერილობაშიც იკითხება სათაური, არ ერთვის არც "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის თავებს იოანე პეტრიწისა და ანტონის ვერსიებისაგან განსხვავებით (შესაძლოა, ეს ანონიმის განმასხვავებელი თავისებურებაცაა ამ ავტორებთან შედარებით).

ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 362; იოანე პეტრიწი, "სათნოებათა კიბე", ი. ლოლაშვილის გამოც., 1968, გვ. 221; იოანე პეტრიწის თარგმანი – H-1669, 121v-122r.

ახლადგამოვლენილი ვერსიის ნუსხები და მათი ტექსტობრივი თავისებურებანი

ხელნაწერთა ტექსტობრივი თავისებურების მიმოხილვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც "კლემაქსის" ამ ახალი ვერსიის, ისე გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანის წარმომავლობის დადგენისათვის.

"კლემაქსის" ახლადგამოვლენილი ვერსიის შემცველ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრინდელია S-2568 (**A: XVIII** ს.)[27], რომელსაც **A** ლიტერით აღვნიშნავთ. იგი დაწერილია ნუსხურით, აქვს რვეულებრივი პაგინაცია. შეიცავს იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბეს" (მასთან ერთად "შჳდთათჳს ენებათას"), გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ერცელ ანონიმურ რედაქციას, "კლემაქსის" უცნობ ქართულ ვერსიას, იეზეკიელისა და პეტრე გელათელის იამბიკოებს. რვეულები სრულია. ნაკლულია მხოლოდ ორი: IV და VIII რვეულებს აკლია 2-2 ფურცელი. IV რვეულიდან ერთი დაკლებული ფურცელი ("სათნოებათა კიბესა" და "შჳდთათჳს ენებათა" შორის) ცარიელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე დაკლებული ფურცელი (72r-v), რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის ოთხტაეპედის (Γνωμολογία τετράστιχος – PG 37, carm. I, 2, n. 33) მე-11-15 კომენტარებიან სტროფებს შეიცავს (მე-15-ს კომენტარი აგრძელებს მე-11-ს პირველ ტაეპს ოთხტაეპედის ძირითად

[27] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), IV, თბ., 1965, გვ. 53.

ტექსტში ამავე ხელნაწერში[28]), არასწორადაა ჩაკრული თავში – "მწყემსისა მიმართ". იქვე მასთან ერთად არასწორადაა ჩართული ერთი დაკლებული ფურცელი VIII რვეულიდან (73r-v), რომელიც "კლემაქსის" ახალი ვერსიის 23, 24-ე თავებს შეიცავს, ამ ჩართვის შედეგად "მწყემსისა მიმართ" თავის სტროფები გახლეჩილია შუაზე, ისე რომ, მისი მეორე ნაწილი (მე-2 სტროფის მე-4-5 ტაეპები და მე-3 სტროფი) ბოლოშია 24-ე თავის შემდგომ (71v-72r-v (ოთხტ.), 73r-v (თ. 23, 24), 74 r.). ფურცელთა დალაგების შედეგად გამოიკვეთება ასეთი სურათი: 67r-69v (თ. 7, 11, 12, 14, 15, 22), 73r-v (თ. 23, 24), 70r-71v (თ. 25, 26, 29, 30), 71 v, 74 r ("*მწყემსისა მიმართ*"). ასეა ტექსტი დალაგებულ წარმოდგენილ გამოცემაშიც, რომელიც ცალკე გამოქვეყნდა, მაგრამ დანარჩენ ხელნაწერებში, რომლებიც, როგორც ჩანს, A-დან მომდინარეობენ, თავების თანმიმდევრობა A-ს დარად არეულია: თ. [7], 11, 12, 14, 15, 22, 25, 26, 29, 30, მწყემსისა მიმართ: 23, 24. ვერ ვიტყვით, თუ რას შეიცავდა VIII რვეულის კიდევ ერთი დაკლებული ფურცელი. მასზე ვერ დაეტეოდა "კლემაქსის" ახალი ვერსიის მთელი ექვსი თავის ტექსტი მე-15-დან 22-მდე (მე-7 და მე-11 და მე-12-მე-14 თავები პირდაპირ ებმის ერთმანეთს და მათ შორის ადგილი არაა დატოვებული, რომ ვივარაუდოთ დაკლებული თავების

[28] ეს სტროფები გვერდაელილად იყო მიჩნეული ქართულ თარგმანში (ე. ნიკოლაძე, ეფრემ მცირე – მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, გვ. 50). იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3, გვ. 91.

არსებობა **A** ხელნაწერშიეე), მაგრამ შესაძლოა იგი აქედან რომელიმე თავს შეიცავდა. აგრეთვე შესაძლებელია, იგი შეიცავდა ლექსის გაგრძელებას (“*რაბამ ტკბილ საგემ...*” ALB...), რომელიც მოსდევს ზემოთ დასახელებულ “სწავლანს”, რადგან მის ბოლო ტაეპს **A**-ში არ ერთვის არანაირი სასვენი ნიშანი დასრულების ნიშნად, როცა გრიგოლ ნაზიანზელის ლექსები ან “კლემაქსის” ახალი ვერსიების ცალკეული სტროფების დასასრული სამი წერტილითაა აღნიშნული. VIII რვეულის შემდეგ (აქ მთავრდება თ. 26), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩართულ 2 ფურცელს (72r-v, 73 r-v), რვეულებრივი პაგინაცია აღარაა და მხოლოდ 3 ფურცელია მოთავსებული (თ. 29, 30, “*მწყემსისა მიმართ მკურნალთა შორის ნეტარ* პეტრე გელათელისა და იეზეკიელის იამბიკოები). შეიძლება აქ რვეულს აკლია ფურცლები, სადაც იყო მოთავსებული 27-28-ე თავები.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ **A** ხელნაწერის თითო-ოროლა დაკლებული ფურცლის მიზეზით “კლემაქსის” ახლად-გამოელენილ ქართულ ვერსიას შეიძლება აკლდეს მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი, ფრაგმენტული დასაწყისის მიხედვით კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **A** ადრეული ნაკლული დედნიდან მომდინარეობს (ნაკლულია მასში გრიგოლ ნაზიანზელის ზოგიერთი ლექსიც[29]). შესაძლოა, “კლემაქსის” ამ ქართული ვერსიის ტექსტი თავიდანვე სრული

[29] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3, გვ. 97.

არ იყო (30 თავისაგან შემდგარი, და თავების შერჩევის პრონციპით იყო გამოკრებილი), მაგრამ A-ში ამ საეარაუდო "გამოკრებილ" ნაწილსაც ემჩნევა, რომ ადრეულ დედანშივე აკლია რაღაც ნაწილი (დასაწყისი მაინც). ამას ვერ ვიტყვით A-შივე მოთავსებულ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ვრცელ ანონიმურ თარგმანზე, რადგან, მართალია ჩანს, რომ აქ ტექსტები შერჩევითაა შედგენილი, მაგრამ ისინი სრულია ტაეპთა კლების მცირეოდენი ცალკეული შემთხვევების გამოკლებით (მაგ., ოთხტაეპედში – Γνωμολογία τετράστιχος PG, 37, carm. I, 2, n. 33).

როგორც ვთქვით, A-დან მოდის თითქმის ყველა დანარჩენი ხელნაწერი. ისინი იმეორებენ A-ს შედგენილობას, A-ს კლებას, ფურცელთა აღრევას და "კლემაქსის" ახალი ვერსიის თავთა ნუმერაციასაც, რომელიც მექანიკურად ზოგიერთ თავთან გამორჩენილია (მხოლოდ EF ხელნაწერებს არა აქვს ნუმერაცია). თავად ამ ხელნაწერებში რვეულებრივი პაგინაცია სრულია. A-ს იმ ნაწილში, სადაც მოთავსებულია გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის, "კლემაქსის" უცნობი ვერსიის ტექსტები, იოანიკ მონაზონის, პეტრე გელათელისა და იეზეკიელის იამბიკოები (ე. ი. იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბისა", და "შუდთათუის ენებათას" გარდა, რომლებიც სხვაგვარი ნუსხურითაა გადაწერილი), დასტურდება დიაკრიტიკული და სასვენი ნიშნები: მახვილი, გარემორთხმული და სხვ. (თუმცა ხელნაწერს მთლიანი რვეულებრივი პაგინაცია აქვს და იგი ორი სხვადასხვა, შემდეგ გაერთიანებული

ნაწილისაგან არ შედგება). ეს პროსოდიის ნიშნები, რომლებიც XI–XIII სს.-ის *პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან* მომდინარე ხელნაწერებშიც დასტურდება (H–1669, A-39 – "კლემაქსის" პეტრიწულ ვერსიაში), ცხადყოფენ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის და იოანიკ მონაზონის იამბიკოების ანონიმური თარგმანის, "კლემაქსის" პეტრიწულ ვერსიაში), ცხადყოფენ *გრიგოლ ნაზიანზელი პოეზიის და იოანიკ მონაზონის იამბიკოების ანონიმური თარგმანის, "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიის, პეტრე გელათელისა და იეზეკიელის იამბიკოების* ერთი ადრეული დედნიდან წარმომავლობას, რომელიც პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში უნდა ყოფილიყო შექმნილი ან მისგან გადაწერილი (პროსოდიის ნიშნებისა და მასში მოთავსებული ამ სკოლის მოღვაწეთა თხზულებების მიხედვით[30]. დანარჩენ ხელნაწერებს A-სგან განსხვავებით ამჩნევია ანტონის სალიტერატურო სკოლის კვალი. ეს ხელნაწერებია:

L: C-9 (სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის (ლენინგრადის) განყოფილების ქართული ხელნაწერი) თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციიდან. უთარიღო, ჭვირნიშნის მიხედვით 1788 წ.[31]. დაწერილია მხედრულად,

---

[30] გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანი ენობრივ-სტილისტური ანალიზისა და ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტების მიხედვით ამ სკოლის მოღვაწეს მიეკუთვნება. (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3).

[31] **Р. Орбели**, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР, Ученые записки Института востоковедения, IX, 1954, გვ. 30-66. **Р. Орбели**,

ახლაეს თეიმურაზის კრიპტოგრამა. "კლემაქსის" უცნობი ვერსია აქ მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 45a r-48v (თ. 7, 11, 19, 14, 15, 22), 53r-54v (თ. 23, 24), 48v-51r (თ. 25, 26, 29, 30), 51r-v ("მწყემსისა მიმართ"). გრიგოლის ლექსების, "კლემაქსის" ახალი ვერსიისა და ჩართული იამბიკოების მიხედვით **L** მიჰყვება **A**-ს. შეიცავს აგრეთვე კონსპექტურ ჩანაწერებს ფილოსოფიაში და თეიმურაზის ფილოსოფიურ ლექსიკონს (ამის მიხედვით, იქნებ, თეიმურაზის გადაწერილიცაა).

B: H-1737, XVIII ს. ნუსხური[32]. "კლემაქსი" აქ მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 85r-87v (თ. 11, 12, 14, 15, 22), 91r-92r (თ. 23, 24), 85r-89v (თ. 25, 26, 29, 30), 90r-92v ("მწყემსისა მიმართ"). ხელნაწერს აკლია მე-7 თავის ფრაგმენტი და მის წინ მოთავსებული "ათორმეტნი პატრიარქნი" წმ. მოციქულთა სახელთა თარგმანების შემდეგ. **B** შეიცავს აგრეთვე "სათნოებათა კიბეს", ნიკოლოზ ტფილელის "შჯდთა ცოდვათათჳს", იოანიკ მონაზონის იამბიკოებს და სხვ.

C: S-348, XVIII-XIX სს. მხედრული (გადამწერი – ზაქარია)[33]. "კლემაქსი" მოთავსებულია: გვ. 102-108 (თ. 11, 12, 14, 15, 22), გვ. 117-119 (თ. 23, 24), გვ. 109-113 (თ. 25, 26, 29, 30), გვ. 113-114, 120 ("მწყემსისა მიმართ"). შედგენილობით B-ს მიჰყვება.

Из криптографированных записей Теимураза Багратиони. УЗ ИВ, т. XВИ///XVI, М., 1958, გვ. 396.

[32] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, თბ., 1950, გვ. 164.

[33] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, თბ., 1960, გვ. 401.

D: S-379, XIX ს. მხედრული[34]. ამ ხელნაწერში საერთოდ არეულია გვერდები და ფურცლები არასწორადაა ჩაკერებული, რის შედეგადაც აღწერილობაში იქმნება არასწორი სურათი: გვ. 221-222 და 215, სადაც მოთავსებულია "მწყემსისა მიმართ" (გვ. 222, 215), მიჩნეულია ამავე ხელნაწერში მოთავსებული გრიგოლ ნაზიანზელის "ოთხტაეპედის" ნაწილად, ალბათ იმიტომ, რომ მას კომენტარები ახლავს. ეს ნაწილი, როგორც ვთქვით, მართლაც ეკუთვნის "ოთხტაეპედს", მაგრამ "ოთხტაეპედის" ამ ხელნაწერში მოთავსებული ძირითადი ტექსტი ისეთივე შედგენილობისაა, როგორც სხვა ხელნაწერებში – თავიდანვე ნაკლულია, ასე რომ გვ. 215, 221-222-ზე მოთავსებული ტექსტი "ოთხტაეპედის" ძირითად ტექსტს **D**-შიც ისეეა დაცილებული, როგორც სხვა ხელნაწერებში. მით უმეტეს, რომ **D** გვიანდელი ნუსხაა. რაც შეეხება ამავე ხელნაწერის ბოლოში მოხვედრილ ფურცლებს (გვ. 215-216, 216-217–თ. 23, 24), ისინი წესით უნდა მისდევდნენ 221–222-ე გვერდებს, რომელიც აგრძელებს 154-ე გვერდზე შეწყვეტილ 30-ე თავს "კლემაქსისა" და იწყებს ახალ თავს – "მწყემსისა მიმართ"[35] (ამ ხელნაწერთა ფურცელების მიხედვით 27, 15) საბოლოოდ ფურცლები ასე ლაგდება: გვ. 154, 221 (თ. 30), 221-222, 215 ("მწყემსისა მიმართ"), 215-216 (თ. 23),

---

[34] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, 1960, გვ. 443-445.

[35] ამ ხელნაწერის ფურცელთა აღრევის გამო "კლემაქსის" თავები და გრიგოლ ნაზიანზელის ლექსები (*არსენ იყალთოელის და მცირე ანონიმური* თარგმანები) ერთმანეთშია არეული და კ. კეკელიძის დასახ. შრომებშიც ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 204, 287, 333, 381, 546;

216-217 (თ. 24). ამგვარად, ფურცელთა დალაგების შედეგად ცხადი ხდება, რომ "კლემაქსის" ანომიმური ქართული ვერსიის თავთა თანმიმდევრობა ამ ხელნაწერშიეე ისეთივეა, როგორც სხვა დანარჩენ ხელნაწერებში და ფურცელთა გვიანდელი აღრევა არ ცელის იმ საერთო სურათს, რომელიც გვხვდება ამ თხზულების შემცველ ყველა დანარჩენ ხელნაწერში, სადაც ასეთი აღრევა თავთა თანმიმდევრობისა და თზულების შედგენილობისა **A**-ს ფურცელთა აღრევის შედეგია. ამგავარად, "კლემაქსი" ამ ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: გვ. 147-151 (თ. 11, 12, 14, 15, 22), 215-217 (თ. 23, 24), 152-154, 221 (თ. 25, 26, 29, 30), 221-222, 215 ("მწყემსისა მიმართ"). **D**-ს ისევე აკლია მე-7 თავის ფრაგმენტი, როგორც BC-ს, მხოლოდ მათგან განსხვაებით მას აკლია არა მხოლოდ თ. 7-ს წინ მოთავსებული "ათორმეტნი პატრიარქნი", არამედ "თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა" და იოანიკ მონაზონის იმაბიკოების ნაწილიც. **D** შეიცავს აგრეთვე ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, პეტრე გელათელის, იეზეკიელის იამბიკოებს. მასში მოცემულია ერთგვარი ცდა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ყველა ქართული რედაქციის გაერთიანებისა.

E: S-3642, 1800 წ. მხედრული (გადამწერი-იესე)[36]. "კლემაქსი" მოთავსებულია 57v-60r (თ. 11, 12, 14, 15, 22), 63r-64r

[36] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 124.

(თ. 23, 24), 60v-62v (თ. 25, 26, 29, 30), - 64r ("მწყემსისა მიმართ"). მე-7 თავის ფრაგმენტი ("გპოო მას შინა..." თ. 7), მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად თ. 11-ის წინ განხილულ ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით მოთავსებული მდებარე ტექსტები (იოანიკ მონაზონის იამბიკოები), "თარგმანება წმ. მოციქულთა სახელთა" და "ათორმეტნი პატრიარქნი") **E**-ს არ აკლია, ცალკე მინაწერის სახით მოთავსებულია გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებს შორის (52r) ჰიმნთა ჯგუფის – "ლოცვა ცისკრისას" შემდეგ. მის წინ მოთავსებულია ერთი ტაეპი გრიგოლის ლექსიდან "თავისა მიმართ თჳსისა და მოშურნეთაცა" (PG. 37, carm. II, 1, n. 14. ტ. 29 / ქართ. 33: "აწ დავისაყდრეთ, ხუალე გარდავისაყდრეი..."). ეს ლექსი საერთოდ არაა **E**-ში. ამ ხელნაწერში არაა "ოთხტაეპედის" ძირითადი ტექსტიც და მისი დაკლებული ნაწილის შემცველი ფურცელიც, არც "მწყემსისა მიმართ" თავის დასაწყისი ჩანს, მაგრამ მის უკანასკნელ სტროფებს ჩვეულებისამებრ ვხვდებით თ. 24-ის შემდეგ, როგორც სხვა ხელნაწერებში. მხოლოდ **E**-ში "მწყემსისა მიმართ" თავის ეს ნაწილი (მე-2 სტროფის მე-4–5 ტაეპები და მე-3 სტროფი) წყვეტილი ხაზითაა გამოყოფილო თ. 24-ის ბოლო სტროფისაგან (64r). **E**-ში გრიგოლის "სწავლანს", რომელსაც არ ერთვის მთარგმნელის ლექსი ("რაბამ ტკბილ საგემ..."), უშუალოდ მოსდევს "კლემაქსის" ტექსტი (რადგან "ათორმეტნი პატრიარქნი" და მის წინ მოთავსებული სხვა არანაზიანზელისეული ლექსები "კლემაქსის" წინ აღარ არიან დართულნი და გადასმულნი არიან "სწავლანის" წინ).

E შეიცავს აგრეთვე იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბეს" და "შჯდთათჳს ენებათას", პეტრე გელათელისა და იეზეკიელის იამბიკოებს.

F: S-3731, 1809 წ. მხედრული (გადამწერი–იესე[37]). "კლემაქსი" მოთავსებულია 185r-187v (თ. 11, 12, 14, 15, 22), 189r-190r (თ. 23, 24), 187v-191v (თ. 25, 26, 29, 30), – 190r ("მწყემსისა მიმართ"). მე-7 თავის ფრაგმენტი ("გპოო მას შინა...") ჩასმულია გრიგოლ ნაზიაზელის ორ ლექსს შორის (თავში "ესენი ითქუნეს..."–180v), როცა **E**-ს დარად **F**-საც თ. 11-ის წინ მოთავსებული ტექსტები არ აკლია ("სწავლანი" გრიგოლის ლექსებს შორისაა გადასმული. გრიგოლის ლექსებსა და "კლემაქსს" შორის ჩართულია არანაზიანზელისეული იამბიკოები). ამ ხელნაწერსაც, როგორც **E**-ს, აკლია "ოთხტაეპედი" და "მწყემსისა მიმართ" თავისი დასაწყისი, მაგრამ მისი ბოლო ებმის თ. 24-ს, როგორც დანარჩენ ხელნაწერებში. გარდა ამისა, **F**-ში მცირეოდენი ცვლილებაა თავთა თანმიმდევრობაში: თ. 23, 24 ("მწყემსისა მიმართ" თავის ბოლო ნაწილის დანართითურთ) აქ თ. 29, 30-ის წინაა გადმოსმული (თ. 11, 12, 14, 15, 22, 25, 26, 23, 24, 29, 30). თუ F-ის გადამწერი შეეცადა დაელაგებინა თავები იმ ნუმერაციის

[37] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 278. არც ერთი ეს იესე არ უნდა იყოს კალიგრაფი იესე ოსეს ძე, რომელიც ამ დროისათვის გარდაცვლილია (1728-1786. ქრ. შდრ. და იხ. ქრ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის "ქორანიკონი" (A-637), ენიმკის მოამბე XIII, 1942 [1943], გვ. 131.

მიხედვით, რომელიც მის დედანს გააჩნდა, რატომ არ მოათავსა თ. 23, 24 თ. 22-ის შემდეგ? მიუხედავად ამისა, ხელნაწერში ერთგვარი გააზრებული გადასმის კვალი იქიდან ჩანს, რომ იქ, სადაც თავდება თ. 26, ფურცლის ბოლოს (188v) წაშლილია სათაური და პირველი ტაეპი, რომელიც მაინც იკითხება. ეს არის ქართულ ხელნაწერებში ტრადიციულად თ. 26-ის მომდევნო თ. 29, 30. **F** შემდგომ გვერდზე (189r-190r) მოდის თ. 23, 24. 190r-ს ნახევარი და 190v-ს ნახევარი თავისუფალია, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გადამწერმა იცის, რომ რაღაც ნაწილი აკლია, კერძოდ, "მწყემსისა მიმართ", 190v-ს ბოლოდან კი იწყება თ. 29, 30. შეიცავს აგრეთვე "კლემაქსის" *იოანე პეტრიწისა და ანტონისეულ* ვერსიებს "შჯდთათჳს ვნებათას" დართვით, იოანიკ მონაზონის, *პეტრე გელათელისა და იეზეკიელის* იამბიკოებს. **F** ასეთი შედგენილობით მსგავსია **I**-სა, რომელიც უფრო ადრეა გადაწერილი. *გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის* შედგენილობის და ორთოგრაფიის მიხედვითაც ისინი (IF) ერთი დედნიდან უნდა მომდინარეობდნენ[38].

I: A 771, 1785 წ. მხედრული[39]. იოანე ოსეს ძის გადაწერილია. იგი არ შეიცავს "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიას, მაგრამ მისი მე-7 თავის ფრაგმენტი -**F**-ის

---

[38] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3, გვ. 109.

[39] Θ. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. II, Тифлис. 1902. გვ. 181.

დარად მოთავსებულია გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებთან (91 v), რომელიც ამ სტროფზე წყდება. "კლემაქსის" დანარჩენი ტექსტი I-ში არაა. აქვეა "კლემაქსის" იოანე პეტრიწისეული და ანტონისული ვერსიები, პეტრე გელათელისა და იეზეკიელის იამბიკოები და სხვ.

ზოგ ხელნაწერში "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის სათაურებს უზის სათვალავი, მაგრამ იგი არ გააჩნია ყველა თავს. სათვალავთა არასისტემურობა, თავების არათანმიმდევრულობა – ურთიერთჩართვა და გადაადგილება, მასში გრიგოლ ნაზიანზელის "ოთხტაეპედის" ნაწილის არსებობა, რაც A-დან ბრმად გადადის ყველა ხელნაწერში, თხზულების სათაურის ("კლემაქსი"), ავტორის (იოანე სინელი) და ქართული ვერსიის ავტორის მიუთითებლობა და მისი პირდაპირ შუა ნაწილიდან (მე-7 თავის ფრაგმენტიდან) დაწყება ცხადყოფს იმას, რომ გადამწერთ, შესაძლოა, წარმოდგენაც აღარ ჰქონდეთ არც გრიგოლ ღმრთისმეტყველის ზოგიერთ უავტოროდ წარმოდგენილ თხზულებაზე, რომლებიც "კლემაქსის" წინაა ხელნაწერებში მოთავსებული და არც თავად "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიის რაობაზე. ამას ადასტურებს ისიც, რომ AL-ში "კლემაქსის" მე-11 თავის წინ სამართლიანად მოთავსებული მე-7 თავის უსათაურო ფრაგმენტი შემდგომმა გადამწერებმა ვეღარ გაიგეს, თუ რა იყო, და ან სულ ამოიღეს ხელნაწერიდან მის წინ მოთავსებულ ტექსტებთან ერთად (BCD), ან კიდევ გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებში გადასვეს (EFI). იმან, რომ E-ს გადამწერი წყვეტილი

ხაზით აცილებს "მწყემსისა მიმართ" თავის სტროფებს 24-ე თავის სტროფებისაგან, ანდა **F**-ის გადამწერი ცდილობს თავების თანმიმდევრობით დალაგებას, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ სასულიერო მწერლობაში გაწაფულმა ზოგიერთმა გადამწერმა შეიძლება იცის, თუ რა ტექსტთან აქვს საქმე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ **E**-ში იოანიკ მონაზონის იამბიკოები, "თარგმანება წმ. მოციქულთა სახელთა" და "ათორმეტნი პატრიარქნი" ტრადიციისამებრ "სწავლანის" შემდეგ კი არაა მოთავსებული, არამედ მის წინაა გადასმული, რითაც "'სწავლანში" მოთავსებული "შეიდთათვის ვნებათა" უშუალოდ უკავშირდება "კლემაქსის" ანონიმურ ვერსიას (E-ში "სწავლანს" აკლია მთარგმნელის ლექსი – "რაბამ ტკბილ საგემ..."(-უცნობი ALBCDEFI), და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ გადამწერმა იცის, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ორ ტექსტს ერთმანეთთან. მართალია, **D**-შიც "სწავლანს" უშუალოდ მოსდევს "კლემაქსი" ჩართული იამბიკოების გარეშე, მაგრამ ეს სხვა ტრადიციით უნდა იყოს გამოწვეული. საინტერესოა რომ, "სწავლანს" აქ მოსდევს ლექსი "რაბამ ტკბილ საგემ"... უცნობი ALB...", მეორეც, "სწავლანსა" და "კლემაქსს" შორის გვ. 145-146 ცარიელია, ხოლო *იოანიკ მონაზონის იამბიკო* აქ კი არაა ჩართული ტრადიციისამებრ, არამედ ცალკეა მოთავსებული გრიგოლის ლექსების მცირე ანონიმური თარგმანის, *ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის იამბიკოების* შემდეგ G-დან

(S-269, XVIII ს.) მომდინარე რიგით[40]. მიუხედავად ამისა, გადამწერთათვის, როგორც ჩანს, მაინც უცნობია "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიის შემდგენელ-გამლექსავის ვინაობა, რადგან თავების მოწესრიგებასთან ერთად (რაც უფრო სტიქიურ ხასიათს ატარებს, ვიდრე სისტემურს, უფრო გაუცნობიერებელია და, შესაძლოა, დედნის თავთა ნუმერაციის მიხედვით მოწესრიგებული, ვიდრე თავად ტექსტის ცოდნით გამოწვეული) ამ ცნობასაც წარმოადგენდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმული და ანონიმური ვერსიის იოანე პეტრიწისა და ანტონის გალექსილ ვერსიებთან შედარება ცხადყოფს იმას, რომ ჩვენს წინ არის ნაწილი, შესაძლოა, შერჩევით გამოკრებილი იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმური ახალი დღემდე უცნობი ქართული ვერსიისა, მოღწეული XVIII-XIX სს. ხელნაწერებით. იგი უნდა მომდინარეობდეს ადრეული ნაკლული დედნიდან, რომელიც თავის მხრივ პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან უნდა იყოს გამოსული (იხ. ზემოთ **A** ხელნაწერის შესახებ). როგორც ვთქვით, A-ს პროსოდიის ნიშნები, რომლებიც მხოლოდ მის მეორე ნაწილს გააჩნია (სადაც მოთავსებულია გრიგოლ ნაზიანზელის და იოანიკ მონაზონის ლექსების ანონიმური თარგმანები, "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია და პეტრე გელათელის და იეზეკიელის იამბიკოები), პარალელს პოულობს პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან გამოსულ

[40] იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3. **D**-ს წყაროდ, BC-თან ერთად **G**-საც ვეარაუდობთ.

ხელნაწერებთან, კერძოდ **A** ამ ნიშნებით მიჰყვება შესაბამის "პირობით" დედანს – "კლემაქსის" პეტრიწული პროზაული ვერსიის შემცველ XI-XIII სს. ხელნაწერებს: H-1669-სა და A-39-ს. საყურადღებოა, რომ ეს ნიშნები გააჩნია H-1669-ს მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც "კლემაქსის" პეტრიწული ვერსიაა მოთავსებული. ხელნაწერის ის ნაწილი, სადაც "კლემაქსის" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანია მოთავსებული, ამ ნიშნებს არ შეიცავს[41]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბერძნულიდან შემოსული პროსოდიის ნიშნები დასტურდება უკვე XII ს.-ის ხელნაწერებში და *პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში* შექმნილ თარგმანთა შემცველ ხელნაწერებშიც[42].

---

[41] ამგვარად, "კლემაქსის" ანონიმური ვერსია არა მარტო შინაარსობრივად, არამედ პროსოდიის ნიშნების მიხედვითაც ამ თხზულების პეტრიწულ პროზაულ ვერსიას მიჰყვება. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ *ანტონი "კლემაქსის"* მისეულ ვერსიაში (რომლის წყაროც ასევე პეტრიწული პროზაული თარგმანია) ამ ნიშნებს ზუსტად ისევე არ გადმოიღებს, როგორც ანონიმი, არამედ მას თავის მიერ შემოღებულ ნიშნებს ურთავს.

[42] **ლ. ქაჯაია**, პუნქტუაცია V-XII სს. ქართულ ხელნაწერებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1969; **ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭაღმაძემ და მ. რაფავამ**, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **მ. რაფავამ**, თბ., 1983, გვ. 018. ამ ნიშნებზე მსჯელობაა *იოანე პეტრიწის* "განმარტების" წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში (**იოანე პეტრიწის** შრომები, II, **შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის** გამოცემა, თბ., 1937, გვ. 6, 221), რომლის წყარო **დიონისე თრაკიელის** გრამატიკის დანართია (**ს. ყაუხჩიშვილი**, მასალები იოანე პეტრიწის "განმარტების" წყაროთა შესწავლისათვის, I. დიონისე თრაკიელის "ტექნე გრამატიკე", საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, თბ., 1941, გვ. 755-760). ეს ნიშნები (მახვილი, ფშვინვის ნიშანი, აპოსტროფი, ჯფენი (გარემორთხმული ანტონის მიხედვით და სხვ.) გამოყენებულია **A**-ში. საერთოდ **A**-ს პროსოდიის ნიშნები წყაროსთან – **H**-1669, **A**-39-თან

ამიტომ **A**-ს დედანიც ასევე ამ სკოლაში შექმნილად და გადაწერილად ან აქედან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. **A**-ში საერთოდ მოთავსებულია იოანე პეტრიწის ან მის მიმდევართა თხზულებანი: იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე", იეზეკიელისა და პეტრე გელათელის იამბიკოები, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტილისტური თავისებურებებისა და ისტორიულ-ლიტერატურული არგუმენტების მიხედვით პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაშია თარგმნილი. ასევეა, როგორც ვხედავთ, "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიაც. ამავე ტრადიციით ამ სკოლის უცნობი მოღვაწის მიერ უნდა იყოს თარგმნილი იოანიკ მონაზონის იამბიკოებიც. ასე რომ, "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის შემცველი ხელნაწერების გვიანდელობა არ უნდა გამორიცხავდეს ამ ვერსიის უფრო ადრინდელ წარმომავლობას, მით უმეტეს, რომ ასევე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე"[43] და ე.წ. "გალექსილი კალენდარი"[44], *იეზეკიელის იამბიკოები*[45]. *იოანე პეტრიწის, იეზეკიელისა და*

და A-დან მომდინარე ხელნაწერებთან მიმართებაში, აგრეთვე ანტონის ნიშნების დამოკიდებულება ბერძნულიდან შემოსულ პროსოდიის ნიშნებთან ცალკეა საკვლევი.

[43] **იოანე პეტრიწი**, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., 1968, გვ. 168. გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ ცალკეა გამოქვეყნებული.

[44] **თ. კუკავა**, იოანე პეტრიწის წიგნი "ათ-ორ თვისა" (პროლოღია), თბ. 1978.

[45] გამონაკლისია მხოლოდ პეტრე გელათელის ორი იამბიკო, რომლებიც A-39-დან მოდის (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), I[1], გვ. 120).

პეტრე გელათელის ზემოთ დასახელებული თხზულებანი უმეტესად გვხვდება სწორედ "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის შემცველ ხელნაწერებში (ABCEF).

ზემოთ დასახელებულ თხზულებათა შემცველი თითქმის ყველა ხელნაწერი (გარდა **A**-სი) გამრავლებულია *ანტონის სალიტერატურო სკოლის* მიმდევართა მიერ. ანტონი კი, როგორც ცნობილია, აღადგენდა პეტრიწულ ტრადიციებს. როგორც აღინიშნავენ, მან შეადგინა პეტრიწის ბიოგრაფია, დაამკვიდრა მისი ფილოსოფიური სტილი და პოპულარობა მოუპოვა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას[46]. როგორც ირკვევა, იგივე შეიძლება ითქვას პეტრიწული სკოლის სხვა თხზულებებზედაც, კერძოდ **A**-ში შესულ ზემოთ დასახელებულ თხზულებებზე. გარდა იოანე პეტრიწისა და მის მიმდევართა ზემოთ დასახელებული ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებების გამრავლებისა, ანტონის მიერ შემოღებული ზოგიერთი დიაკრიტიკული თუ სასვენი ნიშანიც ცხადყოფს, თუ როგორ აღადგენდა იგი პეტრიწული სალიტერატურო სკოლის ტრადიციებს (**H**-1669, A-39 და **A: S**-2568 შეიცავს სწორედ ანტონის მიერ შემოღებულ ნიშანთაგან ზოგიერთს: მახვილს, გარემორთხმულს). მახვილისა და მოხრილის შესახებ კი ა. შანიძე აღნიშნავს: სამწუხაროდ, სასვენი ნიშნების ხმარება ძველი და საშუალი ქართულის ძეგლებში გამორკვეული არ არის, რომ გამორიცხულ იქნეს ამ შემთხვევაში სომხურის

[46] "სათნოებათა კიბეც" ხომ *ანტონის* სალიტერატურო სკოლის ინტერესებმა შემოგვინახა (იხ. "სათნოებათა კიბე", ი. ლოლაშვილის მიხ. 1968, გვ. 92).

გაელენაო[47]. ამგვარად, ანტონი და მისი მიმდევარნი, რომლებიც ამრაელებდნენ პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შესრულებულ თხზულებებს, როგორც ჩანს, დიაკრიტიკულ და სასვენ ნიშნებს სესხულობდნენ არა მხოლოდ სომხურიდან, არამედ ადრინდელი ქართული ხელნაწერებიდანაც, კერძოდ პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შექმნილი, ან მისგან მომდინარე ხელნაწერებიდან, სადაც უკვე არსებობდნენ ეს ნიშნები. როგორც ზემოთ ვთქვით, ალბათ, ბერძნულის გაელენით[48]. ანტონს შეეძლო ესარგებლა პროსოდიის ან ნიშანთა შემცველი "კლემაქსის" პეტრიწული ვერსიითაც, რომელიც მისი წყაროა ამ თხზულების გალექსვისას.

გარდა ხელნაწერთა ზემოთ განხილული შედგენილობისა, ვარიანტული წაკითხვებიც ცხადყოფენ იმას, რომ, **A**-დან მოდის შუალობით თუ უშუალოდ ყველა დანარჩენი ხელნაწერი, რომლებიც შემდეგნაირად ჯგუფდება: **LB** ახლოს დგას **A**-სთან. **B** ახლოს დგას **CD**-სთან. **EF** ახლოს დგას ხან **A**-

---

[47] ა. შანიძე, ანტონი I-ის გაელენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან), ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 25, 28. იხ. დამატებით წლების შემდეგ ახ. ვრცელი ჰურნალი: ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსთწყობის საკითხები - ფილოსოფიური ძიებანი, II, 1995, 290-344; ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფომების მიხედვით: ეფრემ მცირე, II, 2011, 81-130.

[48] შდრ. და იხ. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 72. ამონიოს ერმისის თხზულებანი..., მ. რაფავას გამოკვლევა, 1983, გვ. 019.

სთან, ხან L-თან, ხან B-სთან. IF ახლოსაა ერთმანეთთან შედგენილობის მიხედვითაც. ზოგჯერ EFI ერთად ჯგუფდება როგორც შედგენილობის, ისე წაკითხვების მიხედვით. ხელნაწერთა ორთოგრაფიული თავისებურებების ერთმანეთთან შედარებაც ცხადყოფს, რომ A, რომელიც გადაწერილია XVIII საუკუნეში რომელიღაც ადრეული პროსოდიის ნიშნების მქონე დედნიდან, წყაროა სხვა დანარჩენი ხელნაწერებისათვის, რომლებიც უკვე A-დანაა გამრავლებული ანტონის მიმდევართა მიერ და ემჩნევა ანტონის სალიტერატურო სკოლის გავლენის კვალი. შესაძლოა, თავად A-ც *ანტონის სკოლაშია* გადაწერილი, მხოლოდ ძველი პროსოდიის ნიშნების შენარჩუნებით. მასში ჯერ კიდევ არ ჩანს ანტონის მიერ შემოღებული ნიშნები და მისეული ორთოგრაფია. A-ს გარდა ყველა დანარჩენ ხელნაწერში ზემოთ დასახელებულ ნიშანთა გარდა ჩანს ანტონის მიერ შემოღებული სხვა ნიშნები და ორთოგრაფიული ცვლილებანი[49].

ახალი ვერსიის წარმომავლობის საკითხი და მისი ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი

იოანე სინელის "კლემაქსის" ბერძნულ თუ სხვაენოვან მრავალრიცხოვან ვერსიებს შორის არ ჩანს მისი ლექსითი ვერსია[50]. როგორც ჩანს, ამგვარი ტრადიცია ჯერჯერობით

[49] იხ. ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 25, 28.
[50] იხ. **Johannes Climacus**. Corpus Christianorum Clavis Patrum Graecorum, III, გვ. 477.

მხოლოდ ქართულში გვხვდება. ქართულად დასტურდება "კლემაქსის" სამი გალექსილი ვერსია (იოანე პეტრიწის, განსახილველი ანონიმური და ანტონის) და სამივე ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული – მათი წყარო პროზაული ქართული ვერსიებია (იხ. ზემოთ). "კლემაქსის" ამ ახალი ანონიმური ქართული ვერსიის ავტორი რომ შესაბამის ქართულ დედანს ლექსავს და არა უშუალოდ ბერძნულ წყაროს, გარდა ფრაზეოლოგიური დამთხვევისა, ჩანს ასეთი მაგალითიდანაც: სენტენციური გამონათქვამი, რომ სიმაძღრე სიძვის დედაა, ანონიმურ ვერსიაში მისი ქართული წყაროდან (პეტრიწული პროზაული ვერსიიდან) მოდის, როცა ბერძნულში შესაბამის ადგილას სიმაძღრე სიძვის მამადაა სახელდებული (κύρος βρωμάτων πορνείας πατήρ "სიმაძღრე საზრდელთაჲ სიძვისა დედა" (**H-1669, A-39**); "საზრდელთ სიმაძღრე სიძვისა დედა" 5, 2)[51]. ეფთვიმე ათონელის პროზაული ვერსია კი ბერძნულს მიჰყვება ("სიმაძღრე ჭამადთა მამა არს სიძვისა"-თ. 14[52]).

---

[51] აქ და ქვემოთაც ტექსტის მითითებისას ჯერ ვასახელებთ სტროფის ნომერს, შემდეგ ტაეპის რიგს. "*შვიდთათვის ენებათას*" ცალკე ნუმერაცია აქვს (შე. ენ. სტრ. 17). "*კლემაქსის*" და "*მწყემსისა მიმართ*" ტექსტს კი ერთიანი ნუმერაცია აქვს (სტრ. 1-45).

[52] **საქართველოს ეკლესიის კალენდარი**, 1986, გვ. 323. ნაყროვანება სიძვის დედად "კლემაქსის" სხვა ადგილასაა სახელდებული (Μήτηρ μέν πορνείας γαστριμαργία –"დედა სიძვისა არს ნაყროვანება"–თ. 26, **ეფთვიმე ათონელის** ვერსია (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 400) "დედა ვიდრემე სიძვისა ნაყროვანებაჲ" (H-1669, 151r). ასეთივე სახით გვხდება ასკეტიკურ-მისტიკური სისტემების ფუძემდებელთან ევაგრე პონტოლეთანაც ("ნაყროვანებაჲ დედაჲ არს სიძვისაჲ – I, 6; **ს. მახარაშვილი**, ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის თხზულებათა ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის მატიანე, I, თბ., 1984, გვ. 23), რომელსაც *იოანე*

“კლემაქსის” დღემდე უცნობი ქართული ვერსიის ავტორ-შემდგენელი თითქმის ზედმიწევნითი ფრაზეოლოგიური სიზუსტით მისდევს თავის წყაროს – პეტრიწულ პროზაულ ვერსიას მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, როცა მარცვალთრაოდენობისათვის აკლებს ან ამატებს სიტყვებს ან წინადადებას (რაც ზოგჯერ აზრის ბუნდოვანებას იწვევს, მაგ. 3, 4). ამ ფონზე ოდნავ გადასხვაფერებულად გამოიყურება მე-18 სტროფი[53]. საერთოდ კი, თითოეული სტროფი შექმნილია იმ მიზნით, რომ წყაროს შესაბამისი მცირე მონაკვეთის გალექსვით მოგვცეს მოკლე შეგონება-დამოძღვრა, რასაც უცნობი ავტორი ახერხებს დინამიკური თხრობისა და შესაბამისი ადგილის აფორისტულობისა და სენტენციურობის შენარჩუნებით.

ანონიმი იმეორებს იმ სინტაქსურ თუ ლექსიკურ ბერძნიზმებს, რაც ახასიათებს მის წყაროს. მაგ., ბერძნული უშემასმენლო წინადადებები ასევეა გადმოსული პეტრიწულ პროზაულ თარგმანში და აქედან ანონიმურ ვერსიაში (მაგ., στενὴ πύλη καὶ τεθλιμμένη ὁδός τῆς νηστείας· “რაჲ იწროჲ ბჭე და საჭურველი გზაჲ მარხვისაჲ”; “რაჲ იწრო ბჭე და საჭირო

სინკელი თავის ერთ-ერთ წყაროდ თვით ასახელებს (**Ианн Лествичник**. Брокрауз, Эфрон, Богословская энциклопедия, т. 6, გვ. 1005-1007).

[53] წყაროსაგან ასეთი მცირეოდენი განსხვავებით ანონიმის მუშაობის სტილი ჰგავს გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ერცელი ანონიმური თარგმანის ავტორის სტილს, როცა იგი გრიგოლის გნომური ორმუხლედის საფუძველზე (PG, 37,carm. I, 2, n. 31) ზემოთ განხილულ “სწავლანში” ქმნის 4-ტაეპიან სტროფებს, სადაც ბოლო ტაეპი უმეტესად მთარგმნელის მიერაა დამატებული.

გზა მარხვისაჲ” – 8, 4. იხ. აგრეთვე 16, 3-5; 24, 4-5; 26, 1-5; 27, 2; 30, 5; 40, 3-4; 41, 1-5). ზოგჯერ ანონიმური ვერსია იძლევა უშემასმენლო წინადადებას ბერძნულის დარად, როცა წყაროში – პეტრიწულ პროზაულ ვერსიაში – შემასმენლიანი წინადადებაა (მაგ., θεραπευομένης δὲ ταύτης γαυρίᾷ λογισμός’; “ხოლო ზრუნვასა ამის ძლით ლაღოის გულის-სიტყუაჲ”; “ზრუნვა ამის ძლით გულის-სიტყჳს ლაღ-მყოფელ” 7, 4; იხ. აგრეთვე 8, 2), ანდა კიდევ ბერძნულიც და პეტრიწული პროზაული წყაროც შემასმენლიან წინადადებას იძლევა, ანონიმი კი მაინც უშემასმენლო წინადადებას მიმართავს (მაგ., θλιβομένης κοιλίας ταπεινοῦται καρδία “ჭირვებასა მუცლისასა დამდაბლდების გული”; “მუცლის ჭირვებაჲ – დამდაბლება გულისა”, 7, 3. იხ. აგრეთვე 7, 1-2; 8, 5; 39, 7). იშვიათად, ბერძნული და პეტრიწული პროზაული ვერსიის უშემასმენლო წინადადება ანონიმს შემასმენლის დამატებით გადმოაქვს (მაგ., ἐλεεινός ὁ πίπτων. “საწყალობელ დაცემული”; “საწყალობელ არს დაცემული”-11, 1. იხ. აგრეთვე 11, 2).

ყველა ეს გადახრა წყაროსაგან, ალბათ, მარცვალთრაოდენობის გამო არის გამოწვეული. თუმცა ანონიმურ ვერსიას საერთოდ მაინც ახასიათებს მიდრეკილება ბერძნიზმებისაკენ, მაგ., იგი იმეორებს ბერძნულ-ქართულ წყაროთა[54] ინფინიტიურ კონსტრუქციებს (მაგ., ὁ μεθυσθείς

[54] “ბერძნულ-ქართულ წყაროს” ვხმარობთ პირობითად, რამდენადაც შედარებისათვის ბერძნულ ტექსტსაც მივმართავთ ხოლმე. ისე კი, როგორც აღვნიშნეთ, ანონიმური ვერსიის წყარო მხოლოდ პეტრიწული პროზაული ვერსიაა.

κατανυξει οὐ δυνήσεται ψεύσασθαι; დამთრვალმან ლმობიერებითა ვერ შეუძლოს ტყუილად"; "დამთრვალი სული ვერ შეუძლებს ტყუილად" - 4, 5. იხ. აგრეთვე 9, 5; 10, 1-2, 4-5; 12, 1-2; 21, 5; 33, 3-4; 34, 1-2; 39, 6; 6; 40, 1-2; 42, 4; 43, 7), ზოგჯერ წყაროს აქტიური ფორმის ნაცვლად ანონიმი ქართული სინტაქსისათვის შედარებით უჩვეულო ზმნის აღწერით ფორმებს გვთავაზობს: κατήργησε- დაამჯუა-ჯუებულყო (2, 5) ηὐτομόλει – მირბიოდა მსრბოლ იქმნებოდა (15, 6). ასევე, ზოგჯერ ანონიმი ბერძნულ-ქართულ წყაროთაგან დამოუკიდებლად მიმართავს მიმღეობურ კონსტრუქციებს, როცა პირიან ფორმას მიმღეობით ცვლის: ἐξήρανε – განაჯმნა განმაჯმობელი (7, 1); ἐγέννησεν – შვნა მშობელი (7, 2); πεφύκασιν – უტევებიეს მიმტევებელი (9, 5); καλεῖ – უწოდს მწოდები (19, 5); κέχρηται – იჯუმევდა მჯუმეველი (44, 5). სხვა შემთხვევებში წყაროთა მიმღეობიანი კონსტრუქციები მას უცვლელად გადმოაქვს. ზოგჯერ წყაროსაგან დამოუკიდებლადაც კი მიმართავს მას, მაგ., "მნებავნი ყნოსად ძნელსულობასა" (10, 4). ასევე წყაროსაგან დამოუკიდებელია ზოგჯერ უშემასმენლო წინადადებები (7, 5; შვ. ვნ. 1, 1; 2, 1-2) და ინფინიტიური კონსტრუქციები (შვ. ვნ. 2, 3; 6, 2).

ანონიმი წყაროს კვალდაკვალ იმეორებს ბერძნულის ისეთ კალკებს, როგორიცაა "მეტყველება" ზმნის მიმღეობური ფორმა (მეტყუელი) ბერძნული λέγων ან εἰπών-ის ფარდად ("განვიშორე რაჲ ესე ამას მეტყუელმან: მართლუკუნ იქცედ..." 20, 8-9; იხ. აგრეთვე 3, 1-2; 17, 3-4; 20, 17; 39, 6). რამდენჯერმე

გვხვდება სხვათა სიტყვის – ო (რომელიც ზოგჯერ ბერძნული φησί(ν) ზმნის შესატყვისია), მაგ.,... διηγεττο βλέπων ὅτιπερ, φησίν...; მომითხრობდა ჩუენ მეტყუელი: ვითარმედო იტყოდა

მომითხრობდა ჩუენ მეტყუელი, ვითარმედო..., იტყოდა (20, 2; იხ. აგრეთვე 22, 1-2). ზოგჯერ იგი წყაროსაგან დამოუკიდებლადაც გვხვდება (23, 2; 20, 6). წყაროსაგან დამოუკიდებლად ერთხელ გვხვდება აგრეთვე "ესე იგი არს" კავშირიანი დანართი (39, 4-5)[55]. ანონიმი წყაროს კვალდაკვალ უცვლელად ტოვებს უთარგმნელად გადმოსულ ბერძნულ სიტყვებს (ანგელოზი, მონაზონი, ფსალმუნება, ეპისკოპოსობა, შაბათი, კჳრიაკე, კანონი, პასხა, დიადიმა, პალატი ტრაპეზი//ტაბლე, ანავსია (43, 1)[56]. საერთოდ "კლემაქსის" ანონიმურ ვერსიაში უცვლელადაა მისი წყაროდან გადმოსული უთარგმნელი ბერძნული სიტყვები თუ საკუთარი სახელები, რომელთა ბგერათშესატყვისობანი, თავის მხრივ, X–XIII სს. ნათარგმნი ძეგლების ვითარებას ასახავს[57].

ანონიმს უმეტეს შემთხვევაში უცვლელად გადმოაქვს წყაროს სიტყვათწარმოებითი ფორმები, ბერძნულის

---

[55] იხ. **ქ. ბეზარაშვილი**, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, ელს, თბ., 1986, N 3, გვ. 87-112, 100.

[56] სიტყვა ἀναυσία პატრისტიკულ ლექსიკონში დამოწმებულია ერთადერთი მაგალითით სწორედ იოანე სინელის თხზულებიდან "მწყემსისა მიმართ" და ნიშნავს წამალს (A Patristic Greek Lexicon ed by **G. W. H. Lampe**, Oxford, 1968, s. v. ἀναυσία). შდრ. და იხ. **ეფთვიმე ათონელის** ვერსიაში "ანავსიას" ადგილასაა "სულმყრალობისა უჩინომყოფელი წამალი" (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 466).

[57] იხ. და შდრ. **ნ. მახარაძე**, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.

კალკირებით შექმნილი კომპოზიტები და წინდებულიანი ფორმები, ნასახელარი ზმნები, ხარისხის წარმოება, უარყოფითი ფორმები და სხვ. ეს ფორმები საერთოდ გავრცელებულია *ელინოფილური სკოლის* მიმდევართა თხზულებებში, მაგრამ მათგან ზოგი ისეთი ფორმაა, რომელიც "კლემაქსის" სხვა ვერსიებისაგან განსხვავებით ამ ძეგლის მხოლოდ პეტრიწული პროზაული ვერსიისათვის არის დამახასიათებელი, მაგ. ცუდდიდებობა (2, 5 κενοδοξια პატივისმოყვარეობა). შდრ. გრიგოლ ნაზიანზელი carm. I, 2, n. 34, v. 97 (ქართ. 98) ცუდი დიდება – κενὴ δόξα–carm. I, 2, n. 32, v. 19. შდრ. *ამონიოს ერმისი*: ცუდიდებაჲ[58]. "კლემაქსის" 22-ე თავის სათაურში ამ ფორმის პარალელურად *ეფთვიმე ათონელის* პროზაულ და შესაბამისად იოანე პეტრიწის ლექსით ვერსიებში გვხვდება ფორმა: ცუდადმზუაობრობა (ცუდზუაობა[59]). იგივე ფორმა გვხვდება გრიგოლ ნაზიანზელის IV სიტყვის ფსევდონონესეული კომენტარის ანონიმურ ქართულ თარგმანში, რომელიც თ. ოთხმეზურის მიხედვით *ელინოფილური სკოლის* უცნობ მიმდევარს ეკუთვნის[60]. ჩვენს ძეგლში წყაროდან გადმოსულია ფორმა: ზესთმჩენი (23, 3 ὑπερήφανος), ზესთმჩენობა (18, 5; 20, 5; 22, 1.3. ὑπερηφανία), რომლის ფარდი

---

[58] ამონიოს ერმისის თხზულებები..., მ. რაფავას მიხ. 1983, იხ. ლექსიკონი.

[59] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე..., ი. ლოლაშვილის მიხ. იხ. ლექსიკონი, 1968, გვ. 96.

[60] ი. აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 213; თ. ოთხმეზური, გრიგოლ ღვთისმეტყველის IV სიტყვის კომენტარის ქართული ვერსია, მრავალთავი XI, თბ., 1985, გვ. 32-40.

23-ე თავის სათაურში *ეფთვიმე ათონელთან* არის "ამპარტავნება" (შდრ. "ზუაობა", "ზესთაობა", *იოანე პეტრიწთან*[61]). "მდაბალმზრახვალობის" (31, 1 ταπεινοφρονεῖν) ფარდი კი ეფთვიმესთა და იოანე პეტრიწთან არის "სიმდაბლე" (თავი 25)[62].

ზოგიერთი ასეთი კალკის გაგება ზოგჯერ მხოლოდ წყაროს მოშველიებითაა შესაძლებელი[63], მაგ., ძნელსულობა (10, 4 ἡ δυσωδία – უსიამოვნო სუნი. შდრ. და იხ. ეფთვიმე: ზედგანმცდელობა (18, 3 ἐπιπλήττω გაკიცხვა), იხ. და შდრ. ეფთვიმე: მხილება უმოკვნესო (3, 2 ἀμνημονήσας - დამვიწყებელი. შდრ. და იხ. ეფთვიმე: დაავიწყდა), უუკდემლესობა (15, 3. შდრ. და იხ. წყარო: უკდემელობა – ἀναισχυντία – ურცხვინოება. შდრ. და იხ. ეფთვიმე: კადნიერება), უუკდემლესი (20, 13 ἀναιδεστάτη – ურცხვი. შდრ. და იხ. ეფთვიმე: ურცხვინო). თუმცა ანონიმის ორიგინალობაზე მეტყველებს ისიც, რომ ზოგჯერ იგი წყაროს კალკს სხვა ფორმით ცვლის. მაგ., καλλάφωνος – ჴმაკეთილი ჴმატკბილი (19, 2), πανάγαθος ყოვლადსახიერი – ზესთასახიერი (35, 1). ანდა წყაროსაგან დამოუკიდებლად ქმნის ამგვარ სიტყვებს: წესთკეთილობით (44, 5), ცუდმაშურალი 17, 5), მეცუდდიდებე (18, 1), უსიმდაბლოჲ (30,

---

[61] იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 385; "სათნოებათა კიბე" **ი. ლოლაშვილის** მიხ. ლექსიკონი, 1968.

[62] იხ. "სათნოებათა კიბე" **ი. ლოლაშვილის** მიხ. 1968, იხ. ლექსიკონი.

[63] აქვე წარმოვადგენთ მათ პარალელურ შესატყვისებს **ეფთვიმე ათონელის** ვერსიიდან (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986, გვ. 333, 365, 317, 342, 367).

5. შდრ. წყარო: "მდაბალმზრახვალობა"), მსასოებელობდ (33, 5. შდრ. წყარო: "მინდობილ იყვნედ"), თანმომისხდეს (20, 5 შდრ. და იხ. წყარო: "მსხდომარე იყვნეს"), ზესთმცნობელი (1, 3. იხ. წყარო: "მცნობელი"–γινώσκων). უმეტესად კი ანონიმი იმეორებს წყაროს კალკებს: συνομιλῶν – თანამზრახვალი (2, 2); συναίσθησις თანაგრძნობა (36, 3); σύμβιος -თანმეცხორებე (28, 4) συνεργός – თანმოქმედი (26, 1); ὑπερφύσις - ზესთბუნება (14, 2); ὑπερηφανεόμενον – მეზესმჭვნე (23, 1. შდრ. და იხ. მეთჳსშორისე – გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმურ თარგმანზე დართული მთარგმნელის ლექსი – **A** 65v) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ანონიმი წყაროსგან განსხვავებით უფრო მეტად ხელოვნურად ნაწარმოებ ფორმას ანიჭებს უპირატესობას[64] (შესაძლოა მარცვალთა რაოდენობისთვისაც), მაგ., წინმცნობი (37, 2; შდრ. წყარო: წინამცნობელი – γινώσκων); მნებავნი (10, 4. შდრ. მნებებლი. იხ. აგრეთვე 10, 2; 12, 1; 40, 1); მიქმ (28, 2. შდრ. შემოქმედ); განმგე (44, 1. შდრ. განმგებელი); მეღუწი (5, 5. შდრ. მოღუაწე), მეყური (2, 1. შდრ. მოყუარე)[65]; საცნო (40, 5. შდრ. საცნაური –

[64] ვგულისხმობთ სიტყვათწარმოების ისეთ შედარებით იშვიათ და არაპროდუქტიული აფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს, რომლებსაც უფრო ანიჭებდა *იოანე პეტრიწი* უპირატესობას ტრადიციულ ფორმებთან შედარებით (იხ. და შდრ. დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, თსუ შრომები, 267 (ენათმეცნიერება 10), თბ. უნივ. გამომც. 1986, ტ. 267, გვ. 213-245).

[65] საყურადღებოა, რომ ზოგჯერ ასეთ ხელოვნურ ფორმას უფრო ბუნებრივით ცვლიან გადამწერნი, მაგ., მიყურ A // მეყურ E // მოყუარ BCD // მოყუარე L (შვ. ვნ. 4, 1).

γνωριμός“); მთენობა (25, 3. შდრ. განათლება – φωτισθηναι); იმექმებს (19, 1. შდრ. იმოქმედნა – ἐπόησε); მამადი (2, 4; 27, 5. შდრ. მამაკაცი – ὁ ἀνήρ)[66] ანონიმურ ვერსიაში წყაროს გაელენით ან მისგან დამოუკიდებლად, მიმღეობასთან დამატების ბრუნვად უკვე ნათესაობითს ვხვდებით (3, 2; 12, 1; 15, 12; 16, 1-2; მნებავნი ძნელსულობისა – 10, 4; 18, 5). წყაროსაგან დამოუკიდებლად გვხვდება მიცემითიც (ამას მეტყუელმან – 20, 8; სიხარულსა მომცემი – 26, 3; შდრ. მოქენე დროსა შვ. ვნ. 4, 5), როგორც ძველი ნორმის გახსენება. გარდამავალი ქართულისათვის დამახასიათებელი ეს ორგვაროვნობა გვხვდება იოანე პეტრიწის შრომებშიც[67]).

ამგვარად, ძეგლის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანიც ცხადყოფენ, რომ “კლემაქსის” ანონიმური ქართული ვერსიის ავტორი პეტრიწული ტრადიციების დამცველი, ერთგული და მიმდევარია. იგივე შეიძლება ითქვას “შვდთათვის ვნებათას” ავტორზე და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ვრცელი ანონიმური ქართული თარგმანის შემქმნელზე, რომელიც “შვიდთათვის ვნებათას” ურთავს, ჩვენი ვარაუდით, თავის საკუთარ ლექსს (“რაბამ ტკბილ საგემ...” **A** 65v). როგორც ამ ლექსში, ისე “შვიდთათვის ვნებათაში”

---

[66] **იოანე პეტრიწის** შრომები, I, **ს. ყაუხჩიშვილის** გამოცემა, თბ., 1940, იხ. ლექსიკონი

[67] იხ. **დ. მელიქიშვილი**, გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, თსუ შრომები, 267 (ენათმეცნიერება 10), 1986, ტ. 267 გვ. 222. **ნ. მელიქიშვილი**, *იოსებ ფლავიოსი*, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, II, თბ., 1988, გვ. 36-41.

ვხედებით ისეთ სინტაქსურ ბერძნიზმებს და ელონოფილთათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოებით ფორმებს, რაც გვხვდება გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისა და "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიებშიც (*მეთჳსშორისე, მესაჴსოვნე, ზესთქმნილი, შორისი, მდგომობა, ოთხობა, უსიმდაბლოჲ, სასინალულე, მარღუჲ, მიყურ, მდგომობს, უმჴსენოობ, ვიუცთომელოთ* და სხვ.)[68].

ენობრივ-სტილისტური მონაცემებიც მხარს უჭერს ამ შედგენილობის ერთიანობას. ასე რომ, ისინი პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან მომდინარე, ე. წ. *პეტრიწული სტილით* შესრულებულ თხზულებებად უნდა მივიჩნიოთ. წარმოდგენილი თხზულებები ქართულ გარემოში უნდა იყვნენ შექმნილნი, რადგან არც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმურ თარგმანში და არც "კლემაქსის" ამ ახალ ვერსიაში არ გვხვდება ისეთი ბერძენიზმები, როგორიც შეიმჩნევა *იოსებ ფლავიოსის* თხზულების *პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში* შესრულებულ ანონიმურ თარგმანში, რაც მის მკვლევარს, ნ. მელიქიშვილს, ავარაუდებინებს, რომ თარგმანი არაქართულ გარემოში სრულდებოდა[69].

---

[68] იხ. "სათნოებათა კიბის" ი. ლოლაშვილისეულ გამოცემაზე დართული ტექსტი, 1968, გვ. 253-255.

[69] ნ. მელიქიშვილი, ინფინიტივი, მასდარი და მიმღეობა იოსებ ფლავიოსის თხზულების "*იუდეველთა სიძველეთა*" ქართულ თარგმანში, მაცნე, ელს, 1983, № 1, გვ. 127-134; ნ. მელიქიშვილი, სიტყვათა წარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების *"იუდეველთა სიძველეთას"* ქართულ თარგმანში, მაცნე, ელს, 1981, № 4, გვ. 110-126; ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიოსის "იუდეველთა სიძველეთა" მთარგმნელის ვინაობისათვის, მაცნე, ელს, 1984, № 4, გვ. 114.

ანონიმური ვერსიის ავტორ-შემდგენელისა და შექმნის დროისა და ადგილისათვის

ისმება კითხვა: ვინ არის იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ლექსითი ვერსიის შემქმნელი და რა დროსაა ის შექმნილი? ვინაიდან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანონიმური ვერსიის ეს სტროფებიც მექანიკურად გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებად მიიჩნეოდა, რადგან ხელნაწერებში მოსდევდა გრიგოლის პოეზიის ანონიმურ ქართულ თარგმანს, ამიტომ, თავისთავად, გრიგოლის ლექსთა ანონიმური თარგმანებისა და ამ სტროფთა მთარგმნელის საკითხიც ერთად იდგა. ვფიქრობთ, რომ ეს ტრადიცია ძალაში შეიძლება დარჩეს იმდენად, რამდენადაც გრიგოლის ლექსების ვრცელ ანონიმურ თარგმანთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხელნაწერთა ტრადიციით ტექსტობრივად, შინაასრობრივად და ენობრივ-სტილისტურადაც დაკავშირებულია "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია. გარდა ამისა, **A** ხელნაწერში ორივეს ერთნაირი პროსოდიის ნიშნები აქვს, რაც მათ საერთო წარმომავლობაზე მიანიშნებს (*პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან* - შდრ. და იხ. **H**-1669-ისა და **A**-39-ის პროსოდიის ნიშნები. იგივე შეიძლება ითქვას *იოანიკ მონაზონის* იამბიკოებზეც). სტილისტური თავისებურების მიხედვითაც ორივე პეტრიწულ სალიტერატური სკოლაში ჩანს შექმნილი. ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ მათი მთარგმნელ-შემდგენელი, შესაძლოა, ერთი და იგივე პირი იყოს. ამიტომ, "კლემაქსის" უცნობი ვერსიის ავტორის

საკითხი ისევ უნდა განვიხილოთ, როგორც ეს გავაკეთეთ გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანების შემთხვევაში[70].

კ. კეკელიძე ამ თხზულებებს XII ს.-ის I ნახევარში თარგმნილად მიიჩნევდა, მხოლოდ არ ჩანს, თუ რის საფუძველზე, ალბათ, ქართული ნათარგმნი თუ ორიგინალური იამბიკური პოეზიის საერთო ტრადიციების შესაბამისად. ამავე პერიოდში თარგმნილად და შექმნილად მიიჩნევს იგი *იოანე ოქროპირისა და იეზეკიელის იამბიკოებს*[71]. სხვაგან იგი ამ თხზულებათა სავარაუდო მთარგმნელებად ასახელებს *არსენ იყალთოელს, პეტრე გელათელს და ნიკოლოზ კათალიკოსს (გულაბერისძეს), პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის* ცნობების მიხედვით[72]. ზოგჯერ ხელნაწერთა აღწერილობებში მთარგმნელად მექანიკურად ეფრემ მცირეცაა დასახელებული (BEF ხელნაწერთა აღწერილობანი).

ამგვარად, "კლემაქსის" უცნობი ვერსიის შემდგენლად ისევე უნდა გამოვრიცხოთ *ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ კათალიკოსი*, როგორც ეს *გრიგოლ ნაზიანზელის* პოეზიის ანონიმური თარგმანის შემთხვევაში გავაკეთეთ (*ეფრემ მცირეს* თავის "ასეულ იამბიკოში" გაერთიანებული აქვს

---

[70] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 3, 1986, გვ. 87-112.

[71] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 612.

[72] კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ. I, 1980, გვ. 611-615, 322; კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, 1957, გვ. 39.

გრიგოლის ზოგი იმ ლექსის თარგმანი, ვრცელ ანონიმურ რედაქციაშიც ხელმეორედაა თარგმნილი. არსენ იყალთოელმა ცალკე თარგმნა გრიგოლის მხოლოდ ერთი ლექსი, მის მიერ ნათარგმნ "სჯულისკანონში" მოთავსებული. ნიკოლოზ კათალიკოსს კი ხელნაწერთა ტრადიციით ჯერჯერობით გრიგოლის არც ერთი თხზულების თარგმანი არ ეკუთვნის (ი. ლოლაშვილი), თუმცა საყურადღებოა, რომ ისიც *პეტრიწული სტილით* მუშაობდა. კ. კეკელიძის მიხედვით, იგი მიმდევარი ყოფილა *პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის* სქოლასტიკური სტილით[73]). ასევე ღიად რჩება *პეტრე გელათელის* ავტორობის საკითხი[74], რადგან, თუ მას მიეკუთვნება მხოლოდ ორი მცირე იამბიკო ("კლემაქსის" პროზაული თარგმანი *იოანე პეტრიწს* ეკუთვნის – იხ. ზემოთ. იხ. აგრ. ედ. ჭელიძე, განსხვ. პეტრე გელათელის მიხ.). ვერაფერს ვიტყვით სტილისტურ მსგავსებასა თუ განსხვავებაზე ("კლემაქსის" და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმურ ქართულ ვერსიებთან შეპირისპირებით), რადგან სტილისტური მსგავსება სწორედ ერთი სალიტერატურო სკოლის ტრადიციების მიყოლას ნიშნავს, ხოლო მთარგმნელის ინდივიდუალობას კი სწორედ სტილისტური განსხვავებანი

---

[73] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 318, 322.

[74] პეტრე გელათელს გრიგოლ ნაზიანზელის ოთხტაეპედის მთარგმნელად ასახელებს ე. ნიკოლაძეც (ეფრემ მცირე, მხატერულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, გვ. 56).

ცხადყოფენ[75]. ამაზე კი ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ პეტრე გელათელის ორი იამბიკოს მიხედვით. ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ვრცელი ანონიმური თარგმანი პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაშია შესრულებული, მაგრამ არა იოანე პეტრიწის მიერ[76]. იოანე პეტრიწის მონაწილეობა ამ თარგმანებში, გარდა ენობრივ-სტილისტური განსხვავებისა, შესაძლოა გამოირიცხოს იმ მიზეზითაც, რომ "კლემაქსის" ლექსითი ვერსია ერთხელ უკვე შექმნა იოანე პეტრიწმა. ამ მხრივ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა *იოანე პეტრიწის* "სათნოებათა კიბის" და "კლემაქსის" ახალი ქართული ვერსიის სტილისტური შეპირისპირება, მაგრამ "სათნოებათა კიბე" ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით შეუსწავლელია[77], "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსიის გამლექსავი კი, როგორც ვნახეთ, თავის წყაროს ერთგულია.

---

[75] ეს ცხადად აჩვენეს *პეტრიწული სალიტერატურო სკოლის* მაგალითზე დ. მელიქიშვილმა, მ. რაფავამ, ნ. მელიქიშვილმა (იხ. მათ ზემოთ დასახ. შრომები). შდრ. აგრეთვე ქ. ბეზარაშვილი, გრ. ნაზ-ის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3. გვ. 87-112.

[76] იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3.

[77] საინტერესო სურათი უნდა მოგვცეს "კლემაქსის" სამივე ლექსითი ვერსიის (*იოანე პეტრიწის, ანონიმის, ანტონის*) ენობრივ-სტილისტურმა ურთიერთშედარებამაც, *ანტონის სალიტერატურო სკოლის* პეტრიწულ სკოლასთან მიმართებისათვის, პეტრიწის "მდაბრიონთაგან მესხუე" ენის და ანტონის მაღალი სტილის (და მათ მიმდევართა) ამ ჟანრში წარმოსაჩენად და სხვა საკითხების გასარკვევადაც. იხ. ანტონ პირველი კათალიკოსი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო *გულნარა დედაბრიშვილმა*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, თბ., 1991, 376.

"კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსიის ავტორი, შესაძლოა, უნდა იყოს ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი მოღვაწე *პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან.* არ არის გამორიცხული, რომ იგი იყოს პეტრე გელათელიც. გავიხსენოთ, რომ ანტონი თავის "წყობილსიტყვაობაში" საკვირველ პიიტიკოსს, *რიტორს, ღმრთისმეტყველს* და *ფილოსოფოსს* უწოდებს მას, რაც ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია მას ეთქვა მხოლოდ ორიოდე მცირე იამბიკოს ავტორზე, თუმცა ასევე მოიხსენიებს იგი რამდენიმე მცირე *იამბიკოს* ავტორს *იეზეკიელსაც*[78].

რა დამატებითი ისტორიულ-ფილოლოგიური არგუმენტები უჭერენ მხარს ამ მოსაზრებას? როგორც ვთქვით, ხელნაწერებს არა აქვთ ანდერძ-მინაწერები ავტორისა თუ მთარგმნელის ვინაობის შესახებ. არც სხვა წყაროებში და მომდევნო ხანის მწერლობაშია შემონახული ცნობები ამ საკითხზე. ყველა ხელნაწერი გვიანდელია (XVIII-XIX სს.), მაგრამ ეს მათში შემავალ თხზულებათა ადრეულ წარმომავლობას ხელს არ უშლის (ასევე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული, როგორც აღვნიშნეთ, იოანე პეტრიწისა და მის მიდევართა პოეზია). გარდა ამისა, ყველაზე ადრეული ხელნაწერის–A-ს უფრო ადრინდელი ნაკლული დედნიდან წარმომავლობას ცხადყოფს მისი პროსოდიის

[78] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1980, გვ. 274-275; ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, როგორც წერს ანტონ კათალიკოსი წყობილსიტყვაობაში, მას პეტრე ქართველის ნაწერები ყოველივე უნდა ენახოს (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე, თბ., 1885, გვ. 2).

ნიშნები და ნაკლული ტექსტი (გრიგოლის "ოთხტაეპედისა" და "კლემაქსისა").

ასევე გამოვრიცხეთ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის თარგმნა XVIII საუკუნეში[79] და ეს "კლემაქსის" უცნობ ვერსიაზეც შეიძლება გავრცელდეს. ეს თხზულებანი *ანტონის სალიტერატურო სკოლაში* რომ იყოს თარგმნილი და შედგენილი, მაშინ უცნობი არ იქნებოდა აგრეთვე არც მთარგმნელის ვინაობა და არც თხზულებათა რაობა და მათი ავტორი. წინააღმდეგ შემთხვევაში "კლემაქსის" უცნობი ვერსია უსათაუროდ, ფრაგმენტული დასაწყისით მექანიკურად არ მიუერთდებოდა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანიკ მონაზონის თხზულებებს, ან კიდევ ზოგ ხელნაწერში VII თავის ფრაგმენტი გრიგოლის ლექსებში არ იქნებოდა ჩართული ან გადასმული, "ოთხტაეპედის" ტექსტი კომენტარებით. გარდა ამისა, მას XI-XIII სს.-ის პეტრიწული სკოლიდან გამოსულ ხელნაწერთა პროსოდიის ნიშნები არ ექნებოდა, არამედ XVIII ს.-ის ანტონის სალიტერატურო სკოლისა (როგორც ამას აკეთებს ანტონი მის მიერ გალექსილ "კლემაქსში"). როგორც ჩანს, გადამწერთ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ტექსტების შედგენილობაზე, მათ ავტორსა და მთარგმნელ-შემდგენელზე. მათზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება ამ პერიოდის საცნობარო-ლიტერატურაში, მაშინ როცა არსებობს ცნობები იოანე პეტრიწის "სათნოებათა

[79] ქ. ბეზარაშვილი, გრ. ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3.

კიბეზე" და XI-XIII სს. და შემდგომი პერიოდის მწერლობის სხვა ნიმუშებზე[80]. საგულისხმოა ერთ გარემოებაც: პეტრიწული სალიტერატურო სკოლის ნათარგმნი თხზულებანი უმეტესად ანონიმურია (მაგ., ამონიოს ერმისისა და იოსებ ფლავიოსის თხზულებათა თარგმანები)[81].

ამგვარად, თხზულების შედგენილობა, ფრაგმენტული დასაწყისი, სტილისტური ანალიზი, **A** ხელნაწერის პროსოდიის ნიშნების მიმართება "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის პროზაული წყაროს XI-XIII სს. პეტრიწული სალიტერატურო სკოლიდან გამოსულ ხელნაწერებთან (**H** -1669, **A** - 39) და მასში მოთავსებული პეტრიწული სკოლის თხზულებები, აგრეთვე სხვა ზემოთ განხილული ისტორიულ-ფილოლოგიური არგუმენტები ცხადყოფს, რომ "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია, ისევე როგორც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ერცელი ანონიმური თარგმანი, შესრულებულია პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში XII-XIV საუკუნეებში, შესაძლოა, ერთი და იმავე პირის მიერ და გადაწერილი და

---

[80] იხ. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, **ი. ლოლაშვილის** გამოცემა, თბ., 1980. *მცირე უწყებანი* ქართველთა მწერალთათვის, **ი. ლოლაშვილის** გამოცემა, თბ., 1982.

[81] ეს თარგმანები იოანე პეტრიწისეულად იყო მიჩნეული. კვლევამ დაადასტურა, რომ ისინი პეტრიწული სალიტერატურო სკოლის უცნობი მოღვაწის მიერ არიან თარგმნილნი (მ. რაფავა, ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, 1983, გვ. 046-158. ამავე აზრისაა **ნ. კეჭაღმაძე**, პროკლე დიადოხოსის "კავშირნი", ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიური ნარკვევი). – საკანდიდატო დისერტაცია, თბ. სახ. უნ. 1948, [6], 327, გვ. 169. **ნ. მელიქიშვილი**, იოსებ ფლავიოსის "იუდეველთა სიძველეთა" მთარგმნელის ვინაობისათვის, მაცნე, ელს, 1984, № 4, გვ. 103-115).

გამრავლებულია ანტონის მიმდევართა მიერ XVIII-XIX საუკუნეებში.

იოანე სინელის, დაახლოებით, მისტიკური ხასიათის თხზულება "კლემაქსი" რომ მეტად პოპულარული ძეგლი ყოფილა *პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში*, ჩანს იქიდანაც, რომ იგი რამდენჯერმეა თარგმნილი და გალექსილი სხვადასხვა სახით ამ *სკოლის მოღვაწეთა* მიერ: *იოანე პეტრიწის პროზაული ვერსია, იოანე პეტრიწის გალექსილი ვერსია, ანონიმური გალექსილი ვერსია.* მის მიმართ ყურადღებას იჩენს *ანტონიც*, რომელიც ცდილობს თავისი მოღვაწეობით *აღადგინოს პეტრიწული სალიტერატურო სკოლის ტრადიციები.* იგი პეტრიწულ პროზაულ ვერსიაზე დაყრდნობით ქმნის "კლემაქსის" კიდევ ერთ გალექსილ ვერსიას (მას აინტერესებს საკუთრივ იამბიკოთი გალექსილი ფილოსოფიური პოეზია, გამოკრებილი სენტენციები). ანტონის მიბაძვა პეტრიწისადმი ამ შემთვევაში გამოიყადებოდა არა მხოლოდ პეტრიწული პროზაული ვერსიის შინაარსით სარგებლობაში, არამედ ლექსითი ვერსიის ("სათნოებათა კიბის") ფორმის გადმოღებაშიც (იამბიკური ფორმა აკროსტიქული სტროფები, სტროფთა თანაბარი რაოდენობა), მაშინ როცა ანონიმი თავის წყაროს მხოლოდ შინაარსობრივი მიბაძვითა და პროსოდიის ნიშნების გადმოღებით კმაყოფილდება.

რამ გამოიწვია ამ სკოლის ასეთი ინტერესი ძეგლისადმი, ერთი მხრივ, და გრიგოლ ნაზიანზელის

პოეზიისადმი, მეორე მხრივ, ან რა ნიშნის მიხედვით დააკავშირა ერთმანეთთან?

როგორც *იოანე სინელის, ისე გრიგოლ ნაზიანზელის* თხზულებათა ქრისტიანული ზნეთსწავლულება, ბუნებრივია, თავისთავად წარმოადგენდა ინტერესის საგანს *სასულიერო მწერლობისათვის.* ამ თვალსაზრისით მათ მიმართ ყურადღებას იჩენენ ჯერ კიდევ *ეფთვიმე ათონელი და ეფრემ მცირე*[82]. უპირველეს ყოვლისა, ამავე თვალსაზრისით აქცევენ ყურადღებას ამ ფილოსოფიურ-დიდაქტიკურ თხზულებებს *პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაშიც.* მათი მიზანია ადამიანის ზნეობრივი აღზრდა, სულის განსაწმენდი მორალური პრინციპების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, გრიგოლ ნაზიანზელის დოგმატურ-მორალური ლექსების (და საერთოდ მისი თხზულებების) თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობა, რომლის (დაახლოებით) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო *პლატონი და ნეოპლატონიზმია,* ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო *პეტრიწული სალიტერატურო სკოლისათვის ქრისტიანობის* ნეოპლატონიზმთან მორიგების თვალსაზრისით. საყურადღებოა ისიც, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ერცელ მორალურ ლექსებთან ერთად ითარგმნა მისი ოცამდე

---

[82] **ეფთვიმე ათონელის** მიერაა თარგმნილი "კლემაქსიც" და **გრიგოლ ნაზიანზელის** ის თხზულებანიც (მათ შორის გრიგოლის პროზაული თხზულებებისა და პოეზიის კომენტარების მიხედვით შედგენილი "სწავლანიც"). **ეფრემ მცირეს** ეკუთვნის გრიგოლის ჰომილიების, მათი კომენტარებისა და ზოგიერთი ლექსის თარგმანი.

ლირიკული აღსარებაც[83], ინტიმური ინტონაციისა და პირადული ემოციების შემცველი, მკითხველთა *ეიწრო წრისათვის გამიზნული მცირე ფორმის ჰიმნები.* XI საუკუნიდან ქართულ სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიაში უკვე ფეხს იკიდებს მცირე ფორმის იამბიკოები (*დემეტრეს, თამარის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იეზეკიელის, პეტრე გელათელისა*). გრიგოლის მცირე ფორმის ჰიმნები ეხმაურებიან მარტოდ მყოფი მონაზონის სულიერ სამყაროს სათნოებათა გზით თვითსრულყოფის საფეხურებზე აღმასვლით (მაგ., "აღიყვანს ერთად ყოველი სათნოება//ხარისხად მსგავსად შესატყუსად საქმეთა... მხოლოდ ცხორებდით სიწმიდით პატიოსნად // და უდიდესთა პატივთა მიემთხუნეთ"—A 52 r; PG, 37, carm. I, 2, n 7). ასევე შეესაბამება მონაზონის შინაგან თვითსრულყოფას გამოკრებილი ადგილები "კლემაქსიდან" თაეისი *დუმილის,* სიმშვიდის კულტით ("*დუმილის მეყურე*" (ὁ σιωπῆς φίλος) მიეახლების ღმერთსა და თანამზრახველი განათლდების მის მიერ"[84] 2, 1-2. "გულთა მშუდთასა (ἐν

---

[83] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1986, 3.

[84] შდრ. და იხ., **იოანე პეტრიწი,** შრომები, II, **შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის** გამოცემა, თბ., 1937, გვ. 36-41, 46. "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის ეს თაეი "დუმილისათუს", დუმილის ცნების მითოლოგიურ-ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძირებისა და მისი რაობის სხვადასხეა მოძღვრებებში კვლევისას, ბუნებრივია, გრიგოლ ნაზიანზელისეულად არის მიჩნეული (იხ. გ. **გაჩეჩილაძე,** დუმილის ცნება და ლიტერატურა, "ცისკარი", 1971, № 12, გვ. 107), როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ითელებოდა. საკვირველია, თუ რატომ არ ითარგმნა (ან შესაძლოა, დაიკარგა) ქართულად თავად გრიგოლ ნაზიანზელის თეოლოგიური ჰიმნები დუმილზე.

καρδίαις πραέων) განისუენებს უფალი – 27, 1), ღვთაებრიობისაკენ სწრაფვის გზით ("სიყვარული ღმრთის მიმსგავსება (ὁμοίωσις θεοῦ), რაოდენ შესაძლებელ... სულის სიმთრვალე (μέθη ψυχῆς)[85] და თჳთებისებრ წყარო სარწმუნოების"... 41; "განგუანათლენ ჩუენ (φώτιστον ἡμᾶς), მასუ ჩუენ (πότισον ἡμᾶς), მიძელუ ჩუენ შენდა, ჴელ-ყვანებულ-მყუენ, ვინაჲ აღსლვად შენდამი გუნებავს..." 42; "სამართალ პირველსხუებრ მთის ნათლის ძლით მთენობა, // ამის შემდგომად მზისამი მკაცრ აღხილვად // და სხუებრ ვინამე მათი ხილვა უღონო და სხეულებრ ვინამე..." 25, 3-5; "ვისწრაფოთ უკუე და ვიხარკოთ ყოელისა მიერ ძალისა ამისსა თხემსა აღსლვად და სხელებრ ვინამე 34 (ἐπὶ τήν κορυφήν ἀναβῆναι). იხ. "აღსლვა სიმდაბლისაგან..." – 21, 5)[86]. ორივე

---

[85] თრობა (ἡ μέθη) ღვთაებრივი სიბრძნის ექსტაზური შემეცნების სიმბოლოა **ფსევდო-დიონისე არეოპაგელთანაც** (იხ. ჯ. შოშიაშვილი, დიონისე არეოპაგელის IX წერილი ტიტე მღვდელთმთავრისადმი, ჯვეანმარდი, II, თბ., 1979, გვ. 55; იხ. "ღვნოჲ გულისხმისყოფისაჲ" პიმნოგრაფიაში: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფ., 1913, გვ. 50, 103, 121.

[86] ცნობილია ბიბლიიდან მომდინარე მთის სიმბოლიკა. მწვერვალზე ასვლა ასევე სიმბოლურად გამომსახველია ღვთაებრიობისაკენ სწრაფვისა **გრიგოლ ნაზიანზელთან, დიონისე არეოპაგელთან** (შდრ. და იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება, თსუ შრომები 261 (ლიტერატურათმცოდნეობა), 1986, გვ. 136-137). ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსწყობის საკითხები, ფილოსოფიური ძიებანი, II, 1995, გვ. 289-344; ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსწყობის საკითხები (გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის), **ეფრემ ასურის, არეოპაგიტული კორპუსის** და სხვ. ძეგლების მიხ.), ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, წ. II, 2011, გვ. 81-130.

ავტორის – გრიგოლ ნაზიანზელისა და იოანე სინელის თხზულებანი ქართულად გადმოღებულია იამბური ლექსით – მცირე ფორმის იამბიკოებით, რომლებიც დასამახსოვრებელია თავისი ლაკონიურობით, აფორისტულობითა და სენტენციურობით.

საბოლოო მნიშვნელობა ვერსიისათვის

ამ ტიპის ლიტერატურისადმი, შესაძლოა, ამახვილებდა ყურადღებას ისიხაზმი. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ XIII-XIV სს.-ის ათონზე წარმოშობილი მიმდინარეობა ისიხაზმი (როგორც თეოლოგიური კონცეფცია, როგორც ფსიქოსომატური შემეცნების მეთოდი, *მდუმარე ლოცვის* მქადაგებელი; ἡ ἡσυχία, σιωπή, σιγή – დუმილი) საქართველოშიც გადმოვიდა, მაგრამ გარკვეული ინტერესი ამ ტიპის ლიტერატურისადმი, როგორც შესაძლოა, ჩანს და ჩვენშიც იკიდებს ფეხს ("კლემაქსის ანონიმურ ვერსიას ხომ ქართულ გარემოში შექმნილად ვთვლით – იხ. ზემოთ ენობრივ-სტილისტური ანალიზი) და თანაც ეიწრო წრეებში[87]

მწვერვალზე ასვლა გრიგოლ ნაზიანზელთან, დიონისე არეოპაგელთან და, ზოგადად, ეკლესიის მამაბთან სიმბოლურად გამომხატველია ღმერთისკენ სწრაფვისა.

5 ტ.	მზრახეალობადმ							

	ი... 134r). 32) ეჰპოებ მანასეს ესევითარ შემცოდედ... (ეჰპოებ მას მანასეს კაცთა შორის, ვითარ არც ერთსა ვის მისებრ შემცოდესა... 139r).	4 (49r)	4 (70r)	4 (88r-v)	4 (109-110 გვ.)	4 (152-153 გვ.)	4 (60r, 61r)	4 (188r)
5 ტ. 5 ტ.	33) ანგჳლოს-თაგან უკუეთუ ვიეთნიმე (უკეთუ ანგე-ლოზთაგან ვიეთნიმე... 139v) 34) ვისწრა-ფოთ უკუე და ვიხარკოთ ყოვლისა / მიერ ძალისა (ვისწრაფოთ და ვიხარკოთ ყოვლისა მიერ ძალისა... 139v) <u>განსჯისათჳს და გულის-სიტყუათა და ვნებათა და სათნოებათა(ე)სა</u>	5 (49r-v) 6 (49v) VII (49v)	5 (70rv) I (70v) VII (70v)	5 (88v) 6 (88v) VII (88v)	5 (110 გვ.) 6 (110 გვ.) VII (110 გვ.)	5 (152-153 გვ.) 6 (152-153 გვ.) VII (153 გვ.)	5 (61r) 6 (61r) VII (61r)	5 (188r) 6 (188r) VII (188v)
(26) კვ 5 ტ.	35) ზესთასახიერი მეუფე და უაფლი... (სახიერი ჩუენი და ყოვლად სახიერი მეუფე და უფალი... 148r)	VII (49v)	VII (70v)	VII (88v)	VII (110 გვ.)	VII (153 გვ.)	VII (61r)	VII (188v)

5 ტ. 5 ტ.	36) ეიხილე რა, ბოროტი ჩუეულება (ვიხილე ჩუეულებაჲ ბოროტი... 158r). 37) ჰკითხუდა ვინმე ხედვად შემძლებელთასა... (ჰკითხა ვინმე ხედვად შემძლებელთასა ვისმე 159r)	2 (49v-50r) 3 (50r)	2 (70v) 3 (70v)	2 (88v-89r) 3 (88v-89r)	2 (111გვ.) 3 (111 გვ.)	2 (153გვ.) 3 (153, 1154 გვ.)	2 (61v) 3 (61v)	2 (188v) 3 (188v)
(29) კთ 9 ტ. 9 ტ.	ქუეყანის ზედაჲსათჳს წმიდისა ღ-ის მსგავსისა უვნებელობისა და სისრულისა და აღდგომისათჳს სულისა პირველ ზოგადისა აღდგომისა. (1*) 2* 38) არ შემტკიცნების დიადიმაჲ სამეფოჲ... (არ შემტკიცნების დიადიმაჲ სამეფოჲ... 194v) 39) მოვიცალოთ ჩუენ და რამეთუ მომცლელად (მოვიცალოთ და რამეთუ მომცლელად... 195v)	VIII (50r) 1 (50r-v)	VIII (71r) 1 (71r)	VIII (89 r) 1 (89r)	VIII (111 გვ.) 1 (111-112 გვ.)	VIII (154 გვ.) 1 (154 გვ.)	VIII (61v) 1 (61v-62r)	VIII (190v) 1 (190v-191r)

30 ტ.	თანშემკრველისა თჳს სათნოებიანისა სამობისა სათნოებათა შინა. 2* 40) მნებებელმან თქმად ღუთისა სიყუარულისათჳს... (ღუთის სიყუარულისათჳს თქმად მნებებლმან... 196r).	IX (50v) I (50v-51r)	IX (71r) I (71r-v)	IX (89v) I (89v)	IX (112 გვ.) I (113 გვ.)	IX (154 გვ.) I (154 გვ.-221 გვ.)	IX (62r) 1 (62r)	XI (191r) 1 (191r-v)

თავების ნუმერაცია №№	თავების სათაურები, მათში შემავალი სტროფების დასაწყისი და პარალელური ადგილები A-39-დან	თავების და სტროფთა თანმიმდევრობა ხელნაწერებში და გვერდები						
		L: C-9 [1788]	A: S-2568 [XXVIII]	B: H–1737 [XVIII]	C: S-348 [XVIII-XIX]	D: S-379 [XIX]	E: S-3642 1800	F: S-379 1809
5 ტ.	41) მოქმედებისებრ სიყუარული ვიდრემე... (სიყუარული მოქმედებისაე	2 (51r)	2 (71v)	2 (89v)	2 (113 გვ.)	2 (221 გვ.)	2 (62v)	2 (191 v)

5 ტ.	ბრ ვიდრემე ... 196 r). 42) სათნოებათა შორის კეთილო მითხარ... (მომითხარ ჩუენ კეთილო სათნოებათა შორის... 198 v)	3 (51r)	3 (71 v)	3 (89v)	3 (113 გვ.)	3 (221 გვ.)	3 (62v)	3 (191v)
7 ტ.	<u>მისიცვე მწყემსისა მიმართ</u> 2* 43) მკურნალთა შორის ნეტარ ანავსიად და ... (ნეტარ ანავსიად	X (51r) 1 (51 r-v)	X (71v) 1 (71v)	X (90r) 1 (90r)	X (113 გვ.) 1 (113-114 გვ.)	X (221 გვ.) 1 (221 გვ.)	–	–
2-3 ტ.	მკურნალთა შორის და 202 r). * 44) ვინ ღუთისა მიერ ესევითარი განმგე... (ვინმე ღუთისა მიერ ესევითარი დადგინებულ იქმნა განმგებელი... 209 r).	2 (51v)-გრძე ლდებ ა [a 24] /54v	2 (71v) გრძე ლდებ ა [a24] / 74r	2 (90r) გრძე ლდებ ა. [a. 24] / 92v)	2 (114 გვ.) გრძე ლდებ ა [a. 24] 119-120 გვ·	2 (222 გვ.) გრძე ლდებ ა [a. 24] 217გვ.	გრძე ლდებ ა [a. 24] 64 r)	გრძე ლდებ ა [a. 24 190r)
	45) სულთა უფროსღა და სხეულთა ვნებითა/ შემწიკულებუ ლთა...	[3] (54v) [თ. 24-ში]	[3] (74r) [თ. 24-ში]	[3] (92v) თ თ. 24-ში	[3] (120 გვ.) a. 24-ში.	[3] (217 გვ.) a 24-ში	[3] (64 r) [a.24]	[3] (190 r) [24]

	(სულთა და უფროსღა სხეულთა შემწიკულებუ ლთა... 209 r)							

• ეს ფურცელი წარმოდგენილია 1-2 ტაეპით. აქ წყდება იგი და "კლე მაქსის" ტექსტში ჩაერთვის 1 ფურცელი (72r-v), რომელიც შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის ოთხტაეპედის შემდეგ სტროფებს კომენტარებით: 11, 12, 13, 14, ხოლო 15 უკომენტაროდ. "მწყემსისა მიმართ" თავისი დანარჩენი ნაწილი ბოლოში ერთვის ტექსტს, თ. 23, 24-ის თავების შემდეგ, ხოლო აღდგენილი სახით წარმოვადგენთ აქვე.

მნიშვნელობა კლემაქსის ცნობილი ან უცნობი იამბიკოებისათვის

(ქ. ბეზარაშვილი)

გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისა და *"კლემაქსის"* ანონიმური რედაქციების შემცველ ქართულ კრებულებში მრავალი მცირე იამბიკოა შესული. მაგ., პირველი მათგანი – იოანიკ მონაზონი – წარმოადგენს XI ს.-ის მოღვაწეს (Joannes Mauropos euchaita). ასევე XIV ს.-ის მოღვაწე Ioanicius Monachus (PG, 152, col. 1107). დამატებით, მანუელ ფილესის (XIII=XIV სს.) და სხვ. ასევე პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უამრავი იამბიკოა შემონახული (იოანიკ მონაზონის იამბიკოები ქართულად, 12 მოციქულის თემაზე შექმნილი იამბიკოები, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებთან მოთავსებული მოკლე მნიშვნელობის იამბიკოებია და სხვ.).

წლების წინ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ასეთი იამბიკოა შესწავლილი (იხ. პ.

ინფორომყვა, თამარ მეფის იამბიკონნი, მნათობი, 1941, 3, გვ. 122-151; ნ. სულავა, XII-XIII სს.ის ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003; ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, 285-294: გრიგოლის რამდენიმე ადგილას ცნობილი თუ უცნობი იამბიკოს მიხ.). ასევე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა – საფუძვლიანად შეგვესწავლა ზემოხსენებული იამბიკოები, გარკვეული სამუშაოს შესრულების შემდეგ მივხვდი, რომ ძველი ქართული მწერლობის წყალობით ჩვენამდე მოღწეული შემოქმედების სრული შესწავლა-გაანალიზება ერთი ადამიანის ძალებს დიდად აღემატება.

წლების წინ (დაახლოებით 30 წლით ადრე), გრიგოლ ნაზიანზელისა და მცირე „კიბის“ შემდეგ დავიწყე იამბიკოებისა და ლექსების მეცნიერული შესწავლა. აღმოჩნდა როგორც 12 მარცვლიანი, ასევე 16-იანი იამბიკოები (აღნიშნულის თაობაზე იხ. პ. ბერაძე, ქართული იამბიკოს შესახებ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, 6, 1943; ივ. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, გვ. 1-88: ეფრემ მცირის შესხმა გიორგი მთაწმიდელისა; მარხვა და თეოფილე თარგმანის ანდერძი – 20 მარცვლიანი შესხმა; ასევე ქართული ხელნაწერი (K 564, 1481 წ. გრ. ღმრთისმეტყველისა და მუჯლედი იამბიკოების მიხ.) და სხვ.

დამატებითი მნიშვნელობანი უცნობი ან ცნობილი ლექსებისა და იამბიკოებისათვის

აქვე შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე შესაბამისი იამბიკო (ვრცლად იხილეთ ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, გვ. 285-294):

უცნობი პოეზია: 7 გზის ვნებანი, 12 იამბიკო – სხვადასხვა მნიშვნელობით (ქ. ბ., გრ. ნაზ. წ. II, გვ. 281-292). 12 მოციქულის თემაზე მცირე და მრავალგზის. ან გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებთან მოთავსებული მოკლე მნიშვნელობით. იხ. ქვემოთ ამის შემდეგ რამდენიმე. **ესენია:**

უცნობი: რაბამ ტკბილ საგემ – ქ. ბ., გრ. ნაზ. წ. II, გვ. 285.

მოკლე უცნობი ლექსი: სამოციქულო ეპისტოლენი – რომ *კორი კორი, ღალად ეფრეს ფილიპე* (S 269, 18 ს. გვ. 171). (ქ. ბ., გრ. ნაზ. წ. II, 2016, გვ. 287)

იხ. ცნობილი: *ათორმეტნი პატრიარქნი დიდისა მამისა იაკომისგან* (Πατριάρχαι υἱοὶ τοῦ Ἰακώβ) – F 184v; L 67r; B 47ar; E 54r), (Gr. Naz. PG 37, col. 475; c. I, 1, n. 13). ქ. ბ., გრ. ნაზ. წ. II, გვ. 280.

წლების წინ ვნახე – *იოანიკ მონაზონის ნაშრომი* (Ioanisius Monachus) XIV ს. (PG. 152, col. 1107); ქ. ბ., გრ. ღმრთ., წ. II, 2016, გვ. 294. იხ. ჰრომის ცხორების მიხ.: ჯუარს აცუამს *პეტრეს,* თავდავდამოხმართ ჰრომს ნერონ *თომას ჰინდოეთს* შინა Σταυροῦ Πέτρου κυμ κύμβαχον ἐν Ρώμῃ Νέρων... - PG 120, col. 1196 (A 175v-176r; L 66v; B 44rv; C 83v-84r; D 193-194; E 53r; I 183r). იხ. აგრ. *სწავლანი, ყორანი* და სხვ. შესაძლოა, წმ. პეტრეს მიხ. (PG, 152, col. 1107) - C 9, 44-45; S 3642 და სხვ.

უაღრესად საყურადღებოა მცირე ლექსი-იამბიკოები, კერძოდ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირისეულის სხვ. თარგმანები და გელათური ელინოფილური სკოლა (ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ანტიოქიური კოლოფონების მიხ: ეფრემ მცირე, წ. II, თბ., 2011, გვ. 172-186; იგივეა ადრეული – მრავალთავი XVIII, 1999, გვ. 253-264):

1. 25 დეკემბერი – Or. 38 M (A 85, Jer. 15): საშოჲთ არსებით

2. 1 იანვარი – Or. 43 M (A 85, Jer. 15): ბასილი ცათა არა იუმაღლებს

3. 6 იანვარი – Or. 39 M (A 85, Jer. 15, A 109): ქალწულმან, რომელ

4. 10 იანვარი – Or. 11 M (A 85, Jer. 15, Jer. 18, A 109):

მზეებრ მნათობთა, ლომებრ მჴეცთა მეფობაჲ

5. 18 იანვარი – Or. 21 M (A 85, Jer. 15, A 109): ყოელისა. ერთებრ.

6. 25 იანვ. გრ. ნაზ. Or. 42 (A 109, Jer. 15 XII-XIII სს. და სხვ.):

ზეშთ ბრწინვალისა სამების ძლით ზესთ ძნობაჲ

გრიგოლის დიდსა ასახელ-ღმრთისმეტყველებს

სათნოებათა ხუაჲი აზესთ-მწყემს-მწყემსებს

7. A 85, XII ს.: სერაფიმთასა წიაღსვლის დაფარულსა:

ღმერთჴმაჲ *გრიგოლი* დღეს პატრიარქობს ზეცას

იამბიკოებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მკითველს შეუძლია იხილოს შემდეგი გამოცემები: გიგ. მიქაძე, ძვ. ქართ. მწერლობა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XV, 1963, გვ. 115-140; პაველ ინგოროყვა, თამარ მეფის იოამბიკონნი, მნათობი, 1941, 3, გვ. 122-151; ნესტ. სულავა, XII-XIII სს.ის ქართული ჰიმნოგრაფია,

თბ., 2003, გვ. 241, 278, 336 (ტექსთისათვის და ხელნაწერებისათვის გვ. 270-271); ქ. ბეზარაშვილი, გელათური სკოლის მიძღვნითი იამბიკოები. მრავალთავი XVIII, 1999, გვ. 253-264; ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, წ. II, თბ., 2011, გვ. 172-186; ზოგიერთი სხვა მნიშვნელობები: ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, გვ. 280-294 (შესაძლებელია, თარგმანი შესრულებულია XII-XIV სს.-ში გელათურ ელინოფილურ სკოლაში). ასევე, დამატებით ზოგიერთი უცნობი იამბიკოები და ცნობილი თუ უცნობი ლექსები: ორფევსი – ბუნებითობისა და ნათელი ბრწყინვალების მიხ.; სწავლანის ან ყორანის მიხ.: წმ. დიმიტრის, შიო მღვიმელის და სხვათა მოკლე მნიშვნელობით და სხვ.

იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული რედაქციის შედგენილობა (PG 88, col. 812)

დამატებითი კლემაქსის და მოკლე იამბიკოების (იეზეკიელისა და სხვ.) მნიშვნელობებით

ლექსითი დამატებები უცნობი იამბიკოების მიხ.

(ქ. ბეზარაშვილი)

			A	L	B	C	D	E	F	I
1	- რაბამ ტკბილ საგემ ... (უცნობი და ზოგიერთი უცნობნი)	–	1 (67v)	1 (43 v-44r)	1 (83 rv)	1 (გვ. 97-98)	1 (გვ. 143-144)	–	(180 rv)	1 (91 rv)
2	იამბიკონი - წმიდათა მოციქულთა აღსრულების ათუს, თქმულნი *იოანიკ მონაზონისა* ... - იამბიკონი წმიდათა მოციქულთა ნი ... *იოანიკ*	II ანონი მი (1,2) (A,21a) C 9, 44r – 45v	2 (66v) 3 (44v -45r)	2 (44 rv) 3 (84r)	2 (83v -84r) 3 (გვ. 99-	2 (გვ. 93)	ეფრ ემ (4) ი.პე ტრ. (6) 7 (გვ. 193-194)	3 (53r) 2 (183 v-184r)	ლო ცვა ლექ სიგ რ.ნა ზ.უკ ანსკ . ფშვ ინვ.	2 (91v)

2	*მონაზონისა* ... 1 – *პეტრე* ჯუარს ზედა სჯის ანდრიას და სხვ. 2 - *ჰრომს* დაუტევა ცხორებაჲ - წმიდათა მოციქულთა სახელთა – პეტრე, პავლე *ჰრომს*, ნერონ იოანე, ლუკა, ანრია, იაკობი, თომას *ჰინდოეთი*, - და სხვ.	I (175v-176r) 2 (176r) 3 (176rv)	4 (66v)	4 (45v)	100) 4 (84v)	– 4 (გვ. 100-101)	4 (53r-v) –	5 (53v)	1 (183r) 3 (184r)	– –
	- *სწავლათა* ... მრავლისმეტ ყველებისა და დუმილს შორის - *ყორანთა* შორის (კეფა) ცნობელად ... რაჲ არს კლდე	C 9, 45a, r S 3642								

3	თარგმანები წმიდათა მოციქულთა სახელთაჲ 1. *პეტრე* განმჭვნელად ანუ მცნობლად ... 2. გპოო მას შინა, განგსაჯო 3. იოანე ოქროპირი: ყრმაჲ საშოჲთგან ... იოანე ოქროპირი: ოქროსა ცისა, მზე, ოქროსა შარავანდი	– C 9, 45rv – – H 1283, 18 ს. (154v) არქ. 258, 1762 წ. ფონდი 1446	5 (67r) 6 (67r) 7 (67r)	5 (45rv) 6 (45ar) 7 (45a-r)	5 (84v-85v) – –	5 (გე. 101-102) – –	– –	6 (54v) 7 (54r) 1 (52r) ლ ოცვა ცის კარი	4 (124 v) 5 (184 v) (180 v)	3 (91 v) – (91v)
4 4	პეტრე აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს - კუალად *–პეტრესმან* ნერგულისა	A 39, A 24r კლემა ქს. C 9, 54v	I (74r)	I (54v)	–	–	–	I (64v)	–	+

5	*იეზეკიელი*, XIII ს. - იძღვუნენ სამეცნი, *ორფეევის* ქმად დამჭნელნი ... - ბუნებითთა მათ აღძრვასა ესე - ნათელსა შორის უღამოსა ბრწყინავ მრწემსა იეზეკიილს (= მთლიანად ერთად ჩართული იამბიკოების მიხ.)	S 2568 C 9, 55r A 342, 1788 – – C 9, 55v	2 (74r) 3 (74v-75r) 4 (75r)	2 (55r) 3 (55r) 4 (55v)	– – –	– – –	– – –	3 (65v) 3 (65r) 2 (64v)	– – –	– – – –
6	გადინდგილ დეს რაჲ		4 (187v)	(57v)	(32r)	იამბი	8 (გვ. 194)	–	173 r	88v

უცნობ თუ ცნობილ მცირე ლექსებს და იამბიკოებს თანდათან ვხედავდით ხელნაწერებში. ისინი გაკეთებული იყო, მაგრამ ბოლომდე არ ვიცოდით ბერძნული ლექსები. ზოგჯერ ვხედავდით ცნობილ ქართულ ლექსებს, ან მხოლოდ ბერძნულებს.

7			A	L	B	C	D	E	F	I
7	დემეტრე - მარიამ ღმრთისმშო ბელისა - ღმრთისმშო ბელი და ყოელად პატიოსანი ... (მარიამის მიხ.) - შენის დაფნისა აშიოებს ასურსა ქართლი ნილოსსა ...იბერწისრ უებს - ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე კაცი	300rv 300r შიო მთვიმ ელი 300r შიო მთვიმ ელი H 1283								

8	*სხვადასხვა იამბიკოები – ანონიმური იამბიკონი მარიამ მეგვიპტელისა:* -გიხილავნ მზეო, უცნობი ნიშნი ფრიად თამარ, დავითი: - მზეობს ცის ქუეშე, მზე ოქრო შარაჟანდი და კედართ მყოფი ასულო ობს *თამარ დავითს*	H 1283 300r 301r								

9	იამბიკონნი თქმული წმიდისა იოანე ოქროპირის ა – ყრმაჲ საშოჲთგან და მუცლით შთამოსრული ჩჩჳლი ცრემლი სიკუდილ მორბის ცხორებაჲ...ა ღსასრულის ა	H 1283, 18 ს., 174 v								
10	-ლოცვამან ანნასა ზედა სახელსა თქმული მდაბლისა არქიგიაკონ მონაზონისა ...სამებასა და - --- მარიამ ღმრთისმშო ბ.	H 1283, 18 ს., 295 r								

11	ცნობილი პოეზია		A	L	B	C	D	E	F	I
11	ნაწყვეტი თამარის იამბიკოები დან: - ცხებულება სა ღირს- ვყავ და თუსებასა, *ხალიფას* დროშა... ვინ დავიდ.....	302 r								
12	- ჭ ი დედოფა ლო...იმწუნი ნე *დიმიტრისი* კურთხევისა ...	302 rv								

Ⴁ			A	L	B	C	D	E	F	I
Ⴁ	იროიკო დიმიტრისა – - მზეობს მზის ქრისტეს სჯულებთა დამყაროს შუქი დიმიტრი იოანიკ მონაზონი - ოქროსა ცისა, მზე ოქრო შარავანდი ... იოანიკ მონაზონი ჯუარს აცუამს პეტრეს *ჰრომს* ნერონ ანდრია და სხვ. ჯუარისა - ძელი სიმაღლედ, სიღრმედ და სიგრძედ წმიდა ეთერსა	H – 1283, 18 ს., 299r (არქ. 258. ფონდი 1446, 1762 წ.) C 9, 44r Q 328, A 175v-176r Q 328, გვ. 67	L 66v	B 44r v	C 83r-84r	D 93 გვ.	E 193 - 194 გვ.	F 53r	I 182 v	

14			A	L	B	C	D	E	F	I
14	ყოვლად წმიდის შობისა - ქართულთა შობის დედაჲ წმიდა გიორგისა - კაპადუკიი თ მზე შარავანდი დიდი... წმ. თეოდორესი -. ცის შარავანდი იმზეებს ნიშთა თეოდორე ...	ჭამნი Q 328, გვ· 63 არ ქ. 258 299v								

15			A	L	B	C	D	E	F	I
15	წმიდა ამბერკისი – არეობს ქრისტეს ველთა // მუსიკთა თუსთა ზენათა ძალთა...	A 1427 – 1799 წ.,								
16	სამოციქულ ოსა ეპისტოლის ა - - იამბიკო *შიო მღუმელისა* - შენის დაფნისა აშიოებს ასულსა *ნილოსსა*	S 269, 18 ს. გვ. 287 (171)								

Ⅱ			A	L	B	C	D	E	F	I
Ⅱ										

		A	L	B	C	D	E	F	I
წმ. ამპერკისი არეობს ქრისტე ეკკლესიისა ... მუსიკთა თჳსთა	A 1427 (1799 წ.)								

ვრცელი ლექსითი დამატებებები

პავლე ინგოროყვას, ნესტან სულავას და სხვათა მიხედვით

დემეტრე მეფესა და სხვათა (ნესტან სულავა XII-XIII სს.ის ქართული ჰიმნოგარია, თბ., 2003, გვ. 278 (ტექსთისათვის და ხელნაწერებისათვის გვ. 270-271); პავლე ინფოროყვა, თამარ მეფის იოამბიკონნი, მნათობი, 1941, 3, გვ. 122-151):

დემეტრე მეფე (გვ. 278)

ღმრთისმშობელი შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი

ღმრთისმშობელი ჰოჲ დედოფალო ესე ღუაწლი...

შიო მღვიმელი: შენის დაფნისა აშიოებს ასურსა

შიო მღვიმელი: ცასა ბეწჳთა ეკიდა

დამატებით თამარ მეფის მიხ. *დემეტრეს იამბიკოების* ავტორის მიუთითებლად (გვ. 107):

იამბიკო მარიამ მეგვიპტელისა: გიხილვან, მზეო, უცხონი

წმ. გიორგისადმი მიძღვნილი იამბიკო:

კაპადოკიით მზე შარავანდი დიდი

თევდორესადმი მიძღვნილი იამბიკო:

ცის შარავანდი იმზებს ნიშთა, *თეედორე*

იოანე ოქროპირი:

ოქროსა ცისა მზე ოქრო შარავანდი (გვ. 109)

თამარისი:

მზეობს ცის ქუეშე მზე ოქრო შარავანი //
ასულობს თამარ დაეითს

დემეტრე მეფე (გვ. 37):

ჰოი ღედოფალო — იმწუნინე დიმიტრისა

თამარ მეფის ჰიმნოფრაფიული მემკვიდრეობა (გვ. 70)

ცხებულებასა ღირს-მყავ და თჳსებასა // ედემს
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა

იეზეკიელი, XII ს.-ის იამბიკო (გვ. 243, 244, 279)

იძღვენ საცემნი, *ორფევსის* ჴმათ დამჴსნელნი
აკროსტიქი: ანთებ თეათა ჩემთა ეონად
ბუნებითთა მათ აღძრვასა ესე
ნათელსა შორის უღამოსა ბრწყინავმან
.....იეზეკიელ

თამარ მეფე (გვ. 295; 72-79):

- ცასა ცათასა – დამწყებს ღმერთ-მთავრობასა;

შენ მიერ მისთჳს...;

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით [= სოსლანი]....;

შუამფლობელი იავარს შენდა

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო, // თბედ საიდუმლოდ ტომთაგან დავითებრთაჲთ

შენ მიერ მისთჳს, დრკუისა მის განმგებელი

მანდვე თამარ მეფის ჰიმნოფრაფიისათვის *და იოანე პეტრიწის* გალექსილი სათვეო სვინაქსარი იამბიკოს მიხ. (გვ. 87):

გრძნობასა სულ-ჰყოფს, სულსა გონებად, ხოლო

ანონიმი – (გვ. 296)

იამბიკო მარიამ მეგჳპტელისა: გიხილვან, მზეო

წმიდისა გიორგისა: კაპადოკიით მზე ატტიკელ მჳნეობს...

თევდორესი: ცის შარავანდი იმზებს ნიშთა თევდორე

თამარისი: მზეობს ეის ქუეშე მზე ოქრო შარავანდი // ასურობს თამარ დავითს

იოანე შავთელი XIII ს. (გვ. 305):

ჯერ არს დუმილი – (გვ. 133)

ულუმპიანი მძლეობაჲ მოგუენიჭა

იძლევის ბრძენთა მეტყველებაჲ

უჩინოთაგან მღუმესა

საგალობელთა ამათ შესხმათა მიერ // ადამის ჴსნაო და ევაჲს აღდგომაო

ბორენა დედოფლის იამბიკო (გვ. 134-135-139-143-155):

რომელმან ესე ევას მიუძღე ვალი .....

იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე // მაყულად, დანიელ მთად, გელეონ საწმისად

.....

საგალობელთა ამათ შესხმათა მიერ //

ადამის ჴსნაო და ევაჲს აღდგომაო

აკურთხევს შენგან შობილსა, უბიწოო

ოხათა შენდა ძლიერებითა ვიხსენ // ელიაჲს მიერ

სრული მდაბლოის ოფროისად მით მაღალ არს //

აბუსერისძე ტბელი (XIII ს.) გვ. 155 (336) – სათნოებათა კიბის მიხ. სამი მზე: სრული მთაბლოის

უფროისად მით მაღალ არნ // დიდი *სამსა ჰყოფ სამ-გზისა სამებისა* (იოანე პერიწის მიხ. ი. ლოლაშვილის გამოც. თბ., 1968, გვ. 226)

ეპისტოლეები – არსენ ბულმაისიმისძეს ლექსი (გვ. 226, 336)

ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო

თჳთ პირველ არსმან ქალწულებრსა ნაზარეთს
მარიამ გიხაროდენ ღმერთი შენ. შორის არს.

პეტრე გელათელი (გვ. 342)

პეტრე წესად ვეცად

აჰა, შენდათა, დიდო იქართლეს კვალად

// პეტრესგან ნერგულისა.

კიბე განსწავლე გელათს ნაგები

დასთა დასცავ იყვან ზედა იღუწი რაბამ

აკროსტიქი: კიბედ ვინაჲ ვარ ცად მიავლენ, წარმიმართე

იოანე სინელის «კლემაქსის» სხვადასხვა სინა-მთის კიბე

(ეფთვიმე ათონელისა და იოანე პეტრიწის მიხედვით)

PG 88 - 30 კიბე

ხელნაწერები - **A 39 (XIII-XIV სს.), H 1669 (XII-XIII სს.)**

ეფთვიმე ათონელი – 1-15v; 216-223r

იოანე პეტრიწი – 16r – 215v

O1 r აჰა პინაქსი საღმრთოჲსა კლიმაქსისაჲ A 39 (ძველი ნუმერაცია)

I ა) ამაოჲსა საწუთოჲსაგან - 9r; სიტყუაჲ...სინას მონაზონისათჳს -16r;

2 ბ) უზრუნველობისათჳს -16r; იგივე: უზრუნველობისათჳს - 16v

3 გ) უცხოებისათჳს - 19r; იგივე: 19v

4 დ) წამებისათჳს სიმჭნისა და მორჩილებისა - 24r; მორჩილებისა - 24v

5 ე) სინანულისათჳს და უხრწნელისა... დასჯილთაჲ - 53v; სინანულისათჳს
განცხადებულად - 55r

6 ვ) ჴსენებისათჳს და სიკუდილისა - 63v; იგივე: 66r

7 ზ) განწმედისათჳს გლოჲსა - 66v; სისხლის-მოქმედისა გლოჲსათჳს - 69r

8 ჱ) ურისხველობისათჳს მშჳდისა - 75v; იგივე: 79v

9 თ) ძჳრის ხსენებისათჳს - 80v; იგივე: 84v

10 ი) შესმენისათჳს - 82v; ძჳრის ზრახმისათჳს - 86v

11 ია) დუმილისათჳს ენისა - 84v; მრავალმეტყუელებისათჳს დუმილისა - 89r

12 იბ) ტყუილისათჳს - 86r; იგივე: 90v

13 იგ) მოწყინებისათჳს - 87r; იგივე: 91v

14 იდ) ნაყროვნებისათჳს - 89r; განთქუმულისათჳს - 93v

15 იე) სიძვისათჳს - 94r; უხრწნელებისათჳს განხრწნადსა შორის - 98v

16 იე) ვეცხლის მოყუარებისათჳს - 107r; იგივე: 113r

17 იზ) უპოვარებისათჳს - 108r; იგივე: 114r

18 იჱ) უგრძნობელობისათჳს - 109v; იგივე: 115v

19 ით) ფსალმონებისათჳს შესაკრებელთა შორის - 111v; იგივე: 117v

20 კ) განყოფილებისათჳს მღვიძარებათაჲსა - 113r; მღვიძარებათაჲსა: 118v

21 კა) მოშიშებისათჳს - 115r; იგივე: 120v

22 კბ) ცუდდიდებობისათჳს - 116r; იგივე: 121v

23 კგ) ამპარტავანებისათჳს გამოუთქმელთათჳს გმობისათა - 121r; გამოუთქმელთათჳს სიტყუათა გმობისათა - 125r

24 კდ) სიმშვიდისათჳს და სიმარტივისა და უმანკოებისა და სიბოროტისა - 127v ; იგივე: 132v

25 კე) სიმდაბლისათჳს - 130v; ვნებათ მაღლისა მდაბალ-მზრახვისა - 135r

26 კვ) განმსჯელობისათჳს - 140v; იგივე: 155v

27 კზ) მყურდოებისათჳს - 172r; იგივე: 176v

28 კთ) ლოცვისათჳს უნიეთოჲსა - 183v; სამღდელოჲსათჳს ლოცვისა - 188v

29 კთ) უვნებელობისათჳს 192v; უვნებელობისა აღდგომისა - 195v

30 ლ) სიყდრისათჳს და მშვიდობისა და სარწმუნოებიბისათჳს და ბრწყინვალებისა 195r; თან-შემკრელისათვე სათნოებათა სამობისა სათნოებათა შინა - 198v

„ისივე მწყემისასა მიმართ 200r ; 203v

რეზიუმე

იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია

ზემოდამოწმებული წყაროებისა და მათი გაანალიზების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის მეორე ანონიმურ რედაქციასთან ერთად მოთავსებულია *იოანე სინელის კლემაქსის* (VI-VII სს.) ცალკეული თავების უცნობი გალექსილი რედაქცია, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლ ღმრთისმეტყველს მიეწერებოდა. იგი განსხვავდება ამავე თხზულების *იოანე პეტრიწისეული* (XI-XII ან XII-XIII სს.) იამბური ლექსებისა და *ანტონისეული* (XVIII ს.) *გალექსილი* რედაქციისაგან და თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება "კლემაქსის" პეტრიწულ რედაქციას (H-1669, A-39, XI-XIII ss.). ოცდაათი თავისაგან შემდგარი იოანე სინელის „კიბე" ხსენებულ უცნობ რედაქციაში შემდეგი თავებით არის წარმოდგენილი: 7, 11, 12, 14, 15, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30 (იხ. XVIII-XIX სს.-ის ხელნაწერთა კრებულებში: A : S-2568; L: C-9; B: H -1737; C: S-348; D: S-379; E: S-3642; I: A-711).

როგორც იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე", ისე "კლემაქსის" ახალი (უცნობი) რედაქცია და გრიგოლ ნაზიაზნელის პოეზიის ანონიმური თარგმანი მოღწეულია მხოლოდ ანტონის სალიტერატურო სკოლის მიმდევართა მიერ გადაწერილი თუ შედგენილი კრებულებით, რომლებიც აღადგენდნენ და ამრავალებდნენ "პეტრიწული სკოლის" ლიტერატურულ ტრადიციებს, მემკვიდრეობას ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური რედაქციისა და "კლემაქსის" უცნობი ქართული რედაქციისა. შედგენილობა კი გვაფიქრებინებს, რომ ისინი მომდინარეობენ ადრეული ნაკლული დედნიდან.

Summary

An anknown Georgian version of the "Ladder" John Climacus

The author has ascertained that, apart from the known prosaic and poetical Georgian versions of the "Ladder" of John Climacus (VI-VII cent.), in the Manuscripts of the 18th-19th centuries one more, hitherto unknown, poetical anonymous, incomplete version is extant. This new version represents a rendering in iambic verse of separate passages of Ioane Petritsi's prosaic Georgian version (11th-12,13th centuries: H-1669, A-39). In Georgian scholarly literature, the new version has been ascribed to Gregory of Nazianzus, as in the above manuscripts it is placed with the anonymous Georgian translation of the poetry of Gregory Nazianzen.

The paper presents the corrected text based on the extant PG 88 manuscripts of the above mentioned literary monument. A full list of variants is appended and the Biblical sources and the prosaic source (Ioane Petritsi's version) of the monument are indicated.

The Georgian manuscripts (XVIII-XIX cent.) are: A: S-2568; L: C-9; B: H -1737; C: S-348; D: S-379; E: S-3642; I: A-711). The composition of these works suggests that they originated from an early, incomplete original fulfilled by an anonymous follower of John Climacus.

თ. IV. ქ. ბეზარაშვილი, ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანების შესახებ

ცნობილია, რომ XVIII-XIX სს. მოღვაწეთა ბიბლიოგრაფიული ცნობები ქართული მწერლობის შესახებ შეიცავენ ზოგჯერ სწორ, ზოგჯერ კი მცდარ ინფორმაციას, დაფუძნებულს წყაროთა ან დროში დიდად დაცილებული მოვლენების არასწორ გაგებაზე, სამწუხაროდ, ასეთი ინფორმაცია ზოგჯერ უკრიტიკოდ მიიღება ხოლმე და მკვიდრდება მეცნიერებაში. ამჯერად შევეხებით გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანების საკითხს. თავად ეს თარგმანები იმდენად დიდი არაა მოცულობით, რამდენადაც რთულია შედგენილობით, რის გამოც აზრთა სხვადასხვაობის და მცდარი გაგების საფუძველი მუდამ იყო მეცნიერებაში.

1986 წ. გამოვაქვეყნე შრომა[100], სადაც გამოვყავი ამ თარგმანების სხვადასხვა ფენა: ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლის გნომური ლექსების საფუძველზე შედგენილი ე.წ. "ასეული იამბიკო", არსენ იყალთოელის მცირე ანონიმური და ერცელი ანონიმური (*გელათურ სკოლაში შესრულებული*) თარგმანები. აქვე გაანალიზებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული სავარაუდო მთარგმნელები, საფუძვლიანად იყო უარყოფილი ეფრემ მცირის კანდიდატურა (რადგან ეფრემის მიერ "ასეულ იამბიკოში" თარგმნილი ლექსები მეორდება ანონიმურ ვერსიაშიც), ხოლო სათანადო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული პეტრე გელათელის და სხვა კანდიდატურები (*პლ. იოსელიანის და ზ. ჭიჭინაძის* შეუმოწმებელ ცნობებზე დაყრდნობით მიღებული). ენობრივ-

[100] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, "მაცნე". ენისა და ლიტერატურეს სერია, 1886, №3, გვ 87-112. ქ. ბეზარაშვილი, ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის ენისა და ლიტერატურის სერია, 3-4, 1993, გვ. 123-138.

სტილისტური ანალიზისა და კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ლიტერტურულ-ისტორიული არგუმენტების მიხედვით, ვრცელი ანონიმური თარგმანი გელათურ სკოლაში შექმნილად მივიჩნიეთ. აქვე გამოიყო ტექსტის ერთი ნაწილი, რომელიც ხელნაწერთა ფურცელთა აღრევის გამო ჩართული იყო გრიგოლის პოეზიის ვრცელ ანონიმურ ვერსიაში, ხოლო სინამდვილეში წარმოადგენდა იოანე სინელის "კლემაქსის" მანამდე უცნობ კიდევ ერთ გალექსილ ვერსიას, დაფუძნებულს ამავე თხზულების ე.წ. პეტრიწულ-პროზაულ თარგმანზე (ანუ *გელათური სკოლის თარგმანზე*). ეს აღრევა მომდინარეობდა ერთი ძირითადი ხელნაწერიდან (A: S 2568, XVIII ს.), რომელიც, ჩვენი აზრით, გადმოწერილი იყო გელათური სკოლიდან მომდინარე ნუსხიდან, გამრავლებული იყო *ანტონის სკოლაში* და ამიტომ დამახინჯებული ტექსტი, რომლის რაობა გაურკვეველი იყო გადამწერთათვის, შეუსწორებლად გადადიოდა ყველა სხვა ხელნაწერში.

1987-1989 წლებში გამოვაქვეყნე შრომები "კლემაქსის" ახალი ქართული ვერსიის შესახებ[101], სადაც შესწავლილია კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტები, მოცემულია ენობრივ-სტილისტური ანალიზი, რომელთა შედეგადაც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ამ ვერსიას, გამოქვეყნებულია ტექსტი და ესეც *გელათურ სკოლაში* შესრულებულად არის მიჩნეული. ამ ვერსიას, გამოქვეყნებულია ტექსტი და ესეც გელათურ სკოლაში შესრულებულად არის მიჩნეული გრიგოლის პოეზიასთან ერთად (ამასთან, ჯერ კიდევ 1986 წ. გამოქვეყნებულ მითითებულ შრომაში იყო აღნიშნული, თუ რას წარმოადგენდა გრიგოლის პოეზიასთან არსებული ეს სტროფები). 1989 წ. გამოვაქვეყნე ნაწილი გრიგოლის პოეზიის ტექსტებისა[102]. ამავე

---

[101] **ქ. ბეზარაშვილი**, იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია. "მაცნე", ენისა და ლიტერატურეს სერია, 1987 №4, გვ. 129-154. **ქ. ბეზარაშვილი**, იოანე სინელის "კლემაქსის" ახალგამოვლენილი ქართული ვერსია, "მაცნე" ელს, 1989, №3, გვ. 142-163.

[102] **ქ. ბეზარაშვილი**, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანებიდან, თსუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა). ტ. 185, 1989, გვ. 153-174. ერცლად: **ქ. ბეზარაშვილი**, გრიგოლ

წელს სადისერტაციო ნაშრომში ერცლად არის შესწავლილი ყოველივე ზემოთქმული და ნაშრომს ერთვის გრიგოლის პოეზიის ტექსტებიც[103].

მიუხედავად ამისა, 1988 წ. გამოქვეყნდა პროფ. თ. კუკავას შრომა[104], სადაც კვლავ ეფრემს, როგორც მთარგმნელს მიეკუთვნება ის იამბიკოებიც, რაც, როგორც გავარკვიეთ, *გელათურ სკოლაში* არის შესრულებული და ნაწილობრივ, გრიგოლ ღეთისმეტყველის ლექსებია და ნაწილობრივ – იოანე სინელის "კლემაქსის" ფრაგმენტები. თ. კუკავას შრომაში აღნიშნული იამბიკოები ბერძნულ დედნებთან არ არის შედარებული და ამიტომ ხელნაწერთა ფურცელთა აღრევის გამო ასევე აღრეულად და შეცდომით არის გადმობეჭდილი, ისიც ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ხელნაწერებიდან და ყველა უკლებლივ გრიგოლს მიეწერება. როგორც ჩანს, პატივცემული მკვლევარისათვის უცნობი დარჩა ჩვენი 1986 და 1987 წ. გამოქვეყნებული დასახ. შრომები, ხოლო 1989 წ. პუბლიკაციები თითქმის მისი პუბლიკაციის თანადროული აღმოჩნდა. ამით უნდა იყოს გამოწვეული აღნიშნული

ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, თბ., 2015; წ. 2, თბ., 2016. ლიტერატურათმცოდნეობის ნომერთა და წიგნთა გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანებიდან, რითაც სრულად წარმოჩნდა ტექსტთა შედგენილობის რეალური სურათი: **Corpus Christianorum, 2017.**

[103] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, 2015; წ. 2, 2016. К. Безарашвили, Грузинская версия поэзии Григория Назиазнина, Автореферат, Тб., 1990.

[104] თ. კუკავა, ეფრემ მცირეს იამბიკოები, თბ., 1988. ჯერ კიდევ 1986 წ. გამოქვეყნებულ ზემოთ დასახელებულ შრომაში შევნიშნავდით, რომ 1975 წ. რთული იყო ბერძნული უცნობი ენების გარეშე თ. კუკავას მიერ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით (ეფრემის პოეტიკა, "ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკითხები", ტ. II, თბ., 1975, გვ. 237-242), მცდარად იყო მიჩნეული ეფრემ მცირე გრიგოლისეულის იმ ლექსების მთარგმნელადაც, რაც, როგორც ირკვეოდა, მისი თარგმნილი არ იყო. ეფრემ მცირე იყო მხოლოდ 100-ეული იამბიკოს მთარგმნელი.

უზუსტობანიც ბერძნულის გარეშე, რადგან ბერძნულთა სახეები ძნელი იყო ადამიანებისათვის.

აქ აღარ გავიმეორებთ თუ საიდან მოდის მცდარი შეხედულებანი ეფრემისა და გრიგოლის პოეზიის სხვათა მთარგმნელობაზე, რაც არაერთგზის გვავქვს განხილული აღნიშნულ შრომებში. ამჯერად შევეხებით მხოლოდ XVIII-XIX სს.-ის იმ რამდენიმე მოღვაწეს, რომელთაც ბოლომდე ვერ გაარკვიეს, თუ რა სახის თხზულებებთან ჰქონდათ საქმე გრიგოლის პოეზიის სახით, მაგრამ თავიანთი სავარაუდო შეხედულებებით ხელი შეუწყვეს ამ პოეზიის შესახებ გამოთქმული მოსაზრების უფრო ადრეულ პერიოდთან, კერძოდ, *გელათურ სკოლასთან* დაკავშირებას.

ამასთან, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დასახელებული შრომების გამოქვეყნების შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა ფილოლოგიურ მეცნიერებაში, კერძოდ, მომზადებულია პროფ. დ. მელიქიშვილის შრომა "*გელათის საღმრთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა* და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების გზები", დაიბეჭდა ე. ჭელიძის ერცელი წერილი[105]. რადგან გელათური სკოლის წარმომადგენელთაგან შესწავლილი და გამოქვეყნებული იყო მხოლოდ იოანე პეტრიწის შრომები (დ. მელიქიშვილი), ამონიოს ერმისის და იოსებ ფლავიოსის თხზულებების ანონიმური თარგმანები (მ. რაფავა, ნ. მელიქიშვილი), ამდენად, ჩვენი ძეგლებიც მხოლოდ მათთან იყო ტერმინულად შედარებული. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება მათი ხელახალი ტერმინული შედარება ზემოთ აღნიშნული ახალი მონოგრაფიების შედეგებთან, რაც უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს გრიგოლის პოეზიის გელათური სკოლის მთარგმნელის გარკვევის საქმეში. მჯერად, ჩვენი შრომიდან გრიგოლის პოეზიის შესახებ გამოვიტანთ იმ ნაწილს, რაც ქართული მწერლობის ისტორიისათვის უფროა საყურადღებო, ვიდრე ბიზანტინისტიკისათვის და განვიხილავთ მას ქართულ

---

[105] ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა. წერილი პირველი, "რელიგია", 1994, №3-4-5, გვ. 113-126. წერილი მეორე, "რელიგია", 1995, №1-2-3, გვ. 76-89. ე. ჭელიძე, "ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, თბ., 2005 წ.

პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კორექტივია შესატანი ქვემოთ წარმოდგენილ XVIII-XIX სს.-ის მოღვაწეთა შეხედულებებშიც. შევეცდებით ამ ფონზე განვიხილოთ გრიგოლის პოეზიასთან დაკავშირებული მათი მოსაზრებანი.

ანტონ I. ანტონის "წყობილსიტყვაობა" წარმოადგენს ეროვნული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველ ცდას, ამ მწერლობის პირველ დიდ შეფასებას... იგი პირველი ინფორმაციული ხასიათის დიდი ქმნილებაა[106], ამდენად მის ცნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად.

ანტონის "წყობილსიტყვაობის" ერთი მინაწერის ცნობის ზოგიერთი შეცდომიდანაც ჩანს, რომ რეალური და ზუსტი ინფორმაცია გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული ვერსიის შესახებ ანტონისა და მისი მიმდევრებისათვის არ არის ცნობილი, რადგან აქ ჯერ ერთი, პირდაპირ კი არა, არამედ მცდარად გაგებული სურათია ასახული და მეორეც, ეს ინფორმაციაც კი სხვაგან არსად არ მეორდება. ჩანს, რომ *ანტონს* ან მის რომელიმე მიმდევარს, ვინც არ უნდა იყოს ამ მინაწერის ავტორი ("წყობილსიტყვაობის" ავტოგრაფული ნუსხა არ არსებობს[107] და ზუსტად თქმა ძნელია, თუ ვის ეკუთვნის მინაწერი), ამოუცნია ანონიმური "კლემაქსის" ფრაგმენტებში და გრიგოლის ზოგჯერ სახელწაუწერელ ლექსებში ამ თხზულებათა რაობა, მაგრამ მათ მთარგმნელ-შემდგენელზე სწორი ინფორმაცია მაინც ვერ მოუცია, რის გამოც ეს მინაწერი "წყობილსიტყვაობის" ძირითადი ტექსტის გარეთ დარჩენილა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენი ძეგლები XVIII საუკუნეში არ თარგმნილა (თუმცა ხელნაწერები ამ დროისაა) და მათი რაობაც ყველა გადამწერმა არ იცოდა.

"წყობილსიტყვაობის" ეს ორი მინაწერი სტროფი, რომლებიც არ შედის ამ ძეგლის ძირითად ხელნაწერებში და

---

[106] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოც., თბ., 1972, გვ. 5.

[107] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოც., თბ., 1972, გვ. 9.

გამოცემებში (და ამიტომაც რჩებოდა ყურადღების მიღმა) წარმოდგენილია იმ ანტონისებური სათაურით, რითაც შესულია ამ თხზულებაში თითოეული მოღვაწე და ავტორი:

"თჳს *მამისა ნიკიტა მესტიხისა*":

ნიკიტას ვისმე გვეტყჳან *მესტიხესა*,

საკჳრვ-რიტორსა, მაღალსა მეშაირეს,

აჩუენებენცა, ვითარმედ: ამან დიდმან

გრიგორის დიდის ნაზიანზელის სტიხნი

ჩუენებრ გჳთარგმნა, კუალად (] ვითარმედ) *აღგჳწერა ძნელნი*.

ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა,

თუ ჰსთქუა, ჰსჯობანცა, მაგრა განსაკჳრვებელ

არიან *ბრძენნი*, ნუუმე კუალად ( ] ვითარმედ) სხუაცა

სინელისათა გამონი თქმანი რაჲმე

პიიტიკოსთა მებრ წესისა ტურფანი (S 3685, H 383).

ეს სტროფები გამოქვეყნებულია ხელნაწერ H 383-ის (1825 წ.) მიხედვით პროფ. რ. ბარამიძის და ი. ლოლაშვილის მიერ, გადამწერის შენიშვნით, "ესე დაჰშთომილ იყო, მე ვჰპოვე და შთავჰსწერე, თავადმან დავით თუმანოვმან" (100v)[108]. ხელნაწერ H 383-ის ერთ-ერთი წყაროა ხელნაწერი H 225 (1802 წ.), ი. ლოლაშვილის დაკვირვებით[109], რომელიც ასევე გაიოზ რექტორიდან მოდის და ანტონის არხიდიაკონის ტრიფილეს ხელშია გაელილი, როგორც "წყობილსიტყვაობის" უმეტესი

[108] იხ. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1972, გვ. 11. იხ. აგრეთვე ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 103-105.

[109] იხ. ლოლაშვილის გამოც., ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 104.

ხელნაწერები[110]. H 225-ში ეს იმბიკოები ჩართულია უნომროდ *პეტრე გელათელისა და იოანე შავთელის* ხოტბათა შორის (95v-96r), მაგრამ აქვს მინაწერი: "ამ ნიკიტას მუჯლებს ნურც ერთს ნუ დასწერ. იოანე შავთელისა იწყე"[111], საყურადღებოა, რომ ანტონის დედნიდან მომდინარე ნუსხაში (A 334, 1768 წ.) ან რედაქტირებულ ტექსტში (S 1464, 1759-1760 წწ.)[112], რომ არაფერი ვთქვათ, სხვა ხელნაწერებზე, ეს სტროფები არაა. აღნიშნულ გამოცემათაგან განსხვავებით, ჩვენ გადავსინჯეთ კიდევ რამდენიმე ნუსხა: S 1477, 1787 წ., S 5049, 1789 წ., S 4774, 1792 წ., სადაც ასევე არაა მოთავსებული განსახილველი სტროფები არც ტექსტის შუაში და არც ბოლოში. მხოლოდ ერთ ადრეულ ხელნაწერში S 3685, 1797 წ., რომელიც დასახელებულ გამოცემებში არაა გამოყენებული და ასევე გაიოზ რექტორისაგან მომდინარე და ტრიფილეს ხელში გაელილი ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს *გაიოზის წინასიტყვაობისა* და *ტრიფილეს* ანდერძის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო სტროფები ბოლოშია მიწერილი (129v, 629v) და გამოქვეყნებულია ხელნაწერთა აღწერილობაში[113]. რაც შეეხება "წყობილსიტყვაობის" *პლ. იოსელიანისეულ* გამოცემას (1853 წ.), მის მიერ გამოქვეყნებული წყაროები გაანალიზებულია ამ ძეგლის ორსაევე დასახელებულ გამოცემაში და ჩვენთვის საინტერესო სტროფები იქ არ არის.

ი. ლოლაშვილის აზრით, ამ სტროფებში შეცდომაა, რადგან *ნიკიტა მესტიხეს*, რომელსაც თითქოს უმოღვაწნია XI-XII საუკუნეებში (რადგან ერთ-ერთ ხელნაწერში (H 225) ეს სტროფები ამ პერიოდის ავტორთა შორის იყო მოთავსებული), ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს. ანტონს ქართველ პოეტად მიუჩნევია არსენ იყალთოელის ერთი

---

[110] იხ. ანტ. ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოც, თბ., 1972, გვ. 9.

[111] იხ. ი. ლოლაშვილის გამოცემა, ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 104.

[112] ი. ლოლაშვილის გამოცემა, ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. გვ. 86, 97.

[113] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), V, თბ., 1967, გვ. 165.

იამბიკოს კიდურწერილობის ნიკიტა (ნიკიტა სტითატი)[114] და ამასთან ეს *ნიკიტა მესტიხე გაუიგივებია ნიკიტა პაფლაღონელთან*, რომელმაც გრიგოლის იამბიკოებს დაურთო კომენტარები და ამგვარი აღრევის შედეგად წარმოიშვა მისიეე ცნობა, რომ "*ნიკიტა მესტიხემ*' "გრიგოლ დიდის ნაზიანზელის სტიხნი ჩუენებრ გვითარგმნა, ვითარმედ აღგვჴსნნა ძნელნი". ეს შეცდომა ანტონს თუ მის მოწაფეს გაუსწორებია და ეს ორი იამბიკური სტროფი "წყობილსიტყვაობაში" აღარ შეუტანია. ი. ლოლაშვილის აზრით, ნიკიტას ნათარგმანებ გრიგოლ ნაზიანზელის "სტიხნ"-ში ეფრემ მცირეს მიერ გადმოღებული გრიგოლის 100 იამბიკო იგულისხმება[115]; მაგრამ საყურადღებოა, რომ კომენტირებულია არა ეფრემის "ასეული იამბიკო", არამედ ოთხტაეპედის ანონიმური თარგმანი ("თარგმანებაჲ სწავლანთა ოთხმუჴლთა ღმრთისმეტყუელისათაჲ ნიკიტა პაფლაღონელისაჲ)[116]. ი. ლოლაშვილი არაფერს ამბობს მინაწერ სტროფთა ბოლო ნაწილზე, სადაც კიდევ ერთ ძეგლზეა საუბარი – იოანე სინელის "კლემაქსზე" ("არიან... კუალად სხუაცა სინელისათა გამონი თქმანი რაჲმე..."). ბუნებრივია, ი. ლოლაშვილისათვის უცნობი იყო, რომ არსებობს იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია და იგი გრიგოლის ლექსების ასევე ანონიმურ ქართულ ვერსიასთან არის დაკავშირებული. ამ იამბიკურ სტროფებში სწორედ ასე ჩანს.

ახლა, როცა ვიცით არსებობა გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების და იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიებისა, უფრო იოლია ამოვიცნოთ განსახილველი სტროფების შინაარსი, ხოლო ეს სტროფები რომ სწორედ ამ ორ ძეგლს და მათ კავშირს გულისხმობს,

---

[114] ა. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატური ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 279, იხ. ი. ლოლაშვილის გამოკვლევა, **ანტონ ბაგრატიონის** წყობილსიტყვაობა, 1980.

[115] ი. ლოლაშვილის გამოკვლევა, **ანტონ ბაგრატიონის** წყობილსიტყვაობა, 1980, გვ. 105. შენ. 24.

[116] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია, "მრავალთავი" XVII, თბ., 1992, გვ. 93-106.

აშკარაა (ისინი, როგორც ვთქვით "წყობილსიტყვაბის" ერთ ნუსხაში (H 225) იეზიკიელისა და პეტრე გელათელისადმი მიძღვნილ სტროფებს მოსდევს. ჩვენი ძეგლების ხელნაწერთა უმეტესობაშიც (A-დან: S 2568 მომდინარე) იეზეკიელის და პეტრე გელათელის იამბიკოები და გრიგოლის პოეზიის და "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთად მოთავსებული)[117].

მიუხედავად შეცდომებისა, "წყობილსიტყვაობის" ეს სტროფები ჩვენთვის სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი, რომ მათში ჩანს ამ ორი ვერსიის ურთიერთობა და მათი ერთ პიროვნებასთან (ერთ მთარგმნელ-შემდგენელთან) დაკავშირება, რაც შემდგომ, ალბათ, ამაზე დაყრდნობით. "წყობილისტყვაობის" პლ. იოსელიანისეულ კომენტარშიც აისახა, სადაც ასევე გრიგოლის ე. წ. 186-მუხლიანი თხზულება, ჩვენი აზრით, ორსავე ამ ვერსიას გულისხმობს (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, ამ სტროფებით უდავოდ ირკვევა ბევრი რამ და მტკიცდება კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ენობრივ-სტილისტური ანალიზით გამოთქმული შეხედულებანი გრიგოლის პოეზიის და მასთან იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიებზე:

1. XVIII საუკუნეში რამოდენიმე მცოდნე პირმა (და არა ყველა გადმწერმა) მაინც იცოდა, რომ გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანი და იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია ერთმანეთთანაა დაკავშირებული (ალბთ ხელნაწერებში ერთად მოთავსების გამო და მათი შინაარსიდან გამომდინარე) და, შესაძლოა, ერთსა და იამვე პიროვნებას ეკუთვნოდეს.

2. ამ პიროვნების ვინაობა უცნობია, სახელი "ნიკიტა მესტიხე" პირობითია, რადგან მისი არსებობა სათუოდაა მიჩნეული ("ნიკიტას ვისმე გუეტყუან მესტიხესა... ა ჩ უ ე ნ ე ბ ც ა, ვითარმედ ამან..."), როცა სხვა ავტორებზე "წყობილსიტყვაობაში" დანამდვილებითაა ნათქვამი:

[117] იხ. ჩვენი ზემოთ დასახ. შრომები (ი. ლოლაშვილი, კ. კეკელიძე, ქ. ბეზარაშვილი).

"*იეზეკიელს* ვ ი ც ნ ო ბ თუსით სიტყუებით" (სტრ. 766 – ი. ლოლაშვილის გამოცემა), "ვ ნ ა ხ ე ნ წერილნი პეტრე ფილოსოფოსის" (769) და სხვ. როგორც ჩანს, ბოლოს იგი ქართველ ავტორად აღარ უცნიათ, რადგან არ შეუტანიათ "წყობილსიტყვაობის" თავში "თ უ ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა სიბრძნისმოყუარეთა კაცთა მწიგნობართა", განსაკუთრებით, ზემოთ დასახელებულ ანტონის რედაქტირებულ ტექსტებში.

3. ეს ნიკიტა რომ არაა ქართველი ავტორი და გრიგოლის პოეზიის ხელნაწერთა მინაწერების მიხედვით, ოთხტაეპედის კომენტატორ ნიკიტა პაფლაგონელთანაა აღრეული, ჩანს იქიდანაც, რომ ამ მინაწერ იამბიკოებში იგი გრიგოლის ლექსების "ძნელთა აღმხსნელად" (ე. ი. განმმარტებლად) არის დასახელებელი. მართლაც, ქართული ვერსიის ბერძნულთან შედარება ცხადყოფს, რომ ნიკიტას ერცელი პარაფრაზი ქართველ მთარგმნელს გამოუყენებია, მაგრამ უფრო მეტად თავად ოთხტაეპედის ტექსტის ქართულ ზედმიწევნითი თარგმანის ძნელი თუ თარგმნისას გამოტოვებული ადგილები განუმარტავს[118].

4. ამ მინაწერიდან ჩანს აგრეთვე, რომ ოთხტაეპედის და მისი ნიკიტასეული კომენტარის ქართველი მთარგმნელიც ერთი და იგივე პირია ("აჩუენებენცა ვითარმედ ამან დიდმან გრიგორის დიდის ნაზიანზელის სტიხნი ჩვენებრ გვითარგმნა, კუალად აღგუჴნა ძნელნი").

5. არც ანტონმა და არც მისმა მიმდევრებმა არ იციან, თუ ვინ არის ჩვენი ძეგლების მთარგმნელ-შემდგენელი, ხოლო შექმნის ეპოქას რომ დაახლოებით ვარაუდობენ, ჩანს იქიდანაც, რომ ეს სათუო სტროფები ერთ-ერთ ხელნაწერში (H 225) იეზეკიელისა და *პეტრე გელათელის* შესახებ დაწერილ სტროფებთან არის მოთავსებული, ე. ი. *იოანე პეტრიწის მიმდევრებთან (ანტონის მიხედვით)*, ანუ *გელათური სკოლის* მოღვაწეებთან (უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით) და შეფასებაც ისეთი აქვს მიღებული, როგორც იოანე პეტრიწის

[118] იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია, "მრავალთავი" XVII, თბ., 1992, გვ. 93-106.

და მიმდევარს – იოანე პეტრიწთანაა პიიტიკოსობით შედარებული იეზიკიელისა და პეტრე გელათელის მსგავსად.

6. აქედან გამომდინარე, იგი XII-XIII სს.-ის მოღვაწედ იოანე პეტრიწის და მისი სკოლის მიმდევრად მიაჩნიათ (აქედანვე ჩანს, რომ XVIII საუკუნისათვის ეს ანონიმი არც იეზეკიელთან და არც პეტრე გელათელთან გაიგეებული არაა). სხვათა შორის, ხელნაწერებშიც *იეზეკიელისა და პეტრე გელათელის* იამბიკოები ყველაგან უმეტესად გრიგოლის პოეზიისა და "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიებთანაა დაკავშირებული, იშვიათად – იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბესთან". ამდენად, შემთხვევითი არ იყო, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია და "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიები XVIII საუკუნეში გაამრაველეს გელათური სკოლის წარმომადგენლების – იოანე პეტრიწის, იეზეკიელისა და პეტრე გელათელის ლექსებთან ერთად.

7. სხვათა შორის "წყობილსიტყვაობაში" ეზეკიელისა და პტრე გელათელისადმი მიძღვნილ სტროფებთან ამ სტროფების ჩართვა, შესაძლოა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართულ ვერსიის შემცველ A ხელნაწერში (S 2568), როგორც ვთქვით, ისინი *(გრიგოლის ლექსები, იეზეკიელის და პეტრე გელათელის იამბიკოები)* ერთადაა მოთავსებული, როგორც გელათური სკოლის მიმდევართა ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებანი, ანტონის დროისათვის, შესაძლოა არსებობდა A-ს ადრეული ჩვენთვის უცნობი ნაკლული დედანი და სწორედ იგი იყო ცნობილი ანტონისა თუ მისი მიმდევრებისათვის. ი. ლოლაშვილის დაკვირვებით ანტონის "წყობილსიტყვაობის" წყაროებზე, ანტონს ხელთ უნდა ჰქონოდა ზოგიერთი დღეისათვის დაკარგული ხელნაწერი, რადგან მას ხელი მიუწვდებოდა დავით გარეჯის, მცხეთის, გელათის საკათალიკოსო და თბილისის სამეფო წიგნსაცავებზე, რომლებიც არაერთგზის აოხრდა XVIII საუკუნეში[119].

[119] ანტონ ბაგრატიონის «წყობილსიტყვაობა". ი. ლოლაშვილი, დასახ. გამოკვლევა, 1980, გვ. 56.

8. ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ აღნიშნული ძეგლები XVIII საუკუნეში არ თარგმნილა და შექმნილა, რადგან მაშინ "წყობილსიტყვაობის" ცნობაში ზუსტად იქნებოდა მოცემული მთარგმნელ-შემდგენელის ვინაობა და არსებული ცნობის განხილული გაუგებრობანი არ წარმოიშობოდა.

საგულისხმოა, რომ იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბეც" ასევე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული[120], მაგრამ "წყობილსიტყვაობის" შესაბამის თავში მისი ეს შრომა მოხსენებულია (სტრ. 739). იოანე პეტრიწის ამ სრულ ტექსტზე, ისევე როგორც XI-XIII სს.-ის მწერლობის სხვა ნიმუშებზე სრული ინფორმაციაა XVIII-XIX სს.-ის ლიტერატურაში[121]. ჩვენი ნაკლული დედნიდან მომდინარე ძეგლების რაობა კი გაურკვეველი იყო, რადგან ავტორისა და მთარგმნელის ვინაობის ცნობების გარეშე დეფექტური ტექსტით იყო გავრცელებული. სწორედ ამიტომ მათზე არანაირი პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება ამ პერიოდის საცნობარო ლიტერატურაში.

ანტონის "წყობილსიტყვაობის" წარმოდგენილი ცნობით ნაწილობრივ მართლდება აგრეთვე მკვლევართა მოსაზრება ამ ძეგლზე – ანტონის მიერ წყაროების პასუხისმგებლობით გამოყენებაზე (მიუხედავად იმისა, რომ ანტონის ზოგი მოსაზრება მცდარია, მისი "წყობილსიტყვაობის" ცნობები ძირითადად სანდოა, რამდენადაც ზოგჯერ, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობ წყაროს ეყრდნობოდეს; ანდა ფასეულია თუნდაც იმიტომ, რომ ზოგჯერ სხვა წყაროები დუმან რაიმე საკითხის შესახებ[122]). ანტონის მიერ წყაროების

---

[120] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 168.

[121] იხ. ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობის ი. ლოლაშვილისეული გამოცემა, 1980, გვ. 269. იხ. დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი, "მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის", ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1982, გვ. 156, 169. ანტონის "სპეკალი", იხ. "წყობილსიტყვაობის" დანართი, 1980, გვ. 317.

[122] იხ. ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყვაობის ი. ლოლაშვილისეული გამოცემა, 1980, გვ. 27, 55-58. ანტ. ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოც, თბ., 1972, გვ. 3.

პასუხისმგებლობით გამოყენებაზე მეჩქვეულებს ისიც, რომ განხილული საეჭვო სტროფები აღარაა შერანილი "წყობილსიტყვაობის" უმრაელეს ნუსხაში.

საყურადღებოა შემდეგიც: ცნობილია, რომ ანტონი "წყობილსიტყვობაში" განადიდებს ქართველ მწიგნობრებს და ერთგვარ რომანტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს წარსულის მემკვიდრეობის მიმართ. ხშირად ასეთი განდიდება არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ ზოგჯერ, ი. ლოლაშვილის აზრით, გადაჭარბებულია, მაგ., იეზეკიელისა და პეტრე გელათელის შემთხვევაში (სტრ. 766-767, 768-769)[123]. მართალია, ისინი განათლებული მწიგნობარნი არიან, მაგრამ ვერ შეედრებიან იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელს, ეფრემ მცირეს (რომელსაც ადარებს მათ ანტონი) ვერც ლიტერატურული პროდუქციით, ვერც გონებრივი დიაპაზონით, ვერც მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნებით[124]. ასევე შეიძლება მოგვეჩვენოს ზემოთ განხილულ სტროფებში "ნიკიტა მესტიხის" (ჩვენთვის ანონიმის) ქება, მით უმეტეს, რომ თუ ანტონი იეზეკიელს და პეტრე გელათელს მხოლოდ და მხოლოდ ადარებს *ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს და იოანე პეტრიწს* და მათ მსგავსად და თანასწორად მიიჩნევს, ჩვენი ანონიმი პეტრიწზე უმჯობესადაც კია აღიარებული ("ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა, თუ ჰსთქუა, ჰსჯობანცა...").

ეფიქრობთ, ამ სტროფებში (იეზეკიელის, პეტრე გელათელისა და ჩვენი ანონიმის შესახებ) საუბარი უნდა იყოს არა იმდენად ამ ავტორთა განდიდებაზე, რამდენადაც ერთი მწიგნობრული სკოლის ტრადიციების მიყოლაზე. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ეს ავტორები უპირველესად იოანე პეტრიწთანაა შედარებული და შემდეგ არსენთან და ეფრემთან (ჩვენი ანონიმი კი მხოლოდ პეტრიწთან); *იეზეკიელი და პეტრე გელათელი* რომ პეტრიწის მიმდევარნი იყვნენ (უკანასკნელი შრომების შემდეგ კი შეიძლება ვთქვათ, რომ ზოგადად

---

[123] ი. ლოლაშვილის დასახ. გამოცემა, ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყუაობა, 1980, გვ. 274-275.

[124] ანტონ ბაგრატიონის წყობილსიტყუაობა, ი. ლოლაშვილის გამოც. 1980, გვ. 57.

გელათური სკოლი წარმომადგენლები), ცნობილი იყო ჩვენს მეცნიერებაში. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგივე შეიძლება ითქვას ანონიმზედაც. ანტონის ასეთი შეფასებით თითქოს ცხადი ხდება ქართული სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიის ერთი ძირითადი წამყვანი გზა – ელინოფილები: *ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, განსაკუთრებით იოანე პეტრიწი და "მისი მიმდევარნი" (იეზეკიელი, პეტრე გელათელი და ანონიმი)*. იქნებ, სწორედ ამ ნიშნით – მიბაძვით და დიდ წინამორბედთა ტრადიციების დაცვის მიხედვით ადარებს მათ ანტონი ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს და ამ ნიშანს მიიჩნევს ქებისათვის საკმარისად? ("ესე კმა ქებად, მირწმუნე ესე, მსმენო! (768), – ამბობს იგი პეტრეზე[125]. სხვათა შორის, ამასვე უნდა გულისხმობდეს იოანე ბაგრატიონი, როცა ამბობს: რომ იეზეკიელს და პეტრე გელათელს "მოძღვრებით", "სწავლით", "შეუსწორებდნენ" და "შეამსგავსებდნენ" იოანე ფილოსოფოსს, არსენს, ეფრემს და სხვათა ფილოსოფოსთაო[126].

შესაძლოა, ანონიმის იოანე პეტრიწზე უმჯობესად მიჩნევა იმ ნიშნით მოხდა, რომ მისი ლექსითი თხზულებანი რაოდენობრივად იეზეკიელისა და პეტრე გელათელისაზე მეტი იყო; ანდა შესაძლოა, კიდევ იმ ნიშნითაც, რომ გარდა დოგმატიკურ-მორალური ლექსებისა, ანონიმმა თარგმნა გრიგოლის პოეზიის ყველაზე საუკეთესო ნაწილიც – მისი ჰიმნური აღსარებები, რომელთა მსგავსი ქართულ სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიაში (არც ნათარგმნში და არც ორიგინალურში) ჯერჯერობით არ ჩანს. ეფრემთანაც, არსენთანაც და იოანე პეტრიწთანაც მხოლოდ დოგმატურ-მორალური ან ასკეტიკურ-მისტიკურ თემებზე შეთხზული ლექსები გვხვდება. ფაქტიურად, ქართულ სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიაში (ნათარგმნი და ორიგინალური), თუ არ ჩავთვლით მცირე იამბიკოებს, რაოდენობრივად ყველაზე დიდი ნაწილი გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაზე და იოანე სინელის "კლემაქსზე" მოდის (ეფრემ მცირის "ასეული იამბიკო",

---

[125] ანტონი, წყობილსიტყვაობა ი. ლოლაშვილის გამოცემა, 1980, გვ. 274.

[126] დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი, "მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის", ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1982, გვ. 172.

გრიგოლის ლექსებისაგან შედგენილი; გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული ვერსიები, იოანე სინელის "კლემაქსის" იოანე პეტრიწისა და ანონიმის გალექსილი ვერსიები).

აქვე დასაშვებია მეორე ვარაუდიც, როგორც ცნობილი იყო, კ. კეკელიძეს იოანე სინელის "კლემაქსის" ე. წ. პეტრიწული (ანუ გელათური) თარგმანის ავტორად პეტრე გელათელი მიაჩნდა ტექსტზე დართული იამბიკოების მიხედვით, ხოლო თავად *პეტრე გელათელი* – XII-XIII სს.-ის მოღვაწედ[127]. ი. ლოლაშვილმა სხვაგვარად წაიკითხა აღნიშნული იამბიკოები და "კლემაქსის" მთარგმნელად იოანე პეტრიწი მიიჩნია, ხოლო პეტრე გელათელი – მხოლოდ ტექსტზე დართული იამბიკოების ავტორად, სადაც პეტრე თითქოს მხოლოდ ხოტბას ასხამდა იოანე პეტრიწის ღვაწლს[128]. ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებდით[129]. ე. ჭელიძემ კვლავ მართებულად წაიკითხა იამბიკოები: "აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად..." და როგორც პეტრეს იამბური ანდერძის მიხედვით, ისე თავად "კლემაქსის" ტექსტის ტერმინული სტრუქტურის მიხედვით დაასკვნა, რომ "კლემაქსის" აღნიშნული პროზაული ვერსიის მთარგმნელი პეტრე გელათელია, ხოლო თავად იგი XIII ს.-ის შუა წლების მოღვაწეა[130].

ასე რომ, პეტრე გელათელის რიტორობის, ღვთისმეტყველების, პიიტიკოსის ქება, შესაძლებელია, გადაჭარბებული არ იყოს ანტონის მიერ (როგორც ი. ლოლაშვილი ფიქრობდა). მისი ლიტერატურული პროდუქცია უფრო მეტია, ვიდრე იეზეკიელისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე იამბიკოს ავტორია. ასე რომ, ჩვენი ძეგლების

---

[127] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 333. 612.

[128] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 168. გვ. 65-68, 89.

[129] ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია, "მაცნე", 1987, №4, გვ. 130.

[130] ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა I, "რელიგია", №3–4–5, 1994, გვ. 121. იხ. აგრეთვე ვრცელი წიგნი ე. ჭელიძე, "ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, თბ., 2005. იმავე აზრისაა დამანა მელიქიშვილიც.

შედარება ტერმინული თვალსაზრისით პეტრეს შრომებთან უფროა შესაძლებელი. იქნებ პეტრეს "სტიხნი" ჩვენს ძეგლებსაც გულისხმობდეს "წყობილსიტყვაობაში", ხოლო "ნიკიტა მესტიხეს" სათუო სტროფები იქნებ სწორედ ამიტომ იქნა ამოღებული საბოლოოდ ანტონის რედაქციის "წყობილსიტყვაობიდან" და ამ ძეგლის სხვა ნუსხებიდან. მაგრამ, როგორც ვთქვით, მხოლოდ დამატებითი კვლევა თუ გადაჭრის სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს ფეხმოკიდებულ ვარაუდს, რომ გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანების ავტორად პეტრე გელათელი მივიჩნიოთ[131]. ხოლო თუკი მხოლოდ ანტონს დავეყრდნობით, იეზეკიელსაც შეეძლო მთარგმნელის თანაბარი უფლებით ესარგებლა, რადგან მასაც ასევე უქებს პიიტიკოსობას ანტონი და მისი იამბიკოებიც *პეტრე გელათელის იამბიკოებთან* ერთადაა მოთავსებული ანონიმის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში.

"წყობილსიტყვაობის" განხილული დანართი სტროფები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ვრცელი ანონიმური თარგმანი და მასთან დაკავშირებული იოანე სინელის "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსია შექმნილია არა XVIII საუკუნეში, არამედ XII-XIV სს. შორის გელათურ სკოლაში, შესაძლოა, ერთი და იმავე პირის მიერ: ტერმინულ სხვაობას მათ შორის ზოგჯერ თხზულებათა ჟანრიც განსაზღვრავდა (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი (შედგენილობა, ტექსტების ნაკლულევანება, პროსოდიის ნიშნები, ურთიერთჩართვა ფურცელთა აღრევის გამო და სხვ.), ენობრივ-სტილისტური ანალიზი და აგრეთვე ზემოთ განხილული

[131] გელათურ სკოლაში გავრცელებული რამდენიმე საერთო ტერმინის მიხედვით ანონიმური ოთხმუხლედის შედარება "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანთან სცადა ე. ნიკოლაძემ (ეფრემ მცირე – მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, გვ. 56), რაც საბოლოო დასკვნისათვის არ გამოდგება (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

ფილოლოგიურ-ისტორიული არგუმენტებიც ცხადყოფს, რომ გრიგოლის პოეზიის და "კლემაქსის" ანონიმური ქართული ვერსიები შესრულებული და შედგენილია *გელათურ სკოლაში ქართულ გარემოში* (რაც უფრო დაწვრილებითაა გაანალიზებული ჩვენს დასახ. შრომებში) და გადაწერილი და გამრავლებულია ანტონის სკოლაში მის მიმდევართა მიერ XVIII-XIX საუკუნეებში, სადაც მრავლდებოდა ძირითადად გელათური სკოლის მოღვაწეთა თხზულებანი.

თეიმურაზ ბაგრატიონი. ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ნაწილში უკრიტიკოდ გადავიდა თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის **A** რედაქციის ცნობა, სადაც ეფრემისეული "ასეული იამბიკოს" მთარგმნელად პეტრე იბერია დასახელებული. ამ ნუსხის **B** რედაქციით იგი ნათარგმნია "წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან"[132]. თეიმურაზ ბაგრატიონის ეს ცნობა მართებულად გამოაცხადა მცდარ ინფორმაციად[133] და მის მიზეზად დასახელებულ იქნა შემდეგი: თეიმურაზს ხელთ უნდა ჰქონოდა "ასეული იამბიკოს" მეორე რედაქცია (ანუ გრიგოლის ოთხტაეპედის ანონიმური ქართული თარგმანი – ქ. ბ.), რომლის მთარგმნელადაც, პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობით, პეტრე გელათელია დასახელებული და როგორც ჩანს, ორი პეტრეა არეული ერთმანეთში[134]. ჩვენ კი ვიტყოდით, რომ ასეთი

---

[132] იხ. **გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი** – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი (გამოკვლევა და ტექსტები). თბ., 1974, გვ. 95, 138. შდრ. **შ. ნუცუბიძე,** შრომები V, თბ., 1975, გვ. 228, 236. **ს. ყაუხჩიშვილი,** ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 106-107, შენ. 2.

[133] **კ. კეკელიძე,** Проф. **Е. Хонигман** о Петре Ибере и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, «ეტიუდები», IX, თბ., 1963, გვ. 255, შენ. 4. **ი. ლოლაშვილი,** არეოპაგიტიკის პრობლემები, თბ., 1972, გვ. 162–163. **არეოპაგიტული კრებული,** დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა **ი. ლოლაშვილმა,** თბ., 1983, გვ. 172. **გ. შარაძე,** თეიმურაზ ბაგრატიონი II (შემოქმედება), თბ., 1974, გვ. 58–59.

[134] იხ. **კ. კეკელიძე,** Проф. **Е. Хонигман** о Петре Ибере ... «ეტიუდები», IX, თბ., 1963. **გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი** – ბიბლიოგრაფი ... , თბ., 1974.

გაგება თეიმურაზის წიგნსაცავის ერთი ხელნაწერიდან უნდა მოდიოდეს, სადაც გრიგოლის ლექსების შემდეგ პეტრე გელათელის იამბიკოა მოთავსებული ზედწარწერით "პეტრე": "აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად..." C 9, 54v. ეს ხელნაწერია პეტერბურგის (ლენინგრადი) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციიდან L: C 9, ჭვირნიშნის მიხედვით 1788 წლით დათარიღებული, მხედრულად დაწერილი, თეიმურაზის კრიპტოგრამით[135]. ეს ხელნაწერი გრიგოლის ლექსების, ანონიმური "კლემაქსის" და ჩართული იამბიკოების შედგენილობით მისდევს A-ს, ანუ გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანების შემცველ ძირითად ხელნაწერს – S 2568-ს, დამატებით ერთვის თეიმურაზის ფილოსოფიური ლექსიკონი.

როგორც ვთქვით, ჩვენი ვარაუდით, ამ საკუთარი კოლექციის ხელნაწერს უნდა გულისხმობდეს თეიმურაზი თავის წიგნსაცავის კატალოგში, სადაც საუბრობს გრიგოლის 100 5-ტაეპიან იამბიკოდ გალექსილ სტიხზე (ანუ ეფრემ მცირის "ასეულ იამბიკოზე"), რომელიც მის მიხედვით ნათარგმნია "წმიდა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან". ამას ის გვაფიქრებინებს, რომ L ხელნაწერს მხოლოდ თავში აკლია ორი რეული (ჳ რეულიდან იწყება. დანარჩენი რეულები სრულია), სადაც შესაძლოა, სწორედ ეფრემის "ასეული იამბიკო იყო მოთავსებული, რომელსაც ჳ რეულიდან უკვე გრიგოლის ლექსების ერცელი ანონიმური ვერსია მოსდევდა (სხვათა შორის, "ასეული იამბიკო" ამგვარად უძღვის წინ გრიგოლის ლექსების ანონიმურ თარგმანებს C F I ანუ S 348, S 3731, A 711, XVIII-XIX სს. ხელნაწერებში)[136].

---

[135] Р. Орбели, Собрание грузинских рукописей, СССР. Учение записки Института Востоковедения, УСИВ, М., 1954, 30-66. 396.

[136] იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) I, 1960, გვ. 401; SV 1967, გვ. 27. Т. Жордания, Описание, рукописей Тифлиского церковного музея, 11, Тифлис. 1902, с. 181.

თეიმურაზისათვის, როგორც ჩანს, არ განირჩევა ერთმანეთისაგან გრიგოლის ლექსების ეფრემისეული და ანონიმური ვერსიები. კატალოგის B რედაქციაში კი თითქოს ჩანს, რომ "ასეული იამბიკო" ნაწილია გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანებისა ("ესე სტიხნი გრიგოლ ღმრთისმეტყველისანი, რომელსა შინაც არიან სწავლანი წარმართთა მიმართ, რომლისაგან განაყენნა ქრისტიანენი იელიანე განდგომილმან. ზედაწარწერილი თვით მისსივე ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან"[137]).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ჩანს, A (S 2568) ხელნაწერის დედანი თავისი შედგენილობითაც (იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე", ანონიმის თარგმანები გრიგოლის პოეზიისა და "კლემაქსისა", "იეზეკიელი, პეტრე გელათელი და სხვ.), უფრო ადრეული, გელათური წარმომავლობის კრებულია. "ასეული იამბიკოს" ჩარვთა A-დან უშუალოდ თუ არაუშუალოდ მომდინარე გრიგოლის პოეზიის სხვა კრებულებში უფრო გვიანდელი მოვლენაა[138].

ის რომ, წარმოდგენა გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანების შედგენილობაზე და ანონიმურ "კლემაქსზეც" ამ პერიოდში ბუნდოვანია, ჩანს სხვათა შორის, თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის ავტოგრაფული კატალოგის ზემოთ

---

[137] კატალოგისათვის იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გვ. 138. "ასეული იამბიკოს" ძირითადი სახელი "წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა მუჴლები იამბიკოჲ სასწაულოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენნა ქრისტეანენი იელიანე განდგომილმან. ზედაწარწერილი თჳთ მისსივე" (Jer. 43, A 109, XII-XIII სს.) იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, "მაცნე". ენისა და ლიტერატურის სერია, 1886, №3, გვ 87-112. გვ. 88, 90). "ზედაწარწერილში" გრიგოლის გნომური ოთხმუხლედის (PG, 37, c. I, 2, 33) ეპიგრაფი იგულისხმება, სადაც ავტორის სახელი მოიხსენიება და რომლითაც იწყება ეფრემ მცირის მიერ შედგენილი "ასეული იამბიკოც".

[138] ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, "მაცნე", ელს, 1886, №3, გვ 87, 90, 111, 112).

განხილული მცდარი ცნობითაც. თეიმურაზი (ალბათ, მის ხელთ არსებული ხელნაწერების მიხედვით) არ იცნობს ამა თუ იმ ძეგლის ქართველ მთარგმნელს (გრიგოლის ლექსები, მისსივე სტიხნი "განუზომელთაგან" სიტყვანი "იამბიკოდ", რომელიც ვიცით, რომ არსენ იყალთოელის თარგმნილია, იოანიკ მონაზონის სტიხოსნი)[139] და მათზე ზოგადი მითითებით კმაყოფილდება: "თარგმნილნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან" ან "ძველად ბერძნულიდამ ჩვენთა მთარგმნელთა ნათარგმნი"[140]. სხვათა შორის, ეს ზოგადი მითითება ანონიმური თარგმანების შემთხვევაში უფრო შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე კატალოგში მათ მთარგმნელად პეტრე იბერის შეცდომით გამოცხადება, რაც კატალოგის მეორე ვერსიაში სამართლიანადაა გასწორებული (იხ. ზემოთ). ცხადია, *თეიმურაზ ბაგრატიონი* არ იცნობს მათ მთარგმნელს, რადგან ამ პერიოდისთვის (XVIII–XIX საუკუნეებისათვის) უკვე ზუსტი ინფორმაცია არა აქვთ მასზე, ხოლო ჩვენი ძეგლები რომ XVIII საუკუნეში ყოფილიყო თარგმნილი, მაშინ უეჭველად ეცოდინებოდათ თეიმურაზსაც და სხვებსაც. მიუხედავად ამისა, ისინი (*ანტონი* ან მისი მიმდევრები, *თეიმურაზი, პლ. იოსელიანი*; იხ. ქვემოთ) ვისაც არ უნდა ასახელებდნენ ამ თხზულებათა მთარგმნელებად, მათი ცნობებით მაინც ჩანს, რომ ამ ძეგლებს ადრინდელ თარგმანებად მიიჩნევენ (დახლოებით პეტრე გელათელის ეპოქასთან ახლომდგომად).

თეიმურაზის კატალოგთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ზუსტდება ზოგი ინფორმაცია ჩვენი ძეგლების შესახებ: გ. შარაძის ვარაუდით, რომელიც კ. კეკელიძის მოსაზრებას ეფუძნება, კატალოგის მცდარი ცნობა მთარგმნელზე (პეტრე იბერი) გამოწვეულია იმით, რომ თეიმურაზს ხელთ ჰქონდა "ასეული იამბიკოს" მეორე რედაქცია (იგულისხმება ანონიმური ოთხტაპედი – ქ. ბ.), რომელიც პლ.

---

[139] იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, 1886, 3, გვ. 90 (ძირითადი ხელნაწერების წაკითვაა "განზომილთაგან", ე. ი. საზომით).

[140] გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი (გამოკვლევა და ტექსტები), თბ., 1974, გვ. 95, 138.

იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობით პეტრე გელათელს უთარგმნია, რაც გამხდარა პეტრე გელათელისა და *პეტრე იბერის* ერთმანეთში აღრევის მიზეზი[141]. აქ დავუმატებდით იმას, რომ თეიმურაზის კოლექციის ხელნაწერი C 9 შეიცავდა როგორც ერთს, ისე მეორეს (ანუ როგორც ეფრემ მცირის "ასეული იამბიკოს", ისე ოთხტაპედსა და გრიგოლის სხვა ლექსებსაც, ზემოთ აღნიშნული ცნობებით და მიზეზით პეტრე გელათელისეულად მიჩნეულს), რაც გამხდარა ამ ორი ვერსიის ერთმანეთთან დაკავშირების და ერთი მთარგმნელისადმი მიკუთვნების მიზეზი (*პეტრე იბერი*) და რაც ავტოგრაფიული კატალოგის B რედაქციაში სამართლიანად შეიცვალა უფრო ზოგადი ინფორმაციით ძველ ქართველ მთარგმნელთა შესახებ[142].

---

[141] იხ. ზემოთ დასახ. შრომები: გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 58-59. კ. კეკელიძე, Проф. Е. Хонигман, О Петре Ибере и сочинения Псенго-Дионисия Ареопагита, «ეტიუდები», IX, თბ., 1963, გვ. 255, შენ. 4.

[142] წარმოვადგენთ თეიმურაზის კატალოგის ცნობებს ორივე რედაქციის (AB) მიხედვით: "სტიხნი გრიგოლ ღმრთისმეტყველისა (+ ნი A) (AB) კონსტანტინეპოლის პატრიარხისა ნაზიანზ (+A) ელისა AB /ას იამბიკოდ გალექსილნი A ( ] იამბიკონი, არს მუხლებად B) და თვითეულსა იამბიკოსა ხუთ-ხუთი სტრიქონი (!) აქვს A ( ] ესე იგი თვითოეული სტატია ანუ ლექსი) ხუთ-ხუთნი ტაეპნი არიან B). ესე არს ქართულსა ზედა ენასა თარგმნილი წმიდისა მამისა ქართველთა მთარგმნელისა პეტრეს მიერ, რომელ იყო ძეი სრულიად საქართველოჲსა მეფისა ვარაზ-ბაკურისა ხოსროიანისა, და იყო ესე დროსა თეოდოსი მცირისა ბერძენთა იმპერატორისასა. ესე სტიხნი გრიგორი ღმრთისმეტყველისანი A ( ] რომელსა შინაც B) არიან სწავლანი წარმართთა (+ მათ A) მიმართ AB, რომელნიცა A ( ] რომლისაგან B) განაყენნა ქრისტიანენი იელიანე განდგომილმან AB. ზედა წარწერილი A (ზედწარწერილი B) თვით მისივე AB (+ გრიგორისა A). + ნათარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან B (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974, გვ. 52. საყურადღებოა მკვლევართა აზრი, რომ თეიმურაზი ზოგჯერ სწორ ცნობებს იძლევა ქართველ მთარგმნელებზე (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი კრებულში: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი, თბ., 1986, გვ.

პლატონ იოსელიანი. აკად. კ. კეკელიძე ჩვენი ძეგლების ერთ-ერთ სავარაუდო მთარგმნელად პეტრე გელათელსაც ასახელებდა (XII–XIII სს.) პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვით უთარგმნია გრიგოლის 186-მუხლიანი (ტაეპიანი) სიტყვა სტიხად[143], რასაც კ. კეკელიძე აიგივებდა გრიგოლის ოთხტაეპედთან, რამდენადაც ასახელებდა S 379 ხელნაწერის იმ ადგილს (გვ. 103–119), სადაც ეს ერცელი ლექსია მოთავსებული[144], თუმცა იქ არ არის 186 მუხლი. აქ დასაშვებია ორი ვარაუდი:

1. ან აქ უნდა იგულისხმებოდეს ჰომილია ("სიტყვა"), რომელიც მუხლებად (სტიხოსებად) იყო დაყოფილი[145], თუმცა ასეთი სიტყვა არ ჩანს პეტრე გელათელის თარგმანთა შორის ხელნაწერების მიხედვით და არც პლ. იოსელიანის მიერ დასახელებულ სხვა სიტყვებს შორის. არც ისაა ნათქვამი, თუ გრიგოლის რომელი სიტყვა იგულისხმება აქ (186-მუხლინი სიტყვა არ ჩანს გრიგოლის სტიქომეტრიან ჰომილიებს შორის). სხვათა შორის კ. კეკელიძესთან დასახელებული ამ ცნობის თარგმნისას მ. თარხნიშვილს "სიტყვა" გადააქვს როგორც

---

15). ამ მხრივ, ჩვენს შემთხვევასთან დაკავშირებით B რედაქციის ცნობაც გრიგოლის ლექსების ქართველ მთარგმნელებზე სიმართლესთან უფრო ახლოა თავისი განზოგადოებით.

[143] "გრიგორი ნაზიანზელისა (ღმრთისმეტყველის) სტიხად სიტყუანი, რომელსა შინა შეიცჳან 186 მუხლნი" (პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა დართული ანტონ I-ის წყობილსიტყვაობის 1853 წ. გამოცემაზე, გვ. 267). აქედან იმეორებს ამასვე ზ. ჭიჭინაძეც: "გიორგი (sic!) ნაზიანზელის სიტყვა შეიცავს სულ 186 ტაეპს" (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII საუკუნიდან XIV საუკუნემდე, თბ., 1885, შენ. 2, 3; ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII, თბ., 1887, გვ. 27).

[144] კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ. I. 1960, გვ. 332-333. 615.

[145] ჰომილიათა სტიქომეტრიისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის "სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ"), "გულანი". თბ., 1989, გვ. 100 და შემდეგ.

"ჰომილია". მის მიხედვით, *პეტრე გელათელმა თარგმნა* გრიგოლის 186-მუხლიანი ჰომილია ლექსად[146].

2. სიტყვა (λόγος) შესაძლებელია სხვაგვარ წაკითხვასაც ეწოდებოდეს, მაგ., ლექსს (შდრ. გრიგოლის "სიტყუა სწაელა ქალწულისა მიმართ" ეფრემისეული თარგმანი და მისსივე სხვა ლექსები: ეფრემისავე თარგმნილი ეფრემ ასურის ლექსები "სიტყუაჲ ოთხმარცუალი და შჳდმარცუალი" და სხვ.[147]). აქედან გამომდინარე, პლ. იოსელიანის და ზ. ჭიჭინაძის ცნობის 186-მუხლიანი თუ ტაეპიანი "სიტყვა", შესაძლოა, მართლაც გრიგოლის ლექსებს გულისხმობდეს, მაგრამ არა მხოლოდ ოთხტაეპედს, რომლის არც სტროფთა და არც ტაეპთა რაოდენობა 186 არ არის, არამედ მთლიანად გრიგოლის პოეზიის ქართულ ანონიმურ თარგმანს და ამასთან "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსიასაც, რომელთა სტროფების რაოდენობა მთლიანობაში (მეტ-ნაკლებობით სხვადასხვა ხელნაწერში სანგურით გამოყოფილი დასაწყისების მიხედვით) დაახლოებით 186-ია.

რაც შეეხება ცნობას პეტრე გელათელის ამ ვერსიების მთარგმნელად გამოცხადების შესახებ (უფრო სწორად მხოლოდ გრიგოლის ლექსებისა, რადგან პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძისთვისაც, როგორც ჩანს, უცნობია "კლემაქსის" ანონიმური ვერსიის არსებობა, რამდენადაც მხოლოდ გრიგოლზე საუბრობენ და იოანე სინელს არ ასახელებენ), იგი, ვფიქრობთ, უნდა მოდიოდეს A: S A 2568 ან მისი მსგავსი ხელნაწერის შედგენილობიდან, რომელსაც ალბათ დასახელებული მოღვაწენი იცნობდნენ. საქმე ისაა, რომ A-ში და აქედან გამომდინარე სხვა ხელნაწერებშიც (L E, ანუ C 9, 1788 წ. და S 3642, 1800 წ.) პეტრე გელათელის იამბიკო ("აჰა შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად"...), რომელიც შეიცავს ცნობას იოანე სინელის "კლემაქსის" პეტრე გელათელის მიერ

---

[146] **M. Tarchnischvili**, Greschichte der Kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgische Literaturgeschichte K. Kekelidze, Vatican, 1955, S. 245.

[147] იხ. აგრეთვე S. Gregorii Nazianzeni Arcana graeca..., ed. D. Hoeschelius, Lugduni Batavorum, 1591.

ხელმეორედ თარგმნის შესახებ, მოსდევს "კლემაქსის" ანონიმურ ქართულ ვერსის (A-ში, როგორც ვთქვით, საერთოდ მოთავსებულია *გელათური სკოლის* თხზულებანი: *იოანე პეტრიწის, ანონიმის, პეტრე გელათელის, იეზეკიელისა*). ამიტომ პეტრეს ამ იამბიკოს შეიძლება პლ. იოსელიანისათვის ეფიქრებინა, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ლექსები (და მასთან "კლემაქსის" იმ დროისათვის უცნობი ქართული ვერსიაც) პეტრე გელათელმა თარგმნა. იგივე, შეიძლება ითქვას, თეიმურაზ ბაგრატიონი ცნობაზეც (იხ. ზემოთ).

სხვათა შორის, "კლემაქსის" გელათური პროზაული ვერსიაც ამ ნიშნით იყო (კ. კეკელიძე) და არის (ე. ჭელიძე) პეტრე გელათელისეულად მიჩნეული, რადგან ხელნაწერ A 39-ში (XIII-XIV სს.) მას მოსდევს პეტრე გელათელის აღნიშნული იამბიკო (217v) გამოქვეყნებულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) I[1], 1974, გვ. 120). შესაძლოა, ასე ყოფილიყო ჩვენს შემთხვევაშიც.

აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ პლ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობები ზოგჯერ კი მცდარია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს და ჩვენთვის უცნობ წყაროებს ეყრდნობოდეს, რასაც ისინი არ ასახელებენ[148]. ამ მხრივ, თუ ჩვენი ზემოთ თქმული ვარაუდი მართალია იმის შესახებ, რომ 186-მუხლიან სიტყვებში რაოდენობრიობის მიხედვით გრიგოლის ლექსების ანონიმური თარგმანი და "კლემაქსის" ანონიმური ვერსია იგულისხმება, მაშინ პლ.

---

[148] შდრ. ნ. მახათაძე, პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებული: "ძველი ქართული მწერლობის საკითხები", II, თბ., 1964, გვ. 187-206. Барамидзе, А.А., Батеишвили, Д.Л., Иоселиани П.И, Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978, с. 189-193. ნ. მახათაძე, ზაქარია ჭიჭინაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. მაცნე, ელს, 1978, №1, გვ. 56-57. ნ. მახათაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, კრებულში: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი, თბ., 1986, გვ. 134-144. ზ. ჭიჭინაძე, როგორც თვითონ ამბობს, აპირებდა მის მიერ გამოყენებული ისტორიული წიგნებისა და კატალოგების დაბეჭდვას (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა, XIII-XVI სს. თბ., 1885, გვ. 34), რაც ვერ განახორციელა.

იოსელიანისა და მისგან აღებული ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული ცნობაც[149], სიმართლესთან ახლოს ყოფილა.

კ. კეკელიძის მიხედვით, თუ მართლა პეტრე გელათელს ეკუთვნის გრიგოლის 186-მუხლიანი სიტყვის თარგმანი, მაშინ იმასვე უნდა მივაკუთვნოთ ის "24 იამბიკო" გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, რომელიც ჩვენ გვაქვს S 379 ხელნაწერშიო[150]. კ. კეკელიძე დანამდვილებით არსად ამბობს, რომ ისინი პეტრე გელათელს მიეწერება. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ შეიძლება პეტრეს ეკუთვნოდესო[151]. კ. კეკელიძის ამ შენიშვნაში ერთი რამ არის საყურადღებო: მისი აზრით, თუ პეტრე გელათელმა თარგმნა გრიგოლის ერთი თხზულება – ოთხტაეპედი, მაშინ მასვე უნდა ეკუთვნოდეს ოთხტაეპედის ანონიმურ თარგმანთან დაკავშირებული გრიგოლის სხვა ლექსების თარგმანიც, ე. ი. კ. კეკელიძე მათ ერთი მთარგმნელის ნამოღვაწარად მიიჩნევს.

რაც შეეხება გრიგოლის ლექსების ერცელი ანონიმური ქართული ვერსიის მთარგმნელის ვინაობას, ეს საკითხი, როგორც ვთქვით, კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ახალი გამოკვლევების შუქზე, რის შედეგადაც უფრო უნდა დაზუსტდეს ლიტერატურულ-ისტორიული არგუმენტებიც. XVIII–XIX სს. მწერლებს იოანე პეტრიწის მიმდევრებად მიაჩნიათ ზოგიერთი

---

[149] როგორც ვთქვით, **ზ. ჭიჭინაძის** წყარო ზოგჯერ **პლ. იოსელიანია** (იხ. **ნ. მახათაძე**, პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, "ძვ. ქართ. წერილთა საკითხები", II, თბ., 1964). ჩვენს შემთხვევაში ეს აშკარაა.

[150] *კ. კეკელიძე*, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 332-333, 615.

[151] *კ. კეკელიძე*, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 615. ეს ცნობა *პეტრე გელათელის* მიერ გრიგოლის 186-მუხლიანი სიტყვის (ლექსად) და 24 იამბიკოს თარგმნის შესახებ აისახა ლექსიკონ-ცნობარშიც (ქართული მწერლობა, I, თბ., 1984, გვ. 194). სადაც, ალბათ, კ. კეკელიძის მიხედვით ნათქვამია, რომ დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, არის თუ არა 24 იამბიკოს მთარგმნელი *პეტრე გელათელი*. ამ ე. წ. 24 იამბიკოს შესახებ იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული შრომები (მასში იგულისხმება გრიგოლის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანები).

მოღვაწე, რაც აისახა ზემოთ განხილულ მათ ბიბლიოგრაფიულ ცნობებში (რომელიც ძველი წყაროს არასწორ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა[152]). იგივე შეხედულება, როგორც ჩანს, აისახა აგრეთვე ანტონის სკოლაში გამრავლებულ ჩვენი ძეგლების შემცველ ხელნაწერთა შედგენილობაშიც (A: S 2568, XVIII ს., B: H 1737, XVIII ს., E: S 3642, 1800 წ., F: S 3731, 1809 წ.)[153], სადაც ჯერ იოანე პეტრიწის იამბიკური "სათნოებათა კიბეა" მოთავსებული, შემდეგ კი – ჩვენი *ანონიმის, პეტრე გელათელის, იეზეკიელის* და სხვათა იამბიკოები. ისინი წარმოდგენილია თითქმის ისეთივე თანმიმდევრობით, როგორცაა ეს მოღვაწენი განხილული "წყობილსიტყვაობაში". ჩვენც იოანე პეტრიწის ე. წ. პეტრიწული (იგივე გელათური) სკოლის მიმდევრებად მიგვაჩნია ისინი, განსაკუთრებით კი, ჩვენი ანონიმი (იმავე აზრის იყო იეზეკიელსა და პეტრე გელათელზე კ. კეკელიძე – იხ. ზემოთ დასახ. მისი შრომები). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ გრიგოლის ლექსების შემცველ ძირითად ხელნაწრში – S 2568-ში, საიდანაც მოდის დანარჩენი ხელნაწერები, იოანე პეტრიწის "სათნოებათა კიბე" განსხვავებული ხელითაა ნაწერი და ხელნაწერის თავშია თითქოს შეკინძული, თუმცა კი ხელნაწერის რვეულებრივი პაგინაცია საერთოა და თითქოს სრულია[154]. *ზემოთ განხილული სხვა არგუმენტების მიხედვით, ანონიმის ადგილი ამ პერიოდის მოღვაწეთა შორის უცელელი რჩება.*

ამგვარად ზუსტდება ქართველ მოღვაწეთა ცნობები ქართული მწერლობის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის – არალიტურგიული სასულიერო პოეზიის, კერძოდ, გრიგოლ ღმრთისმეტყველის პოეზიის და მასთან, იოანე

---

[152] ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა. რელიგია", II, 1994, №3-4-5, გვ. 113-126.

[153] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) IV, 1950, გვ. 164, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S) IV, 1965, გვ. 53; (S) V, 1967, გვ. 121, 274.

[154] ამ ხელნაწერის შედგენილობისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის "კლემაქსის" უცნობი ქართული ვერსია, "მაცნე", 1987. №4, გვ. 135.

სინელის “კლემაქსის” ანონიმური ქართული თარგმანების შესახებ. ამასთან, ისახება გზები ახლებურად შევხედოთ ე. წ. პეტრიწული სკოლის და მისი მიმდევრების საკითხს და ზოგიერთი მოღვაწე, მათ შორის ჩვენი ანონიმიც დავსახოთ გელათური სკოლის ერთ-ერთ მოღვაწედ და იოანე პეტრიწის მიმდევრად, რა პერიოდის ღმრთისმეტყველიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი (შდრ. ე. ჭელიძის დასახ. შრომებ, სადაც მან პეტრიწი XII-XIII სს.-ის მოღვაწედ მიიჩნია). ანონიმი აგრძელებს ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის გზას ქართულ არალიტურგიკულ პოეზიაში (იხ. ჩვენი დასახ. შრომები).

რეზიუმე

ანტონ I-ის, პ. იოსელიანის, თ. ბაგრატიონის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის შესახებ

როგორც ზემოდამოწმებული მსჯელობიდან ირკვევა, ანონიმი ავტორი იოანე პეტრიწისა და, შესაბამისად, პეტრიწონული სკოლის მიმდევარია. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ის არგუმენტებიც, რომ ანტონი თუ მისი მოწაფენი (პლ. იოსელიანი, თ. ბაგრატიონი), ვისაც არ უნდა ასახელებდნენ მთარგმნელად, ამ ძეგლებს მაინც ადრეული წარმომავლობისად მიიჩნევენ (დაახლოებით პეტრე გელათელის დროის შექმნილად). გარდა ამისა, ანტონი, რომელიც პეტრიწული სკოლის ტრადიციების აღორძინებას ცდილობდა, ამავდროულად, თავის სკოლაში ამრავლებდა პეტრიწული საღმრთისმეტყველო-სალიტერატურო სკოლის შრომებს. იოანე პეტრიწისა და მის მიმდევართა ზოგიერთი თხზულება ზოგჯერ მხოლოდ ანტონის სკოლაში გამრავლებული კრებულებითაა მოღწეული («სათნოებათა კიბე», იეზეკიელის იამბიკოები და სხვ.). იხ. ქ. **ბეზარაშვილი**, ანტონის, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის ენისა და ლიტერატურის სერია, 3–4, 1993, გვ. 123-138.

Summary

Anton I, Bagrationi I., Ioseliani P., Accordigly by Gregory Nazianzen's Poetry

This idea is supported by the fact that Anton or a pupil of his, as well as PL. Ioseliani and T. Bagrationi, suggested that (whoever the translator) the manuscripts of earlier original were created approximately at Petre of Petre of Gelati's time. Besides, Anton who was reviving the traditions of Petritsi school was also restoring its theological and literary works. Some of the writings of Ioane Petritsi and his pupils have survived only in the collections multiplied in Athon's school ("The Ladder", the iambs with Iesekiel etc.) see: **K. Bezarashvili**, The Informs by Anton, Theimuraz Bagrationi, Platon Ioseliani accordingly with Georgian with Geogian names by Gregory Nazianzen's Poetry, - Matsne, 3-4, 1993, p. 123-138.

თ. V. *დამატებითი მცირე მნიშვნელობები გელათური სკოლის, ფილოსოფოსობისა თუ იამბიკოების მიხ.*

გელათური სკოლა – გელათურ სკოლად (სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობით) სახელდებთ მხოლოდ პირობითად იმ ტექსტების ერთიანობას, რომლებიც ზემოთ ტერმინოლოგიურ სტრუქტურათა "3 – ჯგუფში" წარმოვადგენთ. გელათის საღვთისმეტყველო სკოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოაჩენს შეფასება, რომელიც ასეთი სახით არის ფორმულირებული: "*რომელიცა [გელათი] აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალჱმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოსა შინა, წესად და კანონად ყოვლისა საეკლესიოჲსა შუენიერებისად*" (ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი – როინ მეტრეველი, თბ., 2008, "ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი" გვ. 313-314) (აღნიშნულიუს შესახებ ასევე იხ. **ედ. ჭელიძე**, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, I, რელიგია, 1994, გვ. 123; II, 1195, გვ. 90; **ქ. ბეზარაშვილი**, გრიგოლ ღმრთისმეტყველის ძველი ქართული ვერსია, წ. I, 2015, გვ. 400-401).

ფილოსოფოსობა ბერძნულის მიხ. დაახლოებით IV საუკუნიდან ჩნდება. მათ შორის ჟურნალებისა და წიგნების მიხედვით, ასევე, დამატებით, ანტიკურისა თუ ქრისტიანობის შესაბამისად და ეფრემ მცირე უფრო გვიან – XI საუკუნიდან.

ზოგჯერ სახელი "ფილოსოფია", ელინურობა და ა.შ. სხვადასხვაა: ან ძველი, ან ახალი ქრისტიანულობის მიხ.: ანტიკურიც, ელინოფილურიც ან ქრისტიანულიც, სიბრძნე ფილოსოფიის მნიშვნელობითაც. იხ. ერცლად **ქ. ბეზარაშვილი,** გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, 2015, გვ. 415-435 (ელინოფილური); გვ. 284-601; 595-599 (ფილოსოფიის სხვადასხვა ტერმინები: "გარეშე", ამსოფლიური სიბრძნე; ანტიკური ფილოსოფია; საღმრთო ქრისტიანული სიბრძნე; საერთო და საეკლესიო განათლება, სწავლულება და სხვ.

ფილოსოფიური პოეზია: როგორც ნათქვამია, *პროკლეს ფილოსოფიის* ანალოგიური ფაქტით და *იოანე პეტრიწის ფილოსოფიური პოეზიით* საქართველოში, აღორძინდა *ნეოპლატონური ფილოსოფიური ტრადიცია, შერწყმული ქრისტიანობასთან.* პროკლეს ჰიმნების დარად საფუძველი ჩაეყარა *ფილოსოფიურ პოეზიას.* როგორც ვთქვით, ლიტურგიკული პოეზიის ("კლემაქსის") ენა ზოგჯერ სადაა, ხოლო მეორე – უფრო ხელოვნური. ეპოქის ლიტერაუტურული გამოელენა ამაღლებულ განზოგადოებულ პოეზიას მოაქვს მხოლოდ მცირე წრისა და ელიტისათვის განკუთვნილი მაღალი სტილი (ანტონი და რამდენიმე ლექსი) – აფორისტული სენტენციებით და მცირე ფორმებით (იხ. და შდრ. *მიქაელ ფსელოსის 3 სტილის თეორია, ანტონის მაღალი სტილი 3 სტილის თეორია,* ასევე როგორც *ეფრემ მცირის 3 სტილის თეორია* და სხვ.). ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მიხ.

შექმნილია ანტიკურობით, ბერძნიზმებით, მაგრამ ახალ ქართულ ქრისტიანულად). იგი ქართულ სკოლაში შეთვისებულია სხვადასხვა მნიშვნელობით ბერძნულიდან.

გალექსილი ფილოსოფიური პოეზია ამ ლიტერატურის ინტერესის წამომწყები *იოანე პეტრიწი* ჩანს. მას აინტერესებდა საკუთრივ იამბიკოთი (გამოკრეფილი სენტენციები) და ამ მიზნით ლექსავს "კლემაქსს" (შესაძლოა, ქრისტეფორე მიტილენელისათვის – XI ს.). გალექსილი კალენდარის ანალიზით, მანაც შექმნა იამბიკური სვინაქსარი (გალექსილი თთუენი). აქედან უდებს სათავეს ფილოსოფიურ პოეზიას, რადგან "კლემაქსი" მან პროზაულადაც თარგმნა და მხოლოდ ამ ძეგლის ინტერესისათვის (შესაძლოა, მას მეორედ აღარ მიუბრუნდებოდა). როგორც ჩანს, იოანე პეტრიწიდან წამოვიდა ეს ტრადიცია ქართულ მწერლობაში. "კლემაქსის" ანონიმური ვერსიაც მისი *მიბაძვაა*, მაგრამ უფრო თავისუფალი (ანტონისაგან განსხვავებით). იხ. სახელი "ფილოსოფია" სხვადასხვაა: ანტიკურიც და ქრისტიანულიც. ვრცლად არის წიგნში: **ქ. ბეზარაშვილი,** გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. I, თბ., 2015, გვ. 599; 584-601.

პოეტურ-ფილოსოფიური იეზეკიელის (XIII ს.) ერთ-ერთი იამბიკოს ბოლო ტაეპიც სწორედ ამ აზრს უნდა გამოხატავდეს: "*ანთებ თუალსა ჩემთა ეონად*". ეს ფრაზა ლექსის აკროსტიქსაც წარმოადგენს, ე.ი. ამ იამბილოს მთავარი თემაა

და ბერძნიზმების გამოყენებაა (θέα = ხედვა, ცნობა, ჭვრეტა). წმ. *ფილოსოფიურ მჭვრეტელობაზე* საუბარია, რისთვისაც მსჯელობს პოეზიაც. იოანე სინელის "კლემაქსი" ძველ ქართულ მწერლობაში მიეყავართ პეტრიწული სკოლისაკენ ან ამ სკოლის მიმდევრებისა და მისი ტრადიციული აღმდგენლებისათვისა და ინტერესებისათვის.

ფილოსოფიური თემატიკა და პოეზია განსხვავდება ლიტურგიკულისაგან (თავისუფალია ჰიმნოფრაფიული ლიტურგიკული კანონის ფორმისაგან) და შინაარსისაგან (ქრისტიანული რეგლამენტირებული თემატიკისაგან). იგი ეხება არა ლიტურგიკულ საეკლესიო თემატიკას, არამედ ერთი მხრივ, წმ. *ფილოსოფიურ თემატიკას*, თეორიულ (დოგმატურ-მორალურ) საკითხებს, მიმართავს თავისუფალ *ფილოსოფიურ თხზვას* და დედნისაგან დამოუკიდებელი ადგილებით – "სათნოებათა კიბე". მეორე მხრივ, *იეზეკიელსა და პეტრე გელათელს* – პიროვნულ-რელიგიურ გრძნობებს, პოეტურ-ფილოსოფიურობას, რომლის *მიბაძვა* ჩვენი ანონიმური ვერსიაა.

იამბიკოები: ქართულ მწერლობაში ესთეტიკური პრინციპი გამოხატავდა თავიანთი აკრისტიქებით, ნათარგმნი თუ ორიგინალური სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზიებით. იგი წამოადგენდა მინაწერ ბიბლიოლოგიურ თუ შესხმით იამბიკოებს – *ეფრემ ასურის, გრიგოლ ნაზიანზელის, ეფრემ მცირის* ბიბლიოგრაფიული იამბიკოებით, რაც შემდეგ ცალკე ლექსების კრებულებში გადადიოდა. *იოანე პეტრიწის სკოლის*

ტრადიციების გაგრძელება მიანიშნებს მოძღვრისა და მოწაფის დამოკიდებულებაზე: "*შენნი იოსებ, მამაო იოანე*" ("სათოებათა კიბე" – დაახლოებით 2 იამბიკო, ლექსი), ანონიმები (ლექსი, შესაძლოა, გელათური სალიტერატურო სკოლის მიერაც), ანტონი (ლექსი); *პეტრე გელათელის* (პროზაული რედაქციით) *იოანე პეტრიწის* (*გელათური სალიტერატურო სკოლის* მიხ. გაგრძელებაზე მიანიშნებს: "*კიბე განსწავლე გელათისა...*"), *იეზეკიელის* (XVIII, A 342, A 711 – სათნოებათა კიბესთან *თამარის, დემეტრეს* იამბიკოებს (მათ ***ბაძავს*** ანტონიც "კლემაქსში", "წყობილსიტყვაობაში", მკაცრი პროპორციებით, რომელიც აღადგენდა პეტრიწულ ძიებას).

ხარისხის სხვადასხვა ფორმები (ქართულ-ბერძნული):

განსხვავებული: წინმცობი – γινώσκων 36, 2 (წინამცნობელი)

ჰელმყვანებელ – მყვედ 41, 4

ზესთსახიერი – παράγαθος - 34, 1 (ყოვლად სახიერი)

უდდიდებოდა - κενοδοξία 1, 5

თანმეცხორებე - σύμφιον - 27, 4

თანმოქმედი - συνεργόν - 25, 1

ტექსტისათვის: უსაწყალობელეს – 102

უუკდემლესის – 19, 13; უუკდემლესობა – 14, 3

უქვემოესი 17, 3; უსიმდაბლოჲ – 29, 5

უუბადრუკეს – 9, 3: უფროჲ უბადრუკ (პ.გ.)

უმცონარესი - 34, 2; უმჭირსესი – 34, 4

უგანცხადებულესი – 22, 5-6 (უცხადესსა ამის ვნებისა)

ნასახელარი ზმნები: იმექმებს – იმოქმედარი (პ.გ.) – ἐπόησε 18, 1

მაწუევლობს – προτρέπεται 16, 3

იჭეშმარიტებს – Α'λεεθεύση - 3, 4 (იჭეშმარიტის)

წარვიწერებით - ἀπεεγράφηκεν - 38, 2

ლექსიკური კალკები:

(პეტრიწული სიტყვათწარმოებაა)

მამადი (მამაკაცი - ა.გ.) - ανηρ - 1, 4; ἄνδρες - 26, 5

მამალი - ἀῤῥεν (პ.გ.) - 14, 6

სიტყვსმეტყველი – λόγον εἰπων - 2, 1

ჰმა-ტკბილი – καλλαφωνος - 18, 2 (ჰმა-კეთილი – პ.გ.)

მდაბალმზრახვალობაჲ – τό ταπεινοφρονεῖν - 30, 1

ღმრთისმიმსგაესება – ὁμοίωσις Θεοῦ - 40, 2

თანამზრახვალი – συνομιλῶν - 1, 2 (თანმომისხდეს – 19, 5)

თანგრძნობა – συναίσθησις - 35, 3

ზესთმისვლა - ἐφιεσθαί – თ. 5 (ზედამისვლა – პ. გელ.)

ზედგანმყდელობა - ἐπιπλήττει - 17, 3

ზესთბუნება - ὑπερ φύσις - 13, 2 (პ. გელ.)

ზესთმჩენობა – ὑπερεφανία 19, 5

ცუდდიდებობა - κενοδοξία 1, 5

უმოჴსენო - αμπημονήσας - 2

უჴმო – ἀγώνος - 18, 2

უვნებელობა - ἀπαθεια - 37, 3; 42, 2

უღონო – 24, 5

უმოქედეოდ – ἀνενδεής - 43, 2

ელი: აღუზუავებელი – ἄτωφας - 28 3

აღუძრველი – ἀκίνητος - 28, 3

ვერშემძლებელი – μὴ δυναμίνους - 9, 5

არ: არ მყოფობა – μὴ παροίσης - 29, 2

არ მყნოსელნი – μὴ ναισεῶντες - 42, 3

არ სამოქენო – οὐ δεηθήσεται - 23, 2

ა-ო: სასაქმო - ανατττύμενα - 29, 2

საღირსო – 31, 3

საცნო – 39, 5 (საცნაური – γνωριμος - პ. გელ.)

სა-ელ: დასაჯდომელი – 26, 2

სალიძებელი – 20, 3

საცთომელი – 39, 3

ილ: ქმნილი – 13, 3

სი-ე: სიმარტიევე – 27, 1

მ-არ: მძღუარი – 25, 2

ობა: მთენობა – 24, 3

ნოაგობა - καρυπεία - 4, 1

ება: განათლება – φωτισθῆναι (პ.გ.)

თუთება - ἰδίωμα - 25, 4 (პ.გ.)

მოსწრაფება - 14, 2 (პ.გ.)

ნაყროვანება/ჲ - γαστριμαργία – 4

ებრ: საქმე ერთობიაებრ – 40, 3

თუთებისებრ (თუთებისაებრ) – 40, 2

მოქმედებისებრ – 40, 1

ი-თი: დამთხევითი – 37, 4

მარხნითი – 19, 10

მშუდობითი – 16, 1

მ: მგები - μένουσι - 28, 3

მიქმ – შემოქმედ – 27, 2

მნებაენი – 9, 4 (პ.გ. მის. არაა)

განმგე – οικονόμος - 43, 1 (განმგებელი – პ.გ.)

მა-ელ: დამარღუეველი – 11, 5

განმაჭმობელი – 6, 1

მ-ალ: მზრახვალი – 19, 9; 30, 2

მ/გ-ელი: განმაკრებელი – 39, 4

მომტეებელი - 8, 5

მლიქნელი – ο κολακεύσας - 4, 4

მშობელი – 6, 2

მე: მელუწი – θεραπεύσας - 4, 5 (მოღუაწე – პ.გ.)

მეყური – მოღუარე – 1, 1

მე-ე: მეშფოთე – 26, 2

მ/მე-ელ: მეტყუელი – 16, 4

მნებებელი – 9, 2; 11, 1; 39, 1

მ –ელ: მძლეველი – 13, 2; 19, 13

შემომცირებელი – 17, 5

შემძლებელი – 19, 1

ო: მოქმედი 14, 2

ვითარ ღაღადტყვესო – εκευραξας პ. გელ. 21, 1

იგი დამბმან შემინდვეო, იტყოდა (Ο δέ τυφλώττων φησι) - 22, 2

მო-ელ: მომაგონებელი – 15, 1

მომატყუებელი – 10, 2

მომცლელი – 38, 1

განაჴმნა - ἐξήρανε - პ.გ.

პირობითი ნიშნები (იოანე სინელის უცნობი კლემაქსისა

და ანტონის მნიშვნელობებისათვის)

აკად. = აკადემია, აკადემიკოსი

არქ. = არქაიზმი

გამოც. = გამოცემა

გვ. = გამოცემა ე.ი. = ესე იგი

ელს (მაცნე) = ენისა და ლიტერატურის სერია

ე.წ. = ეგრეთ წოდებული

იხ. = იხილე

თ. = თავი

თბ., = თბილისი; თფ. = თფილისი; Tb. Tf = ტიფლისი

მაგ. = მაგალითად

მარცვ. = მარცვალი

მასწ. = მასწავლელი, მასწავლებელი

ორტ. = გნომური ორტაეპედი (Γρῶμαι δίστιχοι)

ოთხ. = გნომური ოთხტაეპედი (Γνωμολογία τετράστιχος)

სიბრძ. = სიბრძნე (წამალი, მწიგნობრობა და სხვ.)

სტრ. = სტროფი

სწ. = სწავლა, სწავლანი

ფ. = ფურცელი

ძვ. ახ. = ძველი და ახალი

შდრ. იხ. = შეადარე, იხილე

შენ. = შენიშვნა

წ. = წიგნი წერ. = წერილი, წერილნი

წმ. = წმიდა

Cent. = century (საუკუნე) s. = saeculum (საუკუნე)

C. Carm. = Carmen (ლექსი)

Col. = column

PG = Patrologia Graeca

n. = numerus

r. = recto

v. = verso // vv. = versus

v.l. = vario lectio

s.v. = subvoce

ტ. = ტაეპი, t. = taepi

ფილსფ. = ფილოსოფია, ფილოსოფოსი, ფილოსოფიური

ქართ. = ქართული

ქრ. = ქრისტიანული

შვ. ენ. = შვიდი ენება

ქ. ბ. / ქ. ბეზ. = ქეთევან ბეზარაშვილი

ე. ჭელ. = ედიშერ ჭელიძე

ი. ლოლ. = ივანე ლოლაშვილი

კორ. = კორინთელი

მთ. Matt. = მათე

ი. Ioan. = იოანე

რომ. მიმ. = რომაელთა მიმართ

I მეფ. = I მეფეთა

ფს. / ფსალ. = ფსალმუნი Ps. Psalm. = Psalmi, Psalmoi

საკუთარი სახელები და გვარები

გრ/გრიგ. ნაზ. / ღმრთ. = გრიგოლ ნაზიანზელი (ღმრთისმეტყველი – Θεολόγος. Cristianorum), 329/330-389/390 წწ. - ქრისტიანული ელინოფილური კილტურა, დიდი რიტორი, პროზა, ვრცელი პოეზია და სხვ.

გელ/გელათ. = გელათი, გელათის მნიშვნელობით (ქრისტიანული) – XI-XIII სს.

ეფთ. ათონ. = ეფთვიმე ათონელი (მთაწმიდელი) X-XI სს. (955-1028 წწ.). ეგზეგეტიკური ტიპის პირველი მთარგმნელი – "სწავლანი სულიერნი" და სხვ.

ეფრ. მც. = ეფრემ მცირე (კარიპჭე) XI ს.-ის მეორე ნახევარი (+ 1103). ბერძნულ-ფილოსოფიური სკოლა (ანტიოქია, შავი მთა)

პ. / ი. პეტრ. = იოანე პეტრიწი (ფილოსოფოსი), სათნოებათა კიბე; XI/XII-XIII სს.

გრ. პალ. = გრიგოლ პალამა, XIV ს.

მან. ფილ. = მანუელ ფილესი – XIII-XIV სს.

მაქს. = მაქსიმე აღმსარებელი – VI-VII სს. (580-662 წწ.)

ი. მონ. = იოანიკ მონაზონი – VIII-IX სს. (იამბიკოები)

ასევე XIV ს.-ის მოღვაწე - Ioanicius Monachus (PG, 152, col. 1107).

ანტ. კატალ. - ანტონ I = ანტონ ბაგრატიონი (კათალიკოსი) – XVIII ს.

თ. ბაგრ. = თეიმურაზ ბაგრატიონი – XVIII-XIX სს.

ნიკიტ. = ნიკიტა მესტიხე ("ნიკიტას ვინმე" მესტიხე)

ნიკიტ. = ნიკიტა სტითატი IX ს. (იამბიკოს მიხ.)

ნიკიტ. = ნიკიტა პაფლაღონელი (IX-X სს.)

ნიკ. ტფ. = ნიკოლოზ ტფილელი (XVII-XVIII სს.)

პლ. იოს. = პლატონ იოსელიანი (1809-1875 წწ.)

პ.გ. / პ. გელ. = პეტრე გელათელი (XIII ს.)

იეზეკ. = იეზეკიელი (იამბიკოები) – XII ს. (პეტრიწის საღმრთისმეტყველო სკოლა)

საბა = სულხან-საბა ორბელიანი, XVII-XVIII სს. (1658-1725 წწ.)

ი. სინ. = იოანე სინელი – VI-VII სს. (579-680 წწ.); კლემაქსი, სათნოებათა კიბე, ლექსითი ვერსია. იხ. სიღრმე ან უბრალოება; სიმოკლე ან მრავალმეტყველება; ვიწრო ან ერცელი;

ი. ფლავ. = იოსებ ფლავიოსი (I ს.)

ამ. ერმ. = ამონიოს ერმისი (V–VI სს.) ნეოპლატონიკოსი

ფს. დ. არეოპ. = ფსევდო-დიონისე არეოპაგელი – I ს. (ზოგიერთი ცნობით V ს.)

არისტ. = არისტოტელე – ძვ. წ. IV ს. (384-322 წწ.)

პლატ. = პლატონო - ძვ. წ. V-IV სს. (429/8-347/8 წწ.)

ჰომერ. = ჰომეროსი – ილიადა, ოდისეა – ძვ. წ. IX-VIII სს.

ტექსტისათვის (მოკლე ბოლოში)

იოანე სინელის უცნობი «ლემაქსი» და ანტონის მნიშვნელობა

იოანე სინელის «კლემაქსის» უცნობი ქართული ვერსიის გამოცემისათვის გამოყენებულია მისი შემცველი ყველა არსებული ხელნაწერი და ანტონის მნიშვნელობაც (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, გვ. 598-599). დამატებით, ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა: A ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა; S - ქართ. ხელნ. აღწ.; H - საქართველოს მუზეუმთა აღწერილობა; Q - ქართ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა; Gel. (ქუთ.) - ქუთაისის აღწერილობა; Atth. ათონური კოლექცია; Jers. – იერუსალიმის ქართ. კოლექცია.

A: S-2568 (XVIII ს.)

L: C-9 (1788 წ.)

B: H-1737 (XVIII ს.)

C: S- 348 (XVII-XIX ს.)

D: S-379 (XIX ს.)

E: S-3642 (1800 წ.)

F: S-3731 (1809 წ.)

და ნაწილობრივ **I: A-711** (1785 წ.) (თავი 7)

2. ამათგან ყველაზე ადრინდელია **A,** რომელიც კიდევ უფრო ადრეული დედნიდან მომდინარეობს, ამიტომ ტექსტი გაიმართა ამ ხელნაწერის მიხედვით და მიუხედავად მასში არსებული ორთოგრაფიული სიჭრელისა (ადრეული და XVIII საუკუნისათვის

დამახასიათებელი ენობრივი ფორმები), ფორმათა უნიფიცირება არ მოხდა. ხოლოდ **უწ** კომპლექტი ყველგან შეიცვალა უე-თი. დანარჩენი ხელნაწერები **A**-დან მომდინარეობენ და ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო ფორმებს არ იძლევიან. მათი არაარსებითი კითხვა-სხვაობანი, რომელთაც *ანტონის* ორთოგრაფიის კვალი ამჩნევია, სქოლიოებშია ასახული (*ანტონის* მიერ შემოღებული ნიშნების გარეშე). ზოგჯერ **A**-ში აპოსტროფითაა (’) აღნიშნული მარცვალთრაოდენობის გამო დაკლებული ხმოვანი, (მაგ., აპოსტროფით აღინიშნება ზედ’–მ̣ოსლვად).

3. იშვიათად, ძირითად ტექსტში შეტანილია წყაროს ან დანარჩენ ხელნაწერთა წაკითხვანი, როცა **A**-ში ვხვდებით წერით შეცდომებს ან მარცვალთა რაოდენობის დამარღვეველ წაკითხვებს. ასეთია შემდეგი სტროფები: 5, 1; 13, 4; 14, 5; 17, 14; 18, 1; 19, 2; 20, 6; 26, 2; 27, 5; 28, 1; 29, 2; 32, 3; 33, 2-3; 36, 2; 37, 2; 43, 6 და სხვ. ზოგჯერ ძირითადი ტექსტის მარცვალთრაოდენობის მეტ-ნაკლებობის გასწორება შეუძლებელია: 20, 14 (13 მარცვ.); 25, 1 (9 ნარცვ.),; 31, 2 (13 მარცვ.) და სხვ.

4. ტექსტი ყველა ხელნაწერში ძირითადად ერთნაირი შედგენილობითაა წარმოდგენილი. ზოგი ტექსტობრივი დეფექტი (კლება, გადაადგილება) და აგრეთვე ხელნაწერთა მინაწერები შესაბამის ადგილას ვარსკვლავებითაა (*) აღნიშნული და განმარტებული.

5. ტექსტი იყოფა თავებად, როგორც ხელნაწებშია წარმოდგენილი. თავების ნუმერაცია, **A**-დან მომდინარე, ხელნაწერებში ანბანით წარმოდგენილი და ზოგან მექანიკურად გამორჩენილი, არაბული ციფრებითაა შეცვლილი (11-ია, 12-იბ, 14, 15-იე, 22-კბ, 23, 24-კდ, 25, 26-კვ, 29-კთ, 30-ლ). მე-7 თავის სათაური კავებშია წარმოდგენილი, რადგან ფრაგმენტული დასაწყისის გამო ხელნაწერებში იგი არ იყო ასახული. ანონიმური თექსტის თავების სათაურები ზუსტად იმეორებს მისი პეტრიწული პროზაული წყაროს სათაურებს. ერთგან ALBCD-ში შემორჩენილია კიდეც სიტყვა “თავი” (თავი კვ. 26).

6. სტროფები დაინომრა საერთო ნუმერაციით თავიდან ბოლომდე მითითების გასაადგილებლად. პროზაული ტექსტი და ვარიანტები

მითითებულია სტროფთა ნომრების მიხედვით (სქოლიოებში სტროფის ნომერს მოსდევს ტაეპის ნომერი).

7. ანონიმის შემოქმედებითი მუშაობის წარმოსაჩენად ტექსტს ერთვის პროზაული წყაროს ის ექსცერპტები, რომლებიც მას გაულექსავს (როგორც ეს "სათნოებათა კიბის" ი. ლოლაშვილისეულ გამოცემაშია წარმოდგენილი). წყაროსათვის გამოყენებულია **A**-39 (XIII ს.) და **H**-1669 (XI-XIII სს.) ხელნაწერები გვერდების ჩვენებით (მათი მცირე ორთოგრაფიული განსხვავებანი მხედველობაში არაა მიღებული. სწორდება მხოლოდ **უშ** დაწერილობა. ვერ აისახა აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი პროსოდიის ნიშნები, რაც **A**-შიც ჩანს). იქვე მითითებულია ბერძნული ტექსტის შესაბამისი ადგილის გვერდები **PG**-დან.

8. ბიბლიური ადგილები ტექსტშიც და პროზაულ წყაროშიც (ზოგჯერ მხოლოდ წყაროშია) აღნიშნულია ერთნაირი ნუმერაციით – ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრით – (1), (2) და სქოლიოებშია მითითებული.

9. თუ "კლემაქსის" რომელიმე ადგილი გალექსილია, როგორც ანონიმის მიერ, ისე იოანე პეტრიწისა და ანტონის მიერ, იგი მითითებულია არაბული ციფრით და ვარსკვლავით. 1* აღნიშნავს, რომ ანონიმურ სტროფს პარალელური ადგილი გააჩნია *იოანე პეტრიწის* «სათნოებათა კიბეში», ხოლო 2*-ით აღნიშნულია პარალელური ადგილი *ანტონის* ლექსითი რედაქციიდან.

10. "კლემაქსის" ტექსტს ტრადიციისამებრ ეურთაეთ ე.წ. «შეიდთათჳს ენებათა»-ს, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური თარგმანის ბოლო ნაწილიდან, ე.წ. «სწავლანიდან» ამოვიღეთ და წარმოვადგენთ მხოლოდ **A**-ს მიხედვით. მას ცალკე ნუმერაცია აქვს (შე. ვნ. სტროფი 1-7). იხ. 7 ვნება (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული ვერსია, წ. II, 2016, გვ. 281-284).